

სინტაქსურ მიმართებაში შემაჯავალი ზმნური კატეგორიები აფხაზურსა და ქართულში

ნაშრომის მიზანია სათანადო ენობრივ მასალაზე დაყრდნობით გამოავლინოს ზმნურ კატეგორიათა წარმოების კანონზომიერებანი და თავისებურებანი ქართულსა და აფხაზურში, უჩვენოს ამ კანონზომიერებათა ჩამოყალიბების ისტორიული სურათი აღნიშნულ ენებში.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ქართული და აფხაზური ენები გამოირჩევა ზმნის სირთულით. ნაკვლევში გაანალიზებულია ქართული და აფხაზური ზმნის სინტაქსურ მიმართებაში შემაჯავალი ზმნური კატეგორიები. ყურადღება გამახვილებულია მორფოლოგიურ კატეგორიათა წარმოების პრინციპის საერთო და განმასხვავებელ შემთხვევებზე, შეძლებისდაგვარად ახსნილია მათი გამომწვევი ზოგი ისტორიული მიზეზი, რასაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს არა მარტო ამ ენათა, არამედ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის დროს. წინამდებარე ნაშრომში

ნაშრომში წარმოდგენილია ცდა ქართული და აფხაზური ზმნის სინტაქსურ მიმართებაში შემაჯავალ ზმნურ კატეგორიათა მონოგრაფიული შესწავლისა, ამ დარგში მოპოვებული პოზიტიური ცოდნის სისტემური გადმოცემისა, გამოყოფილია უკეთ დასაბუთებული, დამაჯერებელი დებულებები, წამოყენებულია ზოგი ახალი ვარაუდი.

რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
პროფესორი **ქ. ლომთათიძე**
რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ლ. ჭკადუა**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი **ს. პაზოვი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ა. არაბული**

კომპიუტერული უზრუნველყოფა რ. პაპიაშვილისა

შესავალი

მონათესავე ენათა მონაცემების ისტორიულ-მედარებითი მეთოდით კვლევა საშუალებას იძლევა აღდგეს საკვლევ ენათა ისტორია, გაირკვეს ენათა განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი, ამოსავალი ვითარება და აიხსნას ის საერთო და განსხვავებული ენობრივი მოვლენები, რომლებიც ყოველ ცალკეულ ენას ახასიათებს.

ყოველი ენის საფუძველია ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. ძირითად ლექსიკურ ფონდთან შედარებით ენის გრამატიკული წყობა გაცილებით ნელა იცვლება. ენის უძველესი ვითარებაც, აღნიშნული მიზეზის გამო, ყველაზე უკეთ ენის გრამატიკულ წყობაში დაჩნდება.

ენის ისტორიის შესწავლისას მთავარ ყურადღებას მისი გრამატიკული წყობის განვითარების კანონების კვლევა იმსახურებს.

იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიის სირთულე გამოწვეულია ამ ენათა ზმნის თავისებური აგებულებით.

ზმნის მორფოლოგიური კატეგორიების ისტორიულ-მედარებით შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიისა და გრამატიკული წყობის განვითარების კანონზომიერებათა უკეთ გაგებისათვის.

იბერიულ-კავკასიურ ენათა, კერძოდ, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა წინადადების რთული სინტაქსური მექანიზმის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ამ ენათა ზმნის სუბციფიკურ ბუნებასთან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა სინტაქსურ მიმართებაში შემავალ ზმნურ კატეგორიათა ისტორიულ-მედარებითი განხილვა.

ქართველურ ენათაგან ძირითად საკვლევ ენად არჩეულია ქარ-

თული, აფხაზურ-ადილურ ენათაგან — აფხაზური. გზადაგზა, საჭიროებისამებრ, მოხმობილია მონათესავე ენათა მონაცემები.

„სინტაქსურ მიმართებაში შემაჯავლი ზმნური კატეგორიები“ ითვალისწინებს ზმნის მხოლოდ იმ კატეგორიებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტისა და ობიექტის პირებთან და ზმნაში მორფოლოგიური ნიშნით აისახება. ბუნებრივია, ჩვენი კვლევის არეში, ამჟამად ზმნის დრო-კილოთა სისტემა ვერ შემოვა.

ქართულისათვის დამახასიათებელია სინტაქსურ მიმართებაში შემაჯავლი ზმნური კატეგორიები — უღლებისა: პირი, რიცხვი; წარმოქმნისა: ქცევა, კაუზატივი. აფხაზური ენა უფრო მდიდარია სინტაქსურ მიმართებაში შემაჯავლი ზმნური კატეგორიებით; აფხაზურს აქვს უღლების კატეგორიები: პირი, კლასი, რიცხვი; წარმოქმნის კატეგორიები: ქცევისა, კაუზატივისა, პოტენციალისისა, უნებურობისა, საურთიერთო-სათანაო.

ის მორფოლოგიური კატეგორიები, რომლებიც ქართულს აფხაზურთან შედარებით არ მოეპოვება, ქართულსა და ქართველურ ენებში სემასიოლოგიურ კატეგორებს წარმოადგენს. ე. ი. ამ კატეგორიათა შესაბამისი შინაარსის გადმოცემა ამ ენებს შეუძლიათ არა მორფოლოგიური, არამედ სემასიოლოგიური საშუალებებით.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიყოს ის საერთო და განსხვავებული, სინტაქსურ მიმართებაში შემაჯავლი ზმნურ კატეგორიათა წარმოების თვალსაზრისით, რაც ამ ორი ჯგუფის ენას ახასიათებს.

შეძლებისდაგვარად ნაშრომში უნდა აიხსნას საერთოსა და განსხვავებულის არსებობის ისტორიული მიზეზები.

საანალიზო მასალა ამოკრებილია ქართული და აფხაზური ლიტერატურის ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლებიდან. გამოყენებულია აგრეთვე, ჩვენ მიერ აფხაზუთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფლებში 1979-1984 წლებში ჩატარებული საველე მუშაობის შედეგად შეკრებილი მასალა.

I თავი

უღლების კატეგორიები

პირისა და რიცხვის კატეგორია ქართულში

სინტაქსურ მიმართებაში შემავალ ზმნურ კატეგორიათაგან ყველაზე ორგანული და ძველი პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორია უნდა იყოს.

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიები უღლების კატეგორიებია. აღნიშნული კატეგორიები ზმნას წარმოქმნის კატეგორიებშიც გადაჰყვება. ამიტომ პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიებს ცალკე გამოვყოფთ, ხოლო წარმოქმნის კატეგორიებს განვიხილავთ ზმნის პირთა რაოდენობის მიხედვით დაყოფილ თავებში.

ზმნის პირისა და რიცხვის კატეგორია ბევრი საერთოს მქონეა. რიცხვი ზმნაში პირს აქვს ([92], გვ. 166).

პირი - საკუთრივ ზმნური კატეგორიაა, რიცხვი კი ზმნისა და სახელის საერთო კატეგორიაა ([119], გვ. 3).

პირისა და რიცხვის კატეგორიას ძველ ქართველ გრამატიკოსთა შემდეგ ([4]; [11]; [23]; [24]; [55]; [81]; [122]; [123]; [125]) ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად შეეხო ალ. ცაგარელი ([171], გვ. 4-34), შემდეგ ნ. მარი ([160], გვ. 162. 160).

აღნიშნულ კატეგორიათა საკითხი ქართველურ ენებში ფართოდაა განხილული აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურის მრავალრიცხოვან ნაშრომში.

ყველა ქართველურ ენაში ზმნაში აღინიშნება სახელის პირი და რიცხვი, როგორც ეს აგლუტინაციური ტიპის ენას შეეფერება.

ქართველურ ენებში, განსხვავებით აფხაზურ-ადიღური ჯგუ-

ფის ენათაგან, პირისა და რიცხვის ზმნაში აღნიშვნა-აღუნიშვნელობას აქვს თავისი კანონები, განპირობებული, ძირითადად, შემთანხმებელი სახელის ბრუნვითა და რიცხვით (ასეა ადილურშიც, ნაწილობრივ).

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ვითარება ქართველურ ენებში მეორეულია. ამ ენებშიც (ქართველურში) ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ზმნაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო ყველა პირი და რიცხვი, როგორც ეს ხდება აფხაზურ-ადილური ჯგუფის ენებში. იგულისხმება კლასოვანიდან კლასოვანპიროვან და შემდეგ პიროვან უღვლილებაზე თანდათანობითი გადასვლის პროცესი, სხვადასხვა ფონეტიკურ მოვლენათა გათვალისწინებით. მხოლოდ შემდგომ პერიოდში, ენაში პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, უნდა მომხდარიყო ზმნაში პირისა და რიცხვის აღნიშვნა-აღუნიშვნელობის დაწესება, რასაც ობიექტისა თუ სუბიექტის სინტაქსური ძალის კლება-მატების გარდა, ფონეტიკური პროცესებიც განსაზღვრავდნენ.

თითქმის ჩვენს თვალწინ, ენის განვითარებისათვის უმოკლეს პერიოდში, შეიცვალა ზმნაში მორფოლოგიური ობიექტის აღნიშვნის წესი:

ძველ ქართულში სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტი აღინიშნებოდა ზმნაში, ახალ ქართულში კი მიცემით ბრუნვაში დასმულმა ობიექტმა გაიფართოვა უფლებათა არე.

თუკი ასე მოკლე პერიოდში ენაში მოხდა ესოდენ მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილება (რასაც ხელი ვერ შეუშალა წერილობითი ძეგლების არსებობამ), ადვილი წარმოსადგენია რა სახის ძვრები უნდა ვივარაუდოთ ქართულ ენაში ამ ხაზით, თუნდაც პირველი ქართული ხელნაწერის შექმნამდე.

სამეცნიერო ლიტერატურაში იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ, მიღებულია თვალსაზრისი, რომ ამ ენებში არსებობს ზმნათა უღვლილების სამი ტიპი: კლასოვანი, კლასოვან-პიროვან-

ნი და პიროვანი ([101]).

უღვლილების კლასოვან ეტაპზე ზმნა მონოკლასოვანია, პოლიპერსონალური ზმნა კლასოვან-პიროვანი უღვლილების განვითარების შედეგია ([60], გვ. 444).

ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების ზმნა პოლიპერსონალურია: აფხაზურ ენას ახასიათებს ზმნის კლასოვან-პიროვანი უღვლილება, ქართველური ენებისათვის პიროვანი უღვლილებაა დამახასიათებელი (ივარაუდება, რომ ქართველურმა ენებმა გამოიარეს უღვლილების კლასოვანი და კლასოვან-პიროვანი საფეხურები, რომელთა ნაშთი ქართულის პიროვან უღვლილებაში ჩანს).

სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის სირთულეები, რომლებიც თავს იჩენს ქართველურ ენათა ზმნაში პირთა და რიცხვის აღნიშვნასთან დაკავშირებით ([99], გვ. 449, 454; [100]; [164], [60]; [59], [16], [20], [128], [139], [1], [2]).

ქართულში სამი პირია: I, II, III, რომლებიც გამოიხატება პირის ნაცვალსახელებით მე — ჩვენ, შენ — თქვენ, ის — ისინი...

ქართულში, ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ინდო-ევროპულ ენათაგან განსხვავებით, არსებობს აბსოლუტური (ერთპირიანი) და რელატიური (მრავალპირიანი) ზმნები.

აბსოლუტური ზმნა, როგორც გ. როგოვას მიაჩნია, ამოსავალი, ძირეულია ამ ენებისათვის, ხოლო რელატიური, აბსოლუტურისაგან ნაწარმოებია სხვადასხვა მნიშვნელობისა და დანიშნულების აფიქსთა მეშვეობით ([59], გვ. 46).

კლასოვან უღვლილებას მონოპერსონალური ზმნა ახასიათებს, ასეთი ზმნა არ განარჩევს პირებს და იუღვლის მხოლოდ კლასთა მიხედვით.

კლასოვან-პიროვან და პიროვან უღვლილებას კი თან მოსდევს პოლიპერსონალური ზმნის თანდათანობითი ჩამოყალიბება, რის შედეგადაც ზმნა რელატიური ხდება.

ქართულში აბსოლუტურ ზმნაში აღინიშნება მხოლოდ მო-
რფოლოგიური სუბიექტის პირი და რიცხვი, ხოლო რელატიურ
ზმნაში, გარდა სუბიექტის პირისა, აღინიშნება აგრეთვე ობიექ-
ტის პირიც. შეიძლება, ამათთან ერთად, მეორე ობიექტის რი-
ცხვიც ასახოს ზმნურმა ფორმამ.

ქართულ ენაში განირჩევა აბსოლუტური — ერთპირიანი და
რელატიური ორ, სამ და ოთხპირიანი ზმნები ([25], გვ. 8-9;
[9]);

აბსოლუტური ზმნა გარდაუვალია, შეიწყობს მხოლოდ სუ-
ბიექტური პირის ნიშნებს.

რელატიური ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი და გარდაუ-
ვალი, იმის მიხედვით, შეეწყობა თუ არა მას ბრუნვაცვალებადი
(პირდაპირი ობიექტი). რელატიურ ზმნას ახასიათებს სუბიექტი-
სა და ობიექტის პირთა აღნიშვნა. თუ ზმნა სუბიექტის პირის
ნიშნით იწყება და იცვლება, უღვლილება სუბიექტური იქნება,
თუ ზმნა ობიექტის პირის ნიშნით იწყება და იცვლება —
უღვლილება ობიექტური იქნება ([92], გვ. 189-190; [166]).

**სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები ძველ და
ახალ ქართულში:**

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ —————	ვ ————— თ
2. ხ ჰ ს ჰს	ხ ჰ ს ჰს —— თ
3. ————— ს, ა, ო, ნ	———— ენ, ან, ნენ, ნ, ედ

აბსოლუტურ ზმნათა უღვლილების პარადიგმა:

1. ვ-დგა	ვ-დგა-თ
2. ხ-დგა ჰ-დგა ს-დგა	ხ-დგა-თ ჰ-დგა-თ ს-დგა-თ
3. დგა-ს დგა-ს	დგა-ნ-ან

შეიძლება ზმნურ ფორმაში პირის ნიშანი არ ჩანდეს:

1. გაუჩინარებული იყოს ფონეტიკურ ნიადაგზე: ა) სუბიექ-

ტური პირის ნიშანი ვ- იკარგვის უ- ხმოვნის წინ ძველ ქართულში: (ვ)უწყი, (ვ) უწყით... ბ) | სუბიექტური პირის ნიშანი ვ- იკარგება ვ-ინით დაწყებული ვალ-ვედ-ვიდ ზმნის წინ: „მივალ“ ნაცვლად „მი-ვ-ვალ“-ისა ([95], გვ. 61-62); გ) შ₂-ისა და O₃-ის ნიშანი, ჰ, ს-დ იქცევა ტ, დ, თ; წ, ძ, ც; ჭ, ჯ, ჩ-ს წინ და ხმოვანთა წინ საერთოდ იკარგვის. ჰაე იკარგება ს, ზ, ხ თანხმოვანთა წინაც, ძველ ტექსტებში ხშირად თანხმოვანთა წინ ჰს-ს სახით გვხვდება. აკ. შანიძის აზრით, ეს არის ჰ-დან ს-ზე გარდამავალი თანხამოვანი. ხშირია ჰს > ჰშ ([90], გვ. 117).

2. შესაძლოა პირის ნიშნის გაუჩინარება გამოწვეული იყოს მორფოლოგიური ფაქტორით. მაგალითად, დადებით ბრძანებითს ძველ ქართულში შ₂ ნიშანი არ ჰქონდა: გან-ჰ-კუეთე (თხრ. კ.), გან-კუეთე (ბრძ. კ.) უარყოფით ბრძანებითში შ₂-ის ნიშანი ჩანს: არა გან-ჰ-კუეთო!

ახალ ქართულში და დიალექტებში ეს წესი ველარ მოქმედებს, მხოლოდ „მოდ“ ზმნაშია დაცული: მოვედ > მოვედი > მოვდი > მოდი — გზის გავლით.

ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები ძველ და ახალ ქართულში:

მხ. რ.	მრ. რ.
1. მ —————	გვ —————
2. გ —————	გ ————— თ
3. ჰ ხ ს ———	ჰ ხ ს —————

ახალ ქართულში ბრუნვაუცვლელ O₃-ს მიცემით ბრუნვაში აქვს პირის ნიშანი ზმნაში, მისი მრავლობითობა კი არ აღინიშნება. ბრუნვაუცვალეზად (პირდაპირ) O₃-ს მხოლოდით რიცხვში ნიშანი არ ექნება ზმნაში; ძველ ქართულში პირდაპირი O₃-ის მრავლობითობა აღინიშნებოდა ზმნაში -ნ სუფიქსით, თუ იგი (O₃) ნ-არიანი მრავლობითის სახელობით ბრუნვაში იდგა (და-

წვრილებით იხ. ქვემოთ, გვ. 12).

რელატიური ზმნის უღვლილების პარადიგმა

სუბიექტური წყობა

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ-ადიდე	ვ-ადიდეთ
2. ხ-ადიდე ჰ-ადიდე	ხ-ადიდეთ ჰ-ადიდეთ
3. აღიდ-ა	აღიდ-ეს

ობიექტური წყობა

მხ. რ.	მრ. რ.
1. მ-იდგა-ს	გვ-იდგა-ს
2. გ-იდგა-ს	გ-იდგა-თ
3. უდგა-ს	უდგა-თ

ზმნაში მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის პირისა და რიცხვის ნიშნების ასახვა ძველსა და ახალ ქართულში დამოკიდებულია შემთავსებელი სახელის (შ-ის ან O-ის) ბრუნვასა და რიცხვზე ([108], გვ. 162, 209).

ძველსა და ახალ ქართულში სუბიექტი და ობიექტი მხოლოდ სამი ბრუნვის ფორმით გვხვდება: სახელობითით — სუბიექტი და ბრუნვაცვალებადი (პირდაპირი) ობიექტი, მოთხრობითით მხოლოდ სუბიექტი. მიცემითით ბრუნვაცვალებადი (პირდაპირი) ობიექტი და ბრუნვაუცვლელი (ირიბი) ობიექტი.

ძველ ქართულში სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის პირი და რიცხვი ზმნაში აისახება, ე. ი. ზმნაში მორფოლოგიურად გამოიხატება სუბიექტისა და ბრუნვაცვალებადი ობიექტის პირი და რიცხვი, გარდა ორი შემთხვევისა:

1. როდესაც შ₁-ის ნიშანი ხვდება O₂-ის ნიშანს:

გ-გ-კლავი-ს ნაცვლად არის გ-კლავ... და როდესაც შ₂-ის პრე-

ფიქსი უნდა შეხვდეს O_1 -ის პრეფიქსს: ხ-მ-კლავ-ის ნაცვლად არის მ-კლავ...

2. თუ სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი -ებ-იან მრავლობითშია: აღფრინდა სირი — აღფრინდა სირები...

შენიშვნა: — უნდა ვიფიქროთ, რომ უღვლილების კლასოვან-პიროვან ეტაპზე აღნიშნული ფორმები რეალური უნდა ყოფილიყო, ოღონდ პირის ნიშანთა განლაგება იქნებოდა სხვაგვარი: გ-ვ-კლავ — მე შენ გკლავ, მ-ხ-კლავ — შენ მე მკლავ, პირველ ადგილას იქნებოდა ობიექტის ნიშანი, შემდეგ სუბიექტისა (იხ. გვ. 15, 16).

მოთხრობით ბრუნვაში დასმული სახელის პირი და რიცხვი ზმნაში ყოველთვის ჩანს. ე. ი. სუბიექტის პირი და რიცხვი გარდამავალ ზმნათა დრო-კილოთა II ჯგუფში აისახება: მან კლა, მათ კლეს.

მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის პირი და რიცხვი დრო-კილოთა I ჯგუფში არ აისახება. ე. ი. ზმნაში არ ჩანს ბრუნვაუცვლელი ობიექტისა და ბრუნვაცვალებადი ობიექტის ნიშანი.

თითქოს ამ წესის გამონაკლისს წარმოადგენს ძველ ქართულში პარალელური ხმარება შემდეგი ფორმებისა: მო-მ-ეც ჩუენ || მო-გუ-ეც ჩუენ... პირველ შემთხვევაში ძველი ქართულის ნორმა (მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის რიცხვში შეუთანხმებლობა) არაა დარღვეული, მაგრამ მეორე შემთხვევაში ნორმიდან გადახრაა. მიცემით ბრუნვაში დასმულმა სახელმა მრავლობითობის გუ-ნიშანი გააჩინა ზმნაში.

გუ-ნიშანი ინკლუზივის კატეგორიის ნიშნად მიიჩნიეს ნ. მარმა ([158], გვ. 92), გ. დეეტერსმა ([186], გვ. 34), კ. ღონდუამ ([140], გვ. 135-151), ვ. თოფურიამ ([19], გვ. 26).

ნ. მარს გუ- პრეფიქსი მრავლობითობის სპეციალური ნაცვალსახელურ ფუძედ მიაჩნდა ([158], გვ. 92).

აკ. შანიძის აზრით, პირველი პირის ობიექტის მრავლობითი ორგვარად გადმოიცემა: გამრავლობითებული **O₁**-ითა და გუ- პრეფიქსით, პირველი საშუალება უფრო ძველი ჩანს ([95], გვ. 134-151).

აკ. შანიძე აღნიშნავს: „ადრინდელ ძეგლებში გუ- პრეფიქსიან ფორმებს იშვიათად ვხვდებით, იქ უფრო ერთი ფორმა გვხვდება, მანიანი ([95], გვ. 65).

ვ. თოფურიამ სვანურის საფუძველზე გუ- ინკლუზივის ნიშნად ჩათვალა ([19], გვ. 26).

ამ თვალსაზრისს იზიარებენ: ალ. ონიანი, დ. მელიქიშვილი, თ. მეტრეველი.

ალ. ონიანი სვანურის მონაცემთა მიხედვით ასკვნის, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია საერთო ქართველური მოვლენაა, შემორჩენილი სვანურში ([52]).

დ. მელიქიშვილი გუ- პრეფიქსს ინკლუზივის ნიშნად მიიჩნევს, ხოლო ექსკლუზივის ნიშანი არ ჰქონდაო ([49]).

თ. მეტრეველი ოთხთავის ორი ძველი რედაქციის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კვალი შეიმჩნევა ძველ ქართულში ([50]).

როგორც **არნ. ჩიქობავამ** დამაჯერებლად დაასაბუთა, მრავლობითობის ნიშნად მიჩნეული გუ- პრეფიქსი მხოლობითი რიცხვისა იყო ძველ ქართულში. მრავლობითობის გადმოცემა კი -ნ სუფიქსს ეკისრებოდა: — „გან-გუ-ა-ახლ-ნ-ა“... -ნ სუფიქსი ობიექტის მრავლობითობას გადმოსცემდა, ე. ი. როდესაც „ჩუენ“ სახელობით ბრუნვაში იდგა, მრავლობითობას გამოხატავდა -ენ, -ნ, იმის მიუხედავად, პრეფიქსად გუ- გვქონდა თუ მ-; ეს შეუძლებელი იქნებოდა, გუ- პრეფიქსი რომ მრავლობითობის მაჩვენებელი ყოფილიყო ძველ ქართულში: შემო-მ-კრიბ-ნ-ა, შე-გუ-კრიბ-ნ-ა, და-გუ-ბად-ნ-ა, მო-გუ-კითხ-ნ-ა...

არნ. ჩიქობავას მრავალრიცხოვან მაგალითთა ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, რომ მ- და გუ-

პრეფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრისანი არიან. გუ- უფრო ძველია მათ შორის. მ- პრეფიქსის დამკვიდრება IX-X-სს უკავშირდება და XII ს-დან უკვალოდ ქრება. ამ აფიქსის შემომტანი დიალექტი სამხრულ-დასავლური წრისა უნდა ყოფილიყო, ჭანურის მონათესავე ([112], გვ. 100, 102, 104, 105).

ამგვარად, თუ არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებულ გუფორმანტის კვალიფიკაციას გავიზიარებთ, ცხადი გახდება, რომ გუ- პრეფიქსის ხმარების შემთხვევაშიც, ძველი ქართული თავის ნორმას (მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობის გამოუხატველობას ზმნურ ფორმაში) იცავს.

არნ. ჩიქობავა გამოყოფს აგრეთვე მრავლობითობის ყე- ნაწილაკოვან აღნიშვნას ზმნაში ქართულის დიალექტებში, სადაც -ყე ნაწილაკით გადმოიცემა სახელობით ან მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა. ყე- ნაწილაკის შესატყვისად თანამედროვე ქართულში -თ სუფიქსი გვაქვს. სათანადო შემთხვევებში ძველი ქართული ამ სუფიქსს არ ხმარობს, რადგანაც იგი მრავლობითი რიცხვის I და II პირის სუბიექტის სუფიქსია და ძველ ქართულში კანონზომიერად მიგვითითებს გრამატიკული სუბიექტისა და გრამატიკული ობიექტის მრავლობითობაზე. აედევნა მათ — აედევნაყე მათ... ([120], გვ. 65-67).

ძველ ქართულთან შედარებით ახალ ქართულში შეიცვალა სახელობითი ბრუნვის როლი. მან თითქმის დაკარგა სინტაქსური ძალა, სამაგიეროდ გაფართოვდა მიცემითი ბრუნვის მოქმედების არე.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს არნ. ჩიქობავა: „მიცემითი ბრუნვის ხვედრი წონის ზრდა ინვერსიულ ზმნებში დაიწყო: გარდაუვალმა ზმნებმა, რომელთაც აწმყოს ჯგუფში ინვერსია ახასიათებთ, აღნიშნეს მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი: „დავითს ჰყავს, აქვს უყვარს“... ძველ ქართულში იყო: „მათ სწყურის, მოაქუნდა“ ახალ ქართულში: მათ სწყურიათ, მო-

აქეთ“... ინვერსიული ზმნა მიცემითს იმიტომ ეთანხმებოდა რიცხვში, რომ რეალურად აქტიური იყო. შემდეგ I და II პირთა მრავლობითობის აღნიშვნა ზმნაში ანალოგიით მოხდა: „ჩვენ გვიბრძანა, გვითხრა... თქვენ გიბრძანათ, გითხრათ“... ძველი ქართულის ორი პარალელური ვარიანტიდან: „მო-მ-ეც ჩუენ“ და „მო-გუ-ეც ჩუენ“ მიცემითი ბრუნვა არც ერთს არ ითანხმებდა. შემდგომში ახალ ქართულში გვ-პრეფიქსს დაეკისრა I პირისა და რიცხვის აღნიშვნის ფუნქცია. გვ-პრეფიქსი ერთდროულად I პირსაც აღნიშნავდა და მრავლობით რიცხვსაც... ამავე მიზეზით აღინიშნა ზმნაში სახელობით ბრუნვაში დასმული „ჩვენ“ ნაცვალსახელის მრავლობითობაც: „ჩვენ გვაქო, შეგვაწუხა“... ზმნის ინვერსია, ანალოგია, გუ-პრეფიქსის ერთადერთ პრეფიქსად ქცევა მრავლობითის I პირში ობიექტისათვის და აგრეთვე დიალექტური ნორმა აღმოსავლეთ საქართველოსი: „ეკითხებოდათ მათ ის“, „გაეპარათ მათ ის“... უწყობს ხელს მიცემითი ბრუნვის სინტაქსური როლის გაძლიერებას“ ([110], გვ. 274, 275).

ნ- ფორმანტიან მრავლობით რიცხვში მდგომი სახელი ძველ ქართულ ზმნაში თითქმის ყოველთვის აისახება, თუმცა ძველ ქართულშიც ვხვდებით ნ-არიან მრავლობითში დასმული სახელის რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევებს ([69]).

ახალ ქართულში -ებ ფორმანტიანმა მრავლობითმა გაიფართოვა უფლებები. არნ. ჩიქობავას აზრით, ძველ ქართულში ებიანი მრავლობითის არაპროდუქტიულობა ამ ფორმანტის დიალექტური წარმოშობით უნდა აიხსნას ([110], გვ. 270).

ამრიგად, ძველსა და ახალ ქართულს ახასიათებს პირის ნიშანთა პრეფიქსაცია და რიცხვის ნიშანთა სუფიქსაცია. პირის ნიშანთაგან გამონაკლისია III სუბიექტური პირი, რომელსაც სუფიქსაცია ახასიათებს: ს, ა, ო, ნ... მაგრამ ამ მოვლენას მეორეულად თვლიან ([111], გვ. 40-41; [117], გვ. 107, 109; [112], გვ.

104; [110]).

III პირი ყველა პირზე გვიან გაფორმდა, სვანურში III პირშიც პრეფიქსებია ([19], გვ. 17; 78);

რა წარმოშობისაა პირის აფიქსები ქართველურ ენებში?

თუ გავითვალისწინებთ პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების ისტორიას, პირის ნიშანთა კლასის ნიშნისეული წარმომავლობა უნდა ვივარაუდოთ:

ვ- I სუბიექტური პირის ნიშანს ქართულში **გ. როგავა** უკავშირებს აფხაზურ უ- აფიქსს, რომელიც აფხაზურში გამოყენებულია ადამიანის კლასში II პირის მამაკაცის აღმნიშვნელად. ვ-ფორმანტს **გ. როგავა** თვლის უძველეს საერთო კავკასიურ ადამიანის კატეგორიის ფორმატად, ხოლო მ-ობიექტური პირის ნიშანს ვ-ს ვარიანტად მიიჩნევს ([164], გვ. 9; [60], გვ. 446).

შ₂ და O₃-ის ნიშნად ძველ ქართულში ხ || ჰ || ჰს || ს- აფიქსია წარმოდგენილი ([90], გვ. 113-261; [87], გვ. 265-279; [91], გვ. 280-299; 174).

შ₂ და O₃-ის ერთი და იმავე აფიქსით აღნიშვნა, არნ. ჩიქობავას აზრით, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ამ აფიქსის პირვანდელი ფუნქცია არ იყო პირის გამოხატვა, იგი გრამატიკული კლასის აფიქსი უნდა ყოფილიყო ([99]). ამავე აზრისაა **გ. როგავა** ([59], გვ. 447); იგი თავის მხრივ დასძენს, რომ ჰ/ხ-ს გავლენა ძველ ტექსტებში შეიძლებოდა ყოფილიყო განსხვავებული ლიტერატურული თვალსაზრისის გამომხატველი გრაფიკული ხასიათის მოვლენა ([68], გვ. 292), ჰ/ხ შესაძლოა იყო ერთი გარდამავალი ბგერა, რომელსაც ხან ხანით გადმოსცემდნენ, ხან პაეთი ([68], გვ. 289).

ხ/ჰ ფორმანტთა გავლენამ შ₂ -ისა და O₃-ის ნიშნად ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, მათი ფუნქციური რაობის საკითხის გარდა, ჰ-სა და ხ-ს შორის ქრონოლოგიური მიმართების საკითხიც დასვა:

იგ. ჯავახიშვილს ჰაე ხანისაგან მომდინარედ მიაჩნდა ([127], გვ. 298-299).

გ. ახვლედიანი თვლიდა, რომ ჰაემეტობა/ხანმეტობა ტექსტების შექმნის დროისათვის გადავარდნილი იყო და სწორედ ამან გამოიწვია ხანისა და ჰაეს ხმარების აღრევა ([3], გვ. 100).

აკ. შანიძე ხანმეტობა/ჰაემეტობას დიალექტურ მოვლენად მიიჩნევდა ([96], გვ. 360).

თ. გონიაშვილის აზრით, ტექსტების შექმნისას „ხანურობა“ უკვე აღარ იყო მოქმედი, ჰაემეტობა კი ნორმა იყო ([8], გვ. 142, 145).

აკ. შანიძის მოსაზრებას იზიარებენ: ალ. ონიანი, ზ. სარჯველაძე, რ. ენუქაშვილი.

ალ. ონიანს მიაჩნია, რომ ხანის ჰაედ ცვალება ჯერ უნდა მომხდარიყო ხმოვნების წინა პოზიციაში, ი-ს წინ; ხი > ჰი, ამის დამადასტურებლად იგი თვლის ხანმეტ ტექსტებში გამოვლენილ ჰაემეტ ფორმებს ([52], გვ. 37; [53]; [54]).

ზ. სარჯველაძე იზიარებს აკ. შანიძის მოსაზრებას ჰ/ხ სხვადასხვა დიალექტური წარმოშობის შესახებ, იგი არ ეთანხმება გ. როგავას ვარაუდს ორი განსხვავებული ლიტერატურული თვალსაზრისის არსებობის თაობაზე ჰ/ხ- ბგერის გრაფიკულად გადმოცემაში, მას ჰ/ხ გარდამავალი ბგერის ძველ ქართულში არსებობაც საეჭვოდ მიაჩნია ([71], გვ. 29, 37).

ზ. სარჯველაძეს იმ ფაქტის ერთ-ერთ საბუთად, რომ ჰაემეტობა VIII ს-ში აღარ არის მოქმედი ნორმა, მოჰყავს ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში პირის აფიქს-მორფემათა რანგების განსაზღვრულობა: პირველ ადგილზეა III ობიექტური პირის ნიშანი, მეორეზე I სუბიექტური პირის ნიშანი; მიხუხედე (პროტ. ევანგ. 70); აღხუმართე (უკანგ. წარწ. I); აღჰუმართე (წყისის წარწ.); მიჰუგუარე (ჰაემ. 370); ჰუყოფ (388); ჰვცოდე (388) ... IX ს-დან

მორფემათა რანგი შეცვლილია: პირველ ადგილზე დგას შ₁-ის ნიშანი, მეორეზე O₃-ის ნიშანი: აღვჰმართე, მივსცემ ([71], გვ. 25).

O₃+ შ₁ მორფემათა მიმდევრობა ერთი, შ₁-ის ნიშნადაც არის გააზრებული: გ. კლიმოვი ([144], გვ. 225), ალ. ონიანი ([54], გვ. 165), თ. გამყრელიძე ([3]).

მ. სუხიშვილს, ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით, ხუ შ₁-ის ნიშნად მიაჩნია სვანურში. მკვლევრის აზრით, ხანმეტ ტექსტებში დადასტურებული O₃ + S₁ რიგი მიღებულია შ₁ + O₃ აფიქსთა განლაგების მეტაანალიზის საფუძველზე, ქართველურ ენათა ფონეტიკური სტრუქტურის გავლენით, შემდეგ გააზრიანებულია შ₁-ის ნიშნად ([73], გვ. 58).

რ. ენუქაშვილის აზრით, შ₂ O₃ პირებს სხვადასხვა ნიშანი ჰქონდათ: შ₂ ხანით აღინიშნებოდა, ხოლო O₃ ჰაეთი ([12], გვ. 117).

ჰ/ხ-ს შორის ქრონოლოგიური მიმართების საკითხის კვლევაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ჰ/ხ-ს პირვანდელი ფუნქციის გარკვევის საკითხი.

ჰ/ხ პრეფიქსთა შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან ყველაზე მართებული ჩანს ამ პრეფიქსთა პირვანდელ ფუნქციად კლას-კატეგორიის აღნიშვნის მიჩნევა ([99], გვ. 450; [164], გვ. 287; [60], გვ. 447; [57], გვ. 65; [20], გვ. 56).

თუ არ ამ საბუთით, სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ორი, გრამატიკულად განსხვავებული პირის, ობიექტისა და სუბიექტის ერთი და იმავე ნიშნით წარმოდგენა.¹

¹ შენიშვნა: O₃ + S₁მორფემათა მიმდევრობის „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ (3) პრინციპით ახსნა არამართებულად გვეჩვენება ძველი ქართულის წერილობით ძეგლთა და იბერიულ-კავკასიურ პოლიპერსონალურ

როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. როგავა: „კლასის ნიშნები ერთი მხრივ, „მკვდარი მორფოლოგიური ინვენტარის“ სახით შემოგვრჩა, ხოლო მეორე მხრივ, ეს აფიქსები გამოხატავენ ახალ მორფოლოგიურ კატეგორიებს: პირის, რიცხვის, ბრუნვისა და სხვას“ ([60], გვ. 16).

ჰ/ხ ფორმანტთა კლას-ნიშნურ წარმომავლობას ნათელს ხდის ერთი ფაქტიც: $O_3 + შ_1$ პირთა კომბინაციის დროს ხანმეტ ტექსტებში O_3 -ის ნიშანი $შ_1$ -ის წინ დგას თანხმოდგენით დაწყებულ და ხმოდგენით დაწყებულ ზმნის ფუძეთა წინ; მაგალითად:

ხ- III ირიბ ობიექტური პირის ნიშანია:

ხურქჳ — „მას ხურქჳ მე წარვედ და წარვიდის“ (მ. 8, 9)

შეხუძინე — „ორი სხუაი ტალანტი შეხუძინე“ (მ. 25, 22)

ხუარწმუნოთ — „ესე მთავარსა მას ჩუენ ხუარწმუნოთ“ (მ. 28, 14).

ხ-/ჰ- III პირდაპირ ობიექტური პირის ნიშანია:

(მიცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის ხ-/ჰ- პრეფიქსით გამოხატვა ხანმეტი და ჰემეტი ტექსტებისათვის ნორმაა ([71], გვ. 114, 115, 116): აღხუტყორცებ (უძვ. 364), ხტყოდე (უძვ. 32), ჰუყოფ (ჰემ. 388), ჰუცოდე (ჰემ. 388).

შემდგომი დროის ხელნაწერებში აღნიშნულ ზმნურ ფორმათა ნაცვლად ვხვდებით: ვჰრქჳ, ვეტჳ, შევსძინე, ვარწმუნოთ... ე. ი. ზოგან ხანის მაგიერ ჰაე ან სანია, ზოგან საერთოდ დაკარგულია ნიშანი, მაგალითად ვეტყჳ ფორმაში.

$O_3 + შ_1$ განლაგება ხანმეტ ტექსტებში გარდაუვალ ზმნაშიც დასტურდება: გარდახუჯედ — „არასადა მცნებასა შენსა გარდახუჯედ“ (ლ. 15, 29).

გარდაუვალ ზმნაში აღნიშნული მორფემათა მიმდევრობა შესაძლოა გარდამავალ ზმნათა ანალოგიით იყოს გამოწვეული.

აღნიშნულ ზმნურ ფორმებში გამოვლენილი $O_3 + \text{შ}_1$ ნიშანთა განლაგება მეტათეზისად მიაჩნიათ ([91], გვ. 186; [109], გვ. 141; [22], გვ. 95).

ჩვენი აზრით, $O_3 + \text{შ}_1$ ნიშანთა მიმდევრობა უნდა იყოს არა მეტათეზისის შედეგი, არამედ ადრე მოქმედი გრამატიკული მოვლენის ნაშთი, შემორჩენილი ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში, იმდროინდელი მოვლენა, როდესაც გვართა მიხედვით ნეიტრალურფუძიანი ზმნა ობიექტის კლასსა და სუბიექტის პირს გამოხატავდა. პრეფიქსთა ასეთი განლაგება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ერთნაირად შეძლებდა გავრცელებას, რითაც უნდა აიხსნებოდეს ხ/ჰ აფიქსთა ირიბი და პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელის როლში გამოსვლა (მდრ. ხუნძურის მონოკლასოვანი უღვლილება, ლაკურის, დარგუფლის, ბაცბურის, აფხაზურის კლასოვან-პიროვანი უღვლილება). ეს უნდა მომხდარიყო ენის განვითარებაში ზმნის უღვლილების კლასოვან-პიროვან ეტაპზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ სუბიექტის პირის აღნიშვნა გარდამავალ ზმნაში მეორეულია ([99]; [28], გვ. 5, 13; [72]; [102]; [103]).

აფხაზურში სინტაქსური ფუნქციის მიხედვით „დ“-ს რიგის პირის ნიშნები გამოყენებულია გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად ([164], გვ. 390, 391; [81]).

სწორედ „დ“-ს რიგის აფიქსთა ფუნქციისა უნდა ყოფილიყო ხ/ჰ პრეფიქსი ხანმეტ ტექსტებში შემორჩენილ აფიქსთა განლაგებაში, რამაც განსაზღვრა აღნიშნული აფიქსის თავკიდური პოზიცია ზმნაში. თუმცა აფხაზურისათვის დამახასიათებელი კლასისა და პირის ნიშანთა პოზიციური სიმყარე ქართულმა ზმნამ ვერ შეინარჩუნა. ქართულ წერილობით ძეგლებში IX ს-დან დადსტურებული პირის ნიშანთა განლაგება $\text{შ}_1 + O_3$ უნდა იყოს

სწორედ მეტათეზისის შედეგი, რაც, ფონეტიკური ცვლილებებისათვის ხელშემწყობი გარემოს გარდა, სუბიექტის ხვედრითი წონის ზრდას უნდა გამოეწვიოს.

აფხაზურში მონოპერსონალიზმის (კლასოვანი უღვლილების) დროისაა „დ“-ს რიგის აფიქსები, რომლებიც ახლა ადამიანის კლასს აღნიშნავს ([60], გვ. 443). ისტორიულად „დ“ აფიქსი ნივთის კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ([164], გვ. 9-12; [1], გვ. 154).

ნივთთა კლასიდან დ-ნიშანი ადამიანთა კატეგორიაში გადმოვიდა ჯერ ქალის კლასის აღსანიშნავად, შემდეგ ადამიანის კატეგორიის ნიშნად განზოგადდა ([60], გვ. 445).

აფხაზურ გარდამავალ ორპირიან ზმნაში პირველ ადგილას არის (პირდაპირი) უახლოესი ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, ხოლო მეორე ადგილას სუბიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა: დგ — ზ — ბოღტ — „მას მე ვხედავ“, დგ — ლ — გოღტ - ის (ად.) მას (ქ.) მიჰყავს“...

გარდამავალ სამპირიან ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, მას მოსდევს ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ნიშნები „ლ“-ს რიგით ([32], გვ. 1-27): ი-ღგ-ღ — თოღტ — „იგი (ქ.) მას (ქ.) რალაცას აძლევს“, ი-ბ-ა-ს-ჰოღტ — „მე შენ (ქ.) რალაცას გეუბნები“...

ვფიქრობთ, აფხაზურ ზმნაში პირის ნიშანთა განლაგების ეკვივალენტურია აღნიშნული პირის ნიშანთა რიგი ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში.

ქართულში, აფხაზურისაგან განსხვავებით, ხ-/ჰ- ფორმანტი ირიბ ობიექტსაც აღნიშნავს.

აღნიშნულ მორფემათა კლას-ნიშნური წარმომავლობის გათვალისწინებით, ხ/ჰ ნიშანთა ირიბი ობიექტის აღმნიშვნელის როლში გამოსვლა, შესაძლოა, ქართულ ენაში არსებული ამოსავალი მდგომარეობის ამსახველად ჩავთვალოთ (ირიბი და პირდა-

პირი ობიექტის ერთი და იმავე ნიშნით აღნიშვნა) და ანალოგიური ვითარება აფხაზურისთვისაც დავუშვათ.

დავუბრუნდეთ პირის ნიშანთა წარმოშობის საკითხს:

გ. თოფურის უეჭველად მიაჩნია, რომ ქართულში პირის ფორმანტები წარმოშობით კლასის ნიშნებია, შ₁ და **O₁** ვ > გვ ... ხოლო შ₂ და **O₃** ხ || ჰ || ს გარდამავალ ზმნაში აღნიშნავდნენ ობიექტის კლასს, გარდაუვალში კი სუბიექტისას ([20], გვ. 57, 58).

O₃-ს უძველესი სუფიქსი **არნ**. ჩიქობავას აზრით, არის -ნ სუფიქსი, იგი წინ უსწრებს -ს და -ა სუფიქსებს.

III პირის გაფორმება ყველაზე გვიანდელია, მას წინ უსწრებს სხვა პირებისა და მრავლობითის გაფორმებაც. ამით აიხსნება III პირის რამდენიმე სუფიქსით გამოხატვა. -ს და -ა სხვადასხვა დიალექტური წრისა, ან ფორმაციისაა. -ს ნაცვალსახელურია, იგი კავშირშია „ისი“-სთან... III პირის აღნიშვნასთანაა დაკავშირებული უდიდესი გარდატეხა ენაში. პრეფიქსული ენა ადგება სუფიქსაციის გზას ([111], გვ. 15, 16, 40).

პირის კატეგორიის პრეფიქსთა მსგავსად, რიცხვის კატეგორიის ფორმანტებიც გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშანთაგან მომდინარედ მიაჩნიათ.

-ნ სუფიქსი ისტორიულად ნივთის კატეგორიის ნიშნადაა მიჩნეული. თ < დ-საგან „ვართ“, „ხვარიდ“... ზმნის -თ სუფიქსი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაყრუებული და გაფშვინვიერებული -დ სუფიქსია. ყველაზე ძველია მრავლობითის აფიქსთა შორის დ > თ, მას მოსდევს -ნ და -ს, ყველაზე ახალია -ებ ([113], გვ. 66, 67).

III პირის მორფოლოგიური ობიექტის -ნ ნიშანი არნ. ჩიქობავას -ენ სუფიქსისაგან მომდინარედ მიაჩნია: ეს აიხსნებაო „კლ-ნ-ა“, „შე-კრნ-ა“, „შე-ამკვ-ნ-ა“ ფორმების არსებობით, სადაც ზმნის ძირის ხმოვნის რედუქცია აფიქსისეულ (ან დაკარგულ) ე ხმო-

ვანს უნდა გამოეწვია ([117], გვ. 112, 113).

გ. როგავას III პირის მრავლობითობის -ან სუფიქსი -ენ- სუფიქსისაგან მომდინარედ მიაჩნია. „ჭრიან < ჭრიენ“, „ტირიან < ტირიენ“... ამ ვარაუდის საფუძველზე ერთ სიბრტყეზე დგება მრავლობითობის სამი მაწარმოებელი: -ეს II -ენ II ედ, რომელთაც საერთო აქვთ ე ხმოვანი ([63], გვ. 77).

ჩვენი აზრით, იგივე ე ხმოვნის -ებ მრავლობითობის ფორმანტი არსებობაც საგულისხმოა.

-ებ ფორმანტი ნივთთა, ხოლო -ნ ადამიანთა კლას-კატეგორიის ფორმანტად მიაჩნდა **კ. დონდუას** ([142]).

ამრიგად, ქართულში პირისა და რიცხვის ნიშნები წარმოშობით კლას-კატეგორიის ფორმანტებია, ზოგი მათგანი ნაცვალსახელური ფუძისაგან მომდინარეობს (შდრ. აფხაზურის ვითარება).

შესაძლოა თვით ნაცვალსახელურ ძირებში იყოს გამოყენებული კლას-კატეგორიის ფორმანტები; შდრ.: ვ-ინ, ი-ს-ი; ი-გ-ი, მ-ათ... ([160], გვ. 132).

მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენებში, ისევე როგორც ქართულში, წარმოდგენილია უღვლილების პიროვანი ტიპი.

ქართულის მსგავსად ამ ენებსაც პირის ნიშანთა პრეფიქსაცია და რიცხვის ნიშანთა სუფიქსაცია ახასიათებთ. III სუბიექტური პირის მაწარმოებელი ამ ენებშიც სუფიქსია.

რეალურად მეგრულ-ჭანურ ზმნას, ქართულის მსგავსად, ორი პირის ნიშნის ასახვა ძალუძს ([121], გვ. 86-178).

სვანურ ზმნაში შესაძლებელია სამი პირის ნიშანი იყოს წარმოდგენილი: ერთი სუბიექტისა და ორი ობიექტისა ([19], გვ. 17; [169]; [176]).

ერთადერთი არსებითი სხვაობა, პირთა და რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით, რაც სვანურს მეგრულ-ჭანურთან და ქართულთან შედარებით ახასიათებს, არის ინკლუზივ-ექსკლუ-

ზივის კატეგორია. ზოგი მკვლევრის აზრით, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია საერთო ქართველური მოვლენაა (იხ. გვ. 11, 12). მაგრამ, როგორც არნ. ჩიქობავამ დამაჯერებლად დაასაბუთა, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ქართველური ენებისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი, იგი საკუთრივ სვანური მოვლენაა (იხ. გვ. 12).

* * *

პირისა და რიცხვის კატეგორიასთან დაკავშირებით ზემოთქმულის (გვ. 6-22) საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლებიდან:

ერთპირიანი ზმნები

ძველი ქართული

ერთპირიან ზმნებში ძველსა და ახალ ქართულში აღინიშნება მხოლოდ სუბიექტის პირი მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში

- I. რათა განვეტეო და ვიქმნე მე მიწა ([4], გვ. 37)
- II. რამეთუ იამავარი ვარი ([4], გვ. 42)
- III. ანუ სრულ ხარა ადგილსა მას? ([4], გვ. 40)
- IV. ... და ნუ შეხვალ გზათა სიცრუისათა ([4], გვ. 39)
- V. ... და აწ, შვილო, წარვედ ნინევით ([4], გვ. 52)
- VI. ოდეს მოკუდა სალმანასარ ([4], გვ. 35)
- VII. ვითარცა მოცემულ არს ჩუენდა ცხორება უფლისა მიერ, ეგრეცა ვცხონდებით ([4], გვ. 41)
- VIII. რამეთუ დავგლახაკენით ფრიად ([4], გვ. 40)
- IX. მივედით და გამოიკითხეთ ჭემმარითად ყრმისა მისთვის

([7], გვ. 262)

X. შვილნი არასნეულნი იშვეებიან ([4], გვ. 43)

I, II მაგალითში შ₁ ნიშანია ვ-; III, IV მაგალითში შ₂ ნიშანია ხ-; V, IX მაგალითში შ₂ ნიშანი არ ჩანს, რადგან ზმნები დადებით ბრძანებით კილოშია; უარყოფითში შ₂-ის ნიშანი აღდგება: არ წა-ხ-ვიდეთ, არ მი-ხ-ვიდეთ... VI მაგალითში შ₃ ნიშანია -ა; VII, VIII მაგალითში შ₁ ნიშანია ვ-, მრავლობითი რიცხვისაა -თ; IX მაგალითში შ₃ ნიშანია მრავლობით რიცხვში -ან...

ახალი ქართული

I. ვზივარ და შევჭვრეტ ჩემ წინ სანთელსა ([9], გვ. 34)

II. აბა პატარა ხანს დადეგ... ([9], გვ. 208)

III. მხოლოდ შემა ტკაცუნებს ([10], გვ. 258)

IV. უღრანი ტყე დელავს, ფუსფუსებს ([10], გვ. 257)

V. ... და მასზე ვლაზღანდარობდით ([9], გვ. 76)

VI. ... ვიწექით და ვნებივრობდით ([9], გვ. 76)

VII. აგერ თქვენც ჰქრებით თანდათანა... ([9], გვ. 42)

VIII. თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად ([9], გვ. 42)

IX. თქვენნი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენივრად ცას აღარ უმკობენ ([9], გვ. 42)

X. ცხენებიც შორიახლოს გაინაბნენ ([10], გვ. 257)

I მაგალითში შ₁-ის ნიშანია ვ-, II მაგალითში შ₂-ის ნიშანი არ ჩანს, რადგან ზმნა დადებით ბრძანებით კილოშია, III, IV მაგალითში ჩანს შ₃-ის ნიშანი -ს, V, VI მაგალითში შ₁-ის ნიშანია მრავლობით რიცხვში ვ- — -თ, VII მაგალითში შ₂-ის ნიშანია მრავლობით რიცხვში ჰ- — -თ, VIII მაგალითში შ₂-ის ნიშანია მრავლობით რიცხვში -თ, ჰ- პრეფიქსი გაუჩინარებულა ხმოვნის წინა პოზიციაში, IX, მაგალითში შ₃-ის ნიშანია მრავლობით რიცხვში -ან, ს- პრეფიქსი ზედმეტად არის ნახმარი, X მაგალითში შ₃-ის ნიშანია მრავლობით რიცხვში -ნენ...

ორპირიანი გარდამავალი ზმნები

ძველი ქართული

- I. მე ვითხოო სიკუდილი ([4], გვ. 38)
- II. და არა შევაგინე სახელი ჩემი ([4], გვ. 38)
- III. გამოიძიე იგი, რა მიხვდე, და მოუღე ([4], გვ. 40)
- IV. ვინა ჰპოო ძმათა ჩუნთაგანი ნაკლულევანი ([4], გვ. 36)
- V. და მოვიყვანოთ იგი და მივიყვანოთ მამისა შენისა ([4], გვ. 42)
- VI. ნუ ეგრე ზრახავთ ([4], გვ. 37)
- VII. ... და აღჭრეს ყოველი ნაყოფი მისი ([4], გვ. 36)
- VIII. მოკლეს იგი ორთა ძეთა მისთა და წარივლტოდეს იგინი ([4], გვ. 35)

გარდამავალ ორპირიან ზმნას ორი პირი შეეწყობა: სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტისა. სუბიექტის ნიშანი ორპირიან გარდამავალ ზმნაში ყოველთვის წარმოდგენილია. პირდაპირი ობიექტის ნიშანი კი შეიძლება არ ჩანდეს: ხმოვნით დაწყებულ ფუძეთა წინ, უზმნისწინო ფორმებში (ზოგი გამონაკლისის გარდა), აგრეთვე მაშინ, როცა პირდაპირი ობიექტი III პირშია II სერის მწყრივთა ფორმებთან.

I მაგალითში ჩანს შ₁-ის ნიშანი ვ-, პირდ. ობიექტის ნიშანი გაუჩინარებულია ხმოვნის წინა პოზიციაში, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში იქნებოდა *ხვთხოო, *ჰვთხოო... II მაგალითში ჩანს შ₁-ის ვ- ნიშანი, პირდ. ობიექტის ნიშანი არ ჩანს, რადგან იგი III

პირისაა, ზმნა კი II სერიაშია. III მაგალითში არ ჩანს არც შ₂-ისა და არც O₁-ის ნიშანი: O₃-ის ნიშანი არ ჩანს ხმოვნის წინა პოზიციაში, შ₂-ის ნიშანი კი არ ჩანს, რადგან ზმნა დადებით ბრძანებით კილოშია. VI მაგალითში აღნიშნულია მხოლოდ შ₃, შ₂ ფონეტიკურ ნიადაგზეა გაუჩინარებული. V მაგალითში შ₁-ის ნიშანი მრავლობით რიცხვში არის ვ--თ, O₃-ის ნიშანი გაუჩინარებულია ხმოვნის წინა პოზიციაში. ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში უნდა ყოფილიყო *მოხჰყვანოთ, *მოჰყვანოთ. VI მაგალითში მხოლოდ მრავლობითობის -თ სუფიქსიდაა, შ₂ და O₃-ის ნიშნები ფონეტიკურ ნიადაგზეა გაუჩინარებული. ხანმეტ ტექსტებში იქნებოდა *ხხზრახავთ... VII, VIII მაგალითში მხოლოდ შ₃-ის მრავლობითობის -ეს სუფიქსი ჩანს. O₃-ის ნიშანი არ ჩანს, რადგან O₃ III პირია, ზმნა II სერიაშია.

ახალი ქართული

- I. მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული ([9], გვ. 72)
- II. გადავწყვიტე და ორი დღის შემდეგ კახეთი გადავჭერი ([10], გვ. 253)
- III. იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს ([9], გვ. 41)
- IV. მე თრთოლვით ვსჭვრეტდი ლაყვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს ([9], გვ. 41)
- V. ღმერთმა შეჰქმნა მარტო ცრემლი ([9], გვ. 89)
- VI. გამოაბოლა პაპიროსი და მოჰყვა ლაპარაკსა ([9], გვ. 203)
- VII. მერე, როცა დაქსაქსულნი უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო ([9], გვ. 76)
- VIII. ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ ([9], გვ. 195)
- IX. სახელი რით მოვიხვეჭეთ? ([9], გვ. 75)

X. და, ვაი, თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ ([9], გვ. 93)

XI. ლუკმა-ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ ([9], გვ. 93)

XII. მოგვკრიბეს და შეგვამწყვდიეს ([9], გვ. 77)

I, II, III მაგალითში შ₁-ის ნიშანია ვ-, პირლ. ობიექტის ნიშანი არ ჩანს. IV მაგალითში ჩანს შ₁-ის ვ- და O₃-ის ს- ნიშნები. V მაგალითში ჰ- O₃-ის ნიშანია, -ა შ₃-სი. VI მაგალითში ჩანს მხოლოდ შ₃-ის -ა ნიშანი, O₃ არ ჩანს, რადგან III პირია, ზმნა II სერიაშია. VII მაგალითში გვ- ნიშნით აღნიშნულია O₁ მრავლობითში, -ო შ₃-ის ნიშანია. VIII, IX მაგალითში შ₁-ის ნიშანია მრავლობით რიცხვში ვ--თ, O₃ არ ჩანს. X მაგალითში შ₂-ის მრავლობითობის -თ ნიშანია, O₃ არ ჩანს. XI მაგალითში O₃-ის ს- და შ₂-ის მრავლობითობის -თ ნიშანია. XII მაგალითში გვ- ნიშანი O₁-ისაა მრავლობითში, -ეს სუბიექტის III პირისაა მრავლობითში.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნები

ძველი ქართული

I. რამეთუ მივმს მე, რათა მიხვდე ჩემ თანა და მიგცე ([4], გვ. 40)

II. მას დღესა შინა შეხუდა სარას ([4], გვ. 37)

III. მოწყალებანი შენნი მოევლინებიან ([4], გვ. 21)

I მაგალითში მ- O₁-ის ნიშანია, -ს შ₃-სი, II მაგალითში ჩანს შ₃-ის -ა ნიშანი, O₃-ის ნიშანი გაუჩინარებულა. III მაგალითში O₃-ის ნიშანი არ ჩანს ხმოვნის წინა პოზიციაში. შ₃-ის ნიშანია მრავლობით რიცხვში -ან...

ორპირიან გარდაუვალ ზმნაში ძველ ქართულში უნდა ჩანდეს სუბიექტისა და ირიბი ობიექტის ხ/ჰ/ს ნიშანი, ეს უკანასკნელი იკარგვის ხმოვნის წინა პოზიციაში.

ახალი ქართული

- I. ჩემს სამშობლო ქვეყანას ვუახლოვდებოდი ([9], გვ. 198)
- II. ვზივარ და შეევკვრეტ ჩემ წინ სანთელსა ([9], გვ. 43)
- III. მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია ([9], გვ. 86)
- IV. თუმცა ძველნი დაგ შორდნენ, ახალნი ხომ შენია ([9], გვ. 86)
- V. შემაწუხებ ამდენ კითხვით ([9], გვ. 78)
- VI. ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს ([9], გვ. 131)
- VII. მზერა კვლავ სწყურიან თვალს ([9], გვ. 92)
- VIII. ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა ([9], გვ. 87)
- IX. მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია ([9], გვ. 86)

I, II მაგალითში ვ- შ₁-ის ნიშანია. III მაგალითში გ- O₂-ის ნიშანია, -ს შ₃-სი. IV მაგალითში გ- O₂-ის ნიშანია, -ნენ შ₃-ისა მრავლობით რიცხვში. V მაგალითში მ- O₁-ის ნიშანია, შ₂-ის ნიშანი არ ჩანს. VI მაგალითში მ- O₁-ის ნიშანია, -ა შ₃-სი. VII მაგალითში ს- O₃-ის ნიშანია, -ა შ₃-ისა. VIII მაგალითში ს- O₃-ის ნიშანია, -ა შ₃-ის, IX მაგალითში ჰ- O₃-ის ნიშანია, -ნ შ₃-ისა მრავლობით რიცხვში.

სამპირიანი ზმნები

ძველი ქართული

სამპირიანი ზმნა ყოველთვის გარდამავალია. იგი შეიცავს სუბიექტისა და ირიბი ობიექტის ნიშანს. ძველ ქართულში ამ ორთან ერთად შესაძლოა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაც აისახოს ზმნურ ფორმაში.

- I. რათა ვაუწყო მას ვიდრე სიკუდილმდე ჩემდა? ([4], გვ. 38)
- II. პურისა შენისაგან სცი მშირესა ([4], გვ. 39)

- III. მიჰფინე პური შენი საფლავსა ზედა მართალსა ([4], გვ. 39)
- IV. ყოველსა რომელსა მამცნებ მე, ყოფით ცყო ([4], გვ. 40)
- V. და მიგცე სასყიდელი შენი ([4], გვ. 40)
- VI. და მერმელა შევსძინო სასყიდელსა შენსა ზედა ([4], გვ. 41)
- VII. და მისცა მას მაღალმან მაღლი და ხატოვანება წინაშე საღმანსარ მეფისა ([4], გვ. 35)
- VIII ... და მოადგა ზღუდე გარემო მისა ([4], გვ. 53)
- IX. და ნაცარგარდასხმულნი ვარშამანგთა მათთა შე-სწირვიდეს მსხუერპლსა ([4], გვ. 57)
- X. რათა მოგცენ იგი შენ ცოლად ([4], გვ. 42)

I მაგალითში \mathbb{M}_1 -ის ნიშანია ვ-. II მაგალითში \mathbb{M}_2 -ის ნიშანია ს-. ამ მაგალითებში \mathbf{O}_3 ირიბი და პირდაპირი არ ჩანს, ხმოვნის წინაა გაუჩინარებული. III მაგალითში ჰ- \mathbf{O}_3 ირიბის ნიშანია. შ2 და \mathbf{O}_3 პირდაპირი არ ჩანს. IV მაგალითში მ- \mathbf{O}_1 ირიბის ნიშანია. შ2 და \mathbf{O}_3 პირდაპირი არ ჩანს. V მაგალითში გ- \mathbf{O}_3 ირიბის ნიშანია შ1 და \mathbf{O}_3 პირდაპირი არ ჩანს. VI მაგალითში ვ- \mathbb{M}_1 -ის ნიშანია ს- \mathbf{O}_3 ირიბისა; \mathbf{O}_3 პირდაპირი არ ჩანს. ეს უკანასკნელი რომ მრავლობით რიცხვში იყოს, გვექნებოდა შევსძინო. VII მაგალითში ს- \mathbf{O}_3 ირიბის ნიშანია, -ა შ3-ისა. VIII მაგალითში მხოლოდ შ3-ის -ა ჩანს. IX მაგალითში ს- \mathbf{O}_3 ირიბის ნიშანია, -ეს შ3-ისა მრავლობითში. X მაგალითში გ- \mathbf{O}_2 ირიბის ნიშანია, -ენ შ3-ისა მრავლობითში. \mathbf{O}_3 პირდაპირი არ ჩანს.

ახალი ქართული

- I. მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა ([9], გვ. 41)
- II. როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ყრუოლასა

([9], გვ. 41)

III. თქვენ შეგჩიოდით ([9], გვ. 42)

IV. მაშინ არსცემდით ნუგეშს ([9], გვ. 42)

V. უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა ([9], გვ. 42)

VI. როს საშველად მოწვეულმა წაგვიჭირა თოკი ყელში ([9], გვ. 76)

VII. დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით ([9], გვ. 78)

VIII. ... ან თვით ერმა თვისი ცრემლი ზედ ტბად რის-
თვის დაადინა ([9], გვ. 87)

IX. აბა დღეს მე ვის რა ვარგე? ([9], გვ. 90)

I მაგალითში ვ- შ₁-ის ნიშანია, O₃ ირიბი და O₃ პირდაპირი არ ჩანს. II მაგალითში მ- O₁ ირიბის ნიშანია, -ა შ₂-ის, O₃ პირდაპირის ნიშანი არ ჩანს. III მაგალითში გ-თ O₂-ირიბის ნიშანია მრავლობითში, შ₁ და O₃ პირდაპირი ნიშანი არ ჩანს. IV მაგალითში ს- O₂ ირიბის ნიშანია, -თ შ₂-ის მრავლობით რიცხვში, O₃ პირდაპირი არ ჩანს. V მაგალითში გ-თ O₂ ირიბის ნიშანია მრავლობითში, შ₁ და O₃ პირდაპირი არ ჩანს. VI მაგალითში გვ- O₁ ირიბის ნიშანია, -ა შ₃-ისა, O₃ პირდაპირი არ ჩანს. VII მაგალითში ვ-თ შ₁-ის ნიშანია მრავლობითში, O₃ ირიბი და O₃ პირდაპირი არ ჩანს. VIII მაგალითში ა- შ₃-ის ნიშანია, ობიექტების ნიშნები არ ჩანს. IX მაგალითში მხოლოდ შ₁ ვ-თია აღნიშნული.

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორია
აფხაზურში.

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორია აფხაზურში პირველად გამოყოფა **გ. როზენმა**.

გ. როზენის აზრით, აფხაზურში სუბიექტის სიმრავლე პირის ნაცვალსახელურ პრეფიქსებში გამოიხატება, ისინი (პირის

პრეფიქსები) დროთა მიხედვით არ იცვლება ([196], გვ. 77), პირის ნიშნები ემსგავსება ნაცვალსახელებს ([196], გვ. 78); ნაცვალსახელით აღნიშნული ობიექტი, რომელზედაც მოქმედება გადადის, ზმნაში ჩაერთვის, ობიექტის პრეფიქსები არ განსხვავდება სუბიექტისაგან. სუბიექტსა და ობიექტს არჩევს აზრი და ადგილმდებარეობა: თავში დასმული ნიშანი ობიექტისაა, მომდევნო — სუბიექტისა ([196], გვ. 80). გ. როზენს გარჩეული არა აქვს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის განსხვავება პირის აფიქსთა განლაგების მიხედვით.

აფხაზური ზმნის პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიათა თაობაზე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული **პ. უსლარს**: (170).

პირის, კლასისა („**под**“) და რიცხვის ნიშნები ნაცვალსახელიური დამახასიათებლებით აისახება ზმნაში ([170], გვ. 16).

აფხაზურში კლასებად დაყოფა ხდება გონიერთა და არაგონიერთა მიხედვით ([170], გვ. 17).

პირის ნიშანთა ცვლა დროის ცვლილებას არ ექვემდებარება ([170], გვ. 22).

პ. უსლარს არა მარტო სწორად აქვს აღნიშნული პირის, კლასისა და რიცხვის ნიშნები, არამედ ასევე სწორად აქვს შენიშნული გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში მათი განლაგების თავისებურება ([170], გვ. 57-59).

დ- ნიშანი იხმარება ადამიანის აღმნიშვნელად III პირის მხოლოდობით რიცხვში, განურჩევლად სქესისა ([170], გვ. 18-19). არაგონიერთა კლასი ი- ნიშნით აღინიშნება ([170], გვ. 45). III პირის მხოლოდობით რიცხვში ნივთის კლასის გარდამავალი ზმნის სუბიექტი ნა- პრეფიქსით აღინიშნება ([170], გვ. 53).

პ. უსლარს არ გამოორჩენია არც სამიმართელო ნაცვალსახელთა შემცველი ფორმები ([170], გვ. 50). პირის ნიშანთა გამჟღერებისა ([170], გვ. 45-47) და ფუძის განკვეთის შემთხვევები,

მაგრამ ამ უკანასკნელის გამომწვევი მიზეზის დადგენა ვერ მოუხერხებია ([170], გვ. 52).

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიებს აფხაზური ენის ზმნაში შეეხო ნ. მარიც ([159], გვ. 1-33).

იაფეტური ენების მსგავსად აფხაზურში გვაქვს მიმართებითი ფორმები, რომლებიც ორ მიმართებას გამოხატავენ ერთდროულად: 1. მიმართებას პირდაპირი ობიექტისადმი და 2. მიმართებას ირიბი ობიექტისადმი. ამ დროს პრეფიქსები ასეთი რიგით ლაგდებიან: ჯერ პირდაპირი ობიექტის ნიშანია, (მაგ. -ი), შემდეგ ირიბი ობიექტისა (მაგ. -უ) და მესამე ადგილზე სუბიექტისა (მაგ. -ს) ([159], გვ. 1-33).

გ. დეეტერსი აფხაზურში პირის ნიშნებს ჰყოფს პოსესიურ და სუბიექტურ ნიშნებად. პოსესიურია ს, □ ლ, (ნ) ა, ჰ(ა), შ□, რ || დ, სუბიექტური — (ზ) (1 პ.), უ, ბ, დ, (□), (აა), (ჟ□), (□). ამათგან სქესის ნიშნებია უ, ბ, □ ლ. გონიერის აღმნიშვნელია — ი, ლ, დ, არაგონიერისა — (ნ)ა, (□), განუსაზღვრელია პოსესიური ზ და სუბიექტური □ ([187], გვ. 293).

ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ძირითადად **ქ. ლომთათიძის** დებულებებს ემყარება:

აფხაზური ენის ზმნას პიროვან-კლასოვანი უღვლილება ახასიათებს, რაც კლასოვანი უღვლილების განვითარების შედეგია ([101], გვ. 51-63; [1], გვ. 131; 181).

ისევე, როგორც ქართველურ ენებში, აფხაზურშიც ზმნა პოლიპერსონალურია; იგი ასახავს სუბიექტისა და ორივე ობიექტის პირს. თუ ქართველურ ენებში ზმნას შეუძლია მხოლოდ ორი პირის და მესამის რიცხვის (ძვ. ქართულში) მორფოლოგიური ნიშნის შეგუება, აფხაზურ ზმნას ერთსა და იმავე დროს სამი და მეტი მორფოლოგიური პირის აფიქსის ასახვა ძალუძს.

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშნები აფხაზურ ზმნაში პრე-

ფიქსებია. ერთადერთი გამონაკლისია ნივთთა კლასის მრავლობითობის — ქა სუფიქსის გამოვლენა ზმნაში, გარკვეულ შემთხვევებში.

აფხაზური ზმნის ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა ადამიანისა და ნივთთა კლასის კატეგორია.

გრამატიკულ კლასებს ზმნა განარჩევს მხოლობითი რიცხვის II და III პირში; მხოლობითი რიცხვის II პირში ზმნა ასხვავებს მამაკაცისა და ქალის ქვეკლასებს: მკ. ქვეკლასის ნიშანია ჟ-, ხოლო ქ. ქვეკლასის ნიშანი არის ბ-; ჟ-ცოტ „შენ (მკ.) მიდიხარ“, ბ-ცოტ „შენ (ქ.) მიდიხარ“...

მხოლობითი რიცხვის III პირში ზმნა განარჩევს ადამიანთა კლასს (მკ.-ისა და ქ.-ისას ერთად), მკ.-ის ქვეკლასს, ქ.-ის ქვეკლასს, ნივთთა კლასს. ადამიანთა (გაუდიფერენცირებლად) კლასის ფორმანტია დ-, მკ.-ის ქვეკლასს აღნიშნავს პრეფიქსი ი-, ქ.-ის ქვეკლასს კი ლ-; ნივთის კლასის მაჩვენებლებია □, ა-, ნა- პრეფიქსები...

აღნიშნული აფიქსები კლასის ჩვენების გარდა, გამოხატავენ აგრეთვე, სუბიექტისა და ობიექტების პირისა და რიცხვს.

აფხაზურში გამოჰყოფენ პირისა და კლასის ნიშანთა ორ წყებას:

პირის ნიშანთა ის წყება, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ისა და ქ.-ის კლასებსა (ცალ-ცალკე) და ნივთთა კლასს, პირობითად წოდებულია „ლ“-ს რიგად (ქ.-ის ქვეკლასის აფიქსის ლ-ს მიხედვით), ხოლო მეორე რიგი აფიქსებისა, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ის (გაუდიფერენცირებლად) კლასს, ადამიანს (პიროვნებას) და ნივთს (საგანს) სახელდებულია „დ“-ს რიგად. ადამიანის (გონიერის) კლასის აფიქს „დ“-ს მიხედვით ([156], გვ. 389-392; [138], გვ. 76, 77; [151]; [180]; [175]; [137]).

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშანთა სქემა:

„ლ“		„დ“	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
Iბ. ს/ზ	ჰ(ა)-/აა	Iბ. ს	ჰ-/ჰა
IIბ. უ- (მამაკ. კლ.) ბ- (ქალის კლ.)	} ში-ქი-	IIბ. უ- (მამაკ. კლ.) ბ- (ქალის კლ.)	} ში-
IIIბ. □ (მამაკ. კლ.) ლ- (ქალის კლ.) □/ა-/ნა- (არაგონ კლ.)	} რ-/დ-	IIIბ. დ- (ადამ. კლ.) □ (არაგონ კლ.)	} □

იმისდა მიხედვით, თუ რომელი პირის ნიშანი დგას ზმნის ძირის წინ და რომელი იცვლება პირისა და კლასის მიხედვით, სუბიექტისა თუ ობიექტისა, პირის ნიშანთა წყობა იქნება სუბიექტური ან ობიექტური.

წყობა სუბიექტურია, თუ ზმნის ძირის წინ რეალური და გრამატიკული სუბიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის მიხედვით იცვლება. სუბიექტური წყობა გარდამავალ ზმნებში გვხვდება.

წყობა ობიექტურია, თუ ზმნის ფუძის წინ ობიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის მიხედვით იცვლება. ობიექტური წყობა გარდაუვალ და ინვერსიულ ზმნებს ახასიათებს.

აფხაზური ზმნის ფორმებში გამოჰყოფენ ე. წ. მიმართებით ნაცვალსახელებს, მიმართებით პრეფიქსებს. ეს პრეფიქსები განარჩევენ „დ“-სა და „ლ“-ს რიგს; იხმარება მიმღეობურ წარმოებაში პირ-კლასის აფიქსთა ნაცვლად: „დ“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად იხმარება ი- სამიმართებო პრეფიქსი, „ლ“-ს რიგის

აფიქსთა ნაცვლად ზ- სამიმართებო პრეფიქსი: ი-ლ-ბო „რასაც ხედავს“, ი-ყა-ზ-წო „ვინც აკეთებს“...

პირის ნიშნთაგან განსხვავებით, ი- და ზ- პრეფიქსები პირს, კლასსა და რიცხვს არ განარჩევს... სახელური მრავლობითობის ნიშანი ამ წარმოებებშიც დაერთვის ზმნას და რიცხვს გამოხატავს. ასეთივე წარმოება დადასტურებულია ადილურშიც. ეს ფორმები სიტყვა-წინადადებებს წარმოადგენენ მიმღეობის ფუნქციით ([156]; [124]).

აფხაზურში არ არის ქართველურ ენათა მსგავსი პირის ნიშნთა დიფერენციაცია სუბიექტურ და ობიექტურ ნიშნებად, მაგრამ ჩანასახის სახით ასეთი დაპირისპირება მაინც გვაქვს: (შდრ. ნა- პრეფიქსი, რომელიც მხოლოდ გარდამავალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს).

პირისა და კლასის ნიშნები აფხაზურში სუბიექტის აღსანიშნავად გამოიყენება და ობიექტის აღსანიშნავად.

მათი სხვადასხვა როლში გამოსვლა დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობაზე.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით „დ“-ს რიგის პირის ნიშნები გამოყენებულია: ა) გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და ბ) გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად. ხოლო „ლ“-ს რიგის პირის ნიშნები: ა) გარდამავალ ზმნათა სუბიექტისა, ბ) ირიბი ობიექტისა და გ) გარკვეული ნაწილაკის დართვით ინსტრუმენტალობის გამოსახატავად.

აფხაზურ ზმნას პირ-კლასის ნიშნები თავში მოუდის. მათი ადგილი მკაცრად განსაზღვრულია:

ზმნის მთლიან ფორმაში პირველ ადგილას ყოველთვის „დ“-ს რიგის აფიქსები გამოდის, მათ მოსდევს „ლ“-ს რიგის აფიქსები.

გარდაუვალ ზმნაში პირველ ადგილას არის სუბიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, II ადგილას ირიბი ობიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა: დ-ბგ-შთალო□ტ „იგი (გონ.) შენ (დკ.) მოგსდევს“.

გარდამავალ ორპირიან ზმნაში პირველ ადგილას არის უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, ხოლო II ადგილას სუბიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა.

გარდამავალ სამპირიან ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, მას მოსდევს ირიბი ობიექტის და სუბიექტის ნიშნები „ლ“-ს რიგისა: □ უ-გ-ს-თო□ტ „მე შენ (მკ.) გაძლევ მას (ნ)“.

ზოგ ზმნას პირის ნიშნების ინვერსიული წყობა ახასიათებს. ინვერსიულია გრძნობა-აღქმის, კუთვნილების გამომხატველი და ზოგი სხვა ზმნა.

ინვერსიულ ზმნაში გრამატიკული სუბიექტის პირის ნიშანი აღნიშნავს რეალურ ობიექტს, ხოლო გრამატიკული ირიბი ობიექტის ნიშნით რეალური სუბიექტია გამოხატული. ინვერსიული ზმნები გარდაუვალია, ისინი სტატიკურიც შეიძლება იყოს და დინამიკურიც. ინვერსიულ ზმნებში გარდამავალ ზმნათა მსგავსად, რეალური სუბიექტი „ლ“-ს რიგის აფიქსებით გამოიხატება, მაგრამ „ლ“-ს რიგის აფიქსებით სინამდვილეში ირიბი ობიექტია გადმოცემული.

ყველა გარდამავალი ზმნა ზოგ ზმნურ კატეგორიაში (პოტენციალისი, უნებურობა) ინვერსიული, ე. ი. გარდაუვალი ხდება ([32]; [154]; [138], გვ. 100, 102; [151]).

აფხაზურში, როგორც აღვნიშნეთ, პირისა და კლასის ნიშნები პრეფიქსებია ორსავე რიცხვში. რთულფუძიან გარდამავალ ზმნაში სუბიექტის პირის ნიშანი განკვეთს ფუძეს და ძირის წინ აღმოჩნდება: ი-ყა-ს-წე□ტ „მე ის გავაკეთე“, აყაწარა „კეთება“.

ეს მოვლენა იმდენად სისტემატური ხასიათისაა, რომ აფხაზური ზმნის გარდამავლობის ერთ-ერთ ნიშნადაა მიჩნეული.

ნივთის კლასის სუბიექტის პირის ნიშნად გარდამავალ განკვეთილ ზმნებში გვხვდება ნა-ფორმანტი: აჟმა ი-ყა-ნა-წე□ტ — „თხამ გააკეთა“... ([32], გვ. 1-27).

სათანადო ფონეტიკურ გარემოში პირისა და რიცხვის ნიშნებს ცვლილება მოსდით:

I სუბიექტური პირის ნიშანს მხოლოდითა და მრავლობითში და II სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშანს: ს-, ჰ-, შმ- გარდამავალ ზმნაში მკლერი თანხმოვნით დაწყებულ ფუძეთა წინ მოსდის ასიმილაცია: ს>ზ, ჰ>აა, შმ>ჟმ...

როგორც ქ. ლომთათიძემ გაარკვია, პირის ნიშანთა გამკლერება ხდება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან. აბაზურ დიალექტებში აღნიშნულ მოვლენას (იგულისხმება პირის ნიშანთა გამკლერება) ადგილი აქვს მკვეთრი თანხმოვნით დაწყებულ ზმნაშიც. აფხაზურში გამკლერებული პირის ნიშანი ზოგჯერ მაშინაც გვხვდება, როდესაც საამისო პირობა არ არსებობს: ღზ მბეღტ II დსგ მბეღტ „იგი ვერ (არ) ვნახე“, ეს ფაქტები (უკანასკნელს ავტორი დადებით ფორმათა ანალოგიით ხსნის) ქ. ლომთათიძეს ამ მოვლენის (პირის ნიშანთა გამკლერების) უნიფიკაციის მომასწავლებლად მიაჩნია ([32]; [30], §35; [155]; [66], გვ. 161-165; [29], გვ. 232, 233, 142-143, 146; [150]).

„ლ“-ს რიგის III პირის მრავლობითობის ნიშანი რ-, კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელ რ- ფორმანტთან შეხვედრისას განიცდის დისიმილაციას: რ>დ... ქ. ლომთათიძის აზრით, ამ ფონეტიკურ მოვლენას აქვს გარკვეული მორფოლოგიური საფუძველი: — „ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებული... კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითობის აფიქსი უნდა ყოფილიყო... შესაძლოა, დისიმილაციის ამ ფაქტით შემოგვენახა პირის ნიშნის მოსალოდნელი სახეობა ([34], გვ. 91).

ცალკე აღნიშვნის ღირსია აფხაზურში მრავლობითობის ასახვა ზმნაში -ქმა ნივთთა კლასის მრავლობითობის მაწარმოებელი ფორმანტით: იყასწეღტ „მე ის გავაკეთე“, იყასწაქღტ „მე ისინი გავაკეთე“. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა

რ. ჯანაშიამ: ([130]).

-ქ□ა სუფიქსი იხმარება აფხაზურში ყველანაირ ზმნასთან. მისი ხმარება ფაკულტატურია, იგი დაერთვის ზმნის ფუძეს დროის მაწარმოებელთა წინ და აღნიშნავს: 1) პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს, 2) გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 3) გარდამავალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 4) ირიბი ობიექტის სიმრავლეს, 5) მოქმედების მრავალგზისობას.

ამ შემთხვევებიდან აფხაზურისათვის ყველაზე ნიშანდობლივია პირდაპირი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლის აღნიშვნა -ქ□ა სუფიქსით; ე. ი. „დ“-ს რიგის აფიქსებით გამოხატულ პირთა მრავლობითობა. უდრ.: ძველი ქართულის ვითარება: -ენ სუფიქსით პირდაპირი ობიექტისა და ზოგჯერ გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში.

რ. ჯანაშიას აზრით, III პირში -ქ□ა სუფიქსის დართვა იმითაა გამოწვეული, რომ „დ“-ს რიგის III პირის მრავლობითობა გამოიხატება ერთი □ ფორმანტით, როცა მხოლოდობით რიცხვში იმავე რიგში ორი: დ- და □ ფორმანტი გვაქვს — ერთი აღამიანისა და მეორე ნივთისათვის.

„ლ“-ს რიგის აფიქსებით გადმოცემულ პირთა სიმრავლის აღსანიშნავად -ქ□ა სუფიქსის გამოყენება აფხაზურისათვის ნაკლებ დამახასიათებელი, მეორეული მოვლენაა ([130], გვ. 247-251).

აფხაზური ზმნისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ისეთი შემთხვევები (განპირობებულის სხვადასხვა მიზეზებით), როდესაც ზმნაში სუბიექტისა ან რომელიმე ობიექტის პირი არ აისახება:

სუბიექტის პირი არ ჩანს გარდამავალ ზმნაში:

- ა) აბსოლუტივში,
- ბ) დადებით ბრძანებითში.

ა) აბსოლუტივში ზმნის სუბიექტის ნიშანი არ ჩანს, მომდევნო ზმნის საშუალებით ირკვევა, რომელი პირია მოქმედი: ი-ყა-ს-

წეღ — „მე გავაკეთე“ — პირიანი ფორმაა, ი-ყაწანგ ს-ააღ — „კეთებით მოვედი“ — აბსოლუტივია.

აბსოლუტივში სუბიექტის პირის ნიშნის უქონლობა გარდამავალ ზმნაში ქ. ლომთათიძეს იმ უძველეს მოვლენად მიაჩნია, როდესაც გარდამავალ ზმნაში მხოლოდ პირდაპირი ობიექტის პირი აღინიშნებოდა ([28], გვ. 4-13).

... ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ლოკალური პრევერბები ირიბ ობიექტს შეიწყობენ კონკრეტული (განსაზღვრული) შინაარსით გამოყენებისას, ხოლო უობიექტოდ წარმოგვიდგებიან, როცა ისინი განზოგადებულად (განუსაზღვრელი შინაარსით) იხმარება: მდრ.: აშღ ამაა ა-ჰგ-ღეღღღ — „კარის სახელური მოჰგლიჯა“, აღემპაქა ჰგ-იეღღღ — „ყურები ააგლიჯა“.

შეიძლება ზოგჯერ ირიბი ობიექტის პირის ნიშანი მორფემისეულ ხმოვანთა შერწყმის საფუძველზე იყოს გაუჩინარებული; ამის ნიადაგზე წარმოქმნილ რთულ, შერწყმულ მორფემაში იგი უთუოდ დაცულად უნდა ჩაითვალოს ([35], გვ. 60, 61).

პირის ნიშნები აფხაზურში პირის ნაცვალსახელთაგან მომდინარეობს. ეს ფაქტი ჯერ კიდევ უსლარმა აღნიშნა. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს დებულება გაზიარებულია ([170], გვ. 15).

პირის ნაცვალსახელებში კი თავკიდურა თანხმოვანთა სახით კლას-კატეგორიის ზოგი ფორმანტი შემოგვენახა ([99]).

აფხაზურში, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია უღვლილების კლასოვან-პიროვანი ტიპი. აფხაზურ ენაში პოლიპერსონალური ზმნის წარმოქმნა ხდებოდა კლასოვანი უღვლილების თანდათანობითი მოშლისა და პიროვანი უღვლილების თანდათანობითი ჩამოყალიბების პროცესში ([59], გვ. 443).

აფხაზურმა ენამ კლასოვანი უღვლილებიდან კლასოვან-პიროვან უღვლილებაზე გადასასვლელად გამოიყენა პრეფიქსული გზა. „ლ“-ს რიგის აფიქსები „დ“-ს რიგის აფიქსთა ფონეტიკურ

სახესხვაობას წარმოადგენს; შემდეგ მოხდა მათი გამოყენება უკვე პირის ნიშნებად ([20], გვ. 55).

აფხაზურ ზმნაში მონოპერსონალიზმის დროისაა „დ“-ს რიგის აფიქსები, რომლებიც ახლა ადამიანის კლასს აღნიშნავს ([1], 149). ისტორიულად „დ“ აფიქსი ნივთის კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ([164], გვ. 9-12; [59], გვ. 443, 447; [7], გვ. 66).

აფხაზურში კლასებად დაყოფას საფუძვლად ედო დაყოფა პიროვნებისა და საგნის კლასებად ([139], გვ. 91-102).

ნივთთა კლასის აფიქსით ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ საერთოდ ადამიანის კლასის აღნიშვნა იბერიულ-კავკასიურ ენათათვის დამახასიათებელია. აფხაზურში ნივთთა კლასის დ-ნიშანი ადამიანთა კატეგორიის აღსანიშნავადაა გამოყენებული; დ-ნიშნის ნივთთა კლასის ნიშნიდან მომდინარეობას ადასტურებს მისი (დ-ფორმანტის) გამოვლენა III პირის მრავლობითობის ნიშნად კაუზატივის კატეგორიის წარმოებაში ([34]). ხოლო საერთო წესის მიხედვით, იბერიულ-კავკასიურ ენებში მრავლობითობის ნიშანი ადამიანთა კატეგორიის ნიშნიდან არ მიიღება, ე. ი. დ-ნივთისა იყო ([1], გვ. 151).

ნივთთა კლასიდან დ-ნიშანი ადამიანთა კატეგორიაში გადმოვიდა ჯერ ქალის კლასის აღსანიშნავად და შემდეგ განზოგადდა ადამიანის კატეგორიის ნიშნად.

ბ-ნიშანი აფხაზურში უნდა ყოფილიყო ქალის კატეგორიის საერთო ნიშანი პირების გარჩევამდე. ადილ. ფ-ხ□გ > ბ-ხ□გ — „ქალი“, შდრ.: ხ□გ — „მამაკაცი“, აფხაზურში ქალის კლასი II პირში გამოიხატება ბ-ნიშნით, II პირის მამაკაცის ვ-ნიშანი გენეტურად უკავშირდება საერთო იბერიულ-კავკასიურ ვ-ნიშანს: ხუნდ. ვუგო — „ვარ“, ქართვ. ვარ. ვორექ — „ვარ“, ხვარი — „ვარ“ ([164], გვ. 10).

ქ. ლომთათიძის აზრით, აბსოლუტივის კატეგორია წინ უს-

წრებს დროის კატეგორიას. დროის ჩამოყალიბებასთან ერთად, თავი იჩინა სუბიექტის პირმაც ზმნაში. ამ ნიადაგზე ერთმანეთს დაუპირისპირდა:

აბსოლუტივი — დგ-ბა-ნ — „იგი (აღ.) ნახვით“...

ნამყო განუსაზღვრელი — დგ-ზ-ბა-ნ — „მე ვნახე იგი“

ბ) აფხაზური გარდამავალი ზმნის დადებითი ბრძანებითის ფორმაში არ აისახება სუბიექტის პირი:

ი-ყა-უ-წე□ტ — „შენ (მკ.) გააკეთე ის (ნ.)“

ი-ყა-წა/ — „გაკეთე ის (ნ.)“...

ქ. ლომთათიძე უშვებს, რომ ბრძანებითისა და აბსოლუტივის წარმოების პრინციპს შორის გარკვეული კავშირი უნდა იყოს სუბიექტის გამოუხატველობის მხრივ; ... სუბიექტის პირის გაჩენა გარდამავალ ზმნაში მეორეული მოვლენაა. თავდაპირველად გარდაუვალ ზმნაში გამოიხატებოდა სუბიექტის პირი, გარდამავალში პირდაპირი ობიექტისა, ისევე, როგორც სხვა კავკასიურ ენებში. ე. ი. აფხაზური გარდამავალი ზმნაც ნეიტრალურია გვართა მიხედვით ([28], გვ. 12; [150]).

შესაძლოა, აფხაზურ ზმნაში გაუჩინარდეს ნივთის კლასის III პირის უახლოესი ობიექტის ნიშანი, თუ ზმნის ფორმას წინ უძღვის ნაცვალსახელი, ან არსებითი სახელი:

აჩა (□) ჭგ-ს-თო□ტ „მე შენ (მკ.) პურს გაძლევ“ შებრუნებულ წყობაში უახლოესი (პირდ.) ობიექტის ნიშანი აღდგება: □ ჭგ-ს-თო□ტ აჩა — „გაძლევ პურს“.

ირიბი ობიექტის ნიშანი შეიძლება არ ახლდეს ზოგ პრევერბიან ზმნას. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი შინაარსით არის პრევერბი გამოყენებული ზმნაში: კონკრეტულითა თუ განზოგადებულით.

გ. კონჯარიას აზრით, პირველად აფხაზურში უარა ნაცვალსახელით აღინიშნებოდა როგორც ქალი, ისე კაცი (გ- აღამიანს ნიშნავდა საერთოდ) თანდათან უ ფორმანტმა დაიწყო მკ. კლა-

სის II პირის ნიშნის ფუნქციის შესრულება ([182], გვ. 391, 392).

„□ (> ი), რომელიც I გრამატიკულ კლასს, ნივთთა კლასს და აქედან მრავლობით რიცხვს გამოხატავს, ერთი და იგივე ოდენობა უნდა იყოს ისტორიულად და ნივთთა კლასის რ II დ-ს უნდა უკავშირდებოდეს... საფიქრებელია, ნივთთა კლასის ნა > ა უკავშირდებოდეს იმავე *დ-ს. ა-ს ნივთთა კლასის ფუნქცია ნ-ს დაკარგვის შემდეგ უნდა ჰქონდეს მიღებული, თავდაპირველად იგი კლასის ნიშნის თანმდევი თანხმოვანი უნდა ყოფილიყო (შდრ. უა, და, ლა...)“ ([1], გვ. 151).

აფხაზურისათვის ნავარაუდევია ოთხკლასიანი ამოსავალი სისტემა:

I გ > უ

II დ > || ლ

III ბ(ა) || ბ

IV დ || რ || ნ (1)

პირისა და კლასის ნიშანთა წარმოშობის თაობაზე, როგორც ვხედავთ, ძირითადად, ერთი აზრისანი არიან მკვლევრები: პირისა და კლასის ნიშნები კლასის ნიშანთაგან და პირის ნაცვალსახელთაგან მომდინარეობს.

ტაპანთურში პირისა და კლასის ნიშნები იგივეა, რაც აფხაზურში, აქაც ორი რიგი გამოიყოფა პირისა და კლასის ნიშნებისა (იმავე პრინციპით): „დ“-ს რიგი, „ლ“-ს რიგი.

გარდამავალ მყდერი თანხმოვნით დაწყებულ ზმნასთან, აფხაზურის მსგავსად, ტაპანთურშიც I სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდითში და I და II სუბიექტური პირის ნიშნები მრავლობითში მყდერდება. ტაპანთურში გამყდერებას იწვევს მკვეთრი თანხმოვნით დაწყებული ერთი აკლბარა — „ბანა“ ზმნაც ([27]; [150]; [183]).

ტაპანთურში დაცულია ის მყდერი — ზ — სპირანტი, რომლის-

განაც მომდინარეობს აფხაზური ჰ > აა (I პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში): ითა-ჟ-უბ — „მას (ნ) შიგ ჩავაგდებთ“ ([27], §40).

აფხაზურში III პირის სუბიექტის ნიშნად ნივთთა კლასში (თუ ზმნა გარდამავალი სამპირიანია, ან ორპირიანი რთულფუძიანი) გვევლინება -ნა- პრეფიქსი. დანარჩენ შემთხვევებში არის ა-. ტაპანთურშიც ასეა, მაგრამ აქ ზმნებს უფრო ახასიათებთ წინდებულის ფორმები. პირის ნიშანიც ასეთ შემთხვევაში ექცევა წინდებულის შემდეგ და რთული ფუძის მქონე ზმნათა მსგავსად, ნივთთა კლასის სუბიექტის პირის ნიშანი წარმოგვიდგება ნა-ს და არა ა-ს სახით: აჩუგ დანაბა — „ის (ად.) ცხენმა როცა დაინახა“.

ნა- ფორმანტი **ა. გენკოს** ა- ფორმანტისაგან მიღებულად მი-აჩნია სინტაგმის არასწორი დაყოფის პირობებში ([135], გვ. 191; [168], გვ. 109).

ტაპანთურში წარმოდგენილი პირის, კლასისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა ზმნურ ფორმაში მატერიალურადაც და აგებულების პრინციპითაც სავსებით ემთხვევა აფხაზურისას.

თითქმის ასეთივე ვითარებაა აშხარულშიც:

1. ზოგჯერ აშხარულში ა- კლასის ნიშნის მაგიერ ი- იხმარება, რაც შემთხვევითი ფაქტის შთაბეჭდილებას ახდენს: აშ□ იჭ□გ აა□ტ — „იგი (ნ) კართან მოვიდა“. ეს შეიძლება ადილფურის გავლენით აიხსნას.

2. „სხვა“ — სიტყვა ყველა დიალექტში ხან აჩა-ს სახითაა, ხან დაჩა-ს სახით. აშხარულში დასტურდება რაჩაჰკ, რაც „დ“-ს გრამატიკული კლასის ნიშნად კვალიფიკაციას უქვევლს ხდის.

3. აშხარულში I პირის ნიშნის გაუმყლერებელი სახეობაც დასტურდება მრავლობით რიცხვში: იჰაზ□გპ — „დავლევთ“...

4. ზმნის უარყოფით ფორმაში, სადაც გამყლერების პირობა მოხსნილია, ხშირად გვხვდება პირის ნიშნის გამყლერებული სახეობა ([30], §35).

ტაბანთური და აშხარული დიალექტები უმნიშვნელო გადახრათა მიუხედავად, მიჰყვება აფხაზურ ენას პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიათა წარმოების საკითხში.

ადიღურ ენას ზმნის პიროვანი უღვლილება ახასიათებს: ერთპირიანი (მონოპერსონალური) ზმნა იცვლება სუბიექტის პირის მიხედვით, მრავალპირიანი (პოლიპერსონალური) ზმნა იცვლება სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით.

პირის ნიშნები პრეფიქსებია. სუფიქსის სახით გვევლინება მხოლოდ მრავლობითობის III პირის მაჩვენებელი ხ~ (ვ).

კუთვნილებითი აფიქსები ადიღურში გვხვდება მიმღებობებსა, აბსოლუტივებსა და ინფინიტურ წარმოებაშიც ([162], გვ. 135-170; [147]; [148], გვ. 152, 157; [173]).

კუთვნილებითი ფორმანტები გამოხატავენ სუბიექტისა და ობიექტის ორ ბრუნვას: ნომინატივს და ერგატივს. დანარჩენ ბრუნვებში დასმული სახელის პირი და რიცხვი ზმნაში არ აისახება.

I და II პირის კუთვნილებითი პრეფიქსები პრინციპში ერთი და იგივეა სუბიექტისა და ობიექტისათვის, ისინი ემთხვევა შესაბამის ნაცვალსახელთა ძირეულ ელემენტებს:

I პ. — ს(ვ) — „მე“ თჷ — „ჩვენ“

II პ. — ო(უჷ) — „შენ“ სო- (სუჷ) — „თქვენ“...

I და II პირის ნიშნები ზმნაში წარმოდგენილია, III პირის პრეფიქსი კი ზოგჯერ არ ჩანს.

ადიღურ ზმნაში გამოჰყოფენ კუთვნილებით აფიქსთა სამ წყებას (რიგს):

ა) კუთვნილებით აფიქსთა I წყება აღნიშნავს სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელს. ესენია ნომინატივის, ანუ I რიგის აფიქსები;

ბ) კუთვნილებით აფიქსთა II წყება აღნიშნავს ერგატივში დასმულ სახელს ირიბი ობიექტის ფუნქციით. ესენია ერგატივის

რიგის ირიბი ობიექტის, ანუ II რიგის აფიქსები;

გ) კუთვნილებით აფიქსთა III წყება აღნიშნავს ერგატივში დასმულ სახელს რეალური სუბიექტის ფუნქციით. ესენია ერგატივის რიგის რეალური სუბიექტის აფიქსები.

სამივე რიგის აფიქსთა ადგილი ზმნაში განსაზღვრულია:

ა) I რიგის აფიქსები ყველანაირ ზმნაში იკავებს პირველ ადგილს: სწ სკკალ — „მე წავედი“.

ბ) II რიგის აფიქსები II ადგილას გამოდის:

სწ უ-ვგ-ს-~~ფ~~-კკალ — „შენ მოხვედი ჩემთან“

გ) III რიგის აფიქსები ზმნაში ძირის წინ დგას; ესენი ორპირიან გარდამავალ ზმნებში იკავებენ II, ხოლო სამპირიან გარდამავალ ზმნებში III ადგილს:

ორპ. გარდამ.: უა სწ სგ-ფ-შალ — „შენ წამიყვანე მე“

სამპ. გარდამ.: აშ სწა უ-ვგ-ს-~~ფ~~-ი-შალ — „მან მოგიყვანა შენ ჩემთან“...

ადილეთურში ერთპირიანი ზმნები გარდაუვალია. სუბიექტი დგას სახელობით ბრუნვაში. ერთპირიან ზმნებს აქვს მხოლოდ I რიგის ნომინატივის აფიქსები, იცვლება მხოლოდ სუბიექტის პირთა მიხედვით, წყობა სუბიექტურია.

ორპირიან გარდაუვალ ზმნებში წარმოდგენილია სუბიექტისა და ირიბი ობიექტის პირი. ასეთ ზმნებს, როგორც წესი, ძირი ნაწარმოები აქვთ: იწარმოება ერთპირიან გარდაუვალ ზმნათაგან ირიბი მიმართების პრეფიქსებით; ორპირიან გარდაუვალ ზმნას აქვს კუთვნილებითი აფიქსების ორი წყობა : სუბიექტური (ზმნა იცვლება სუბიექტის პირთა მიხედვით), ირიბ ობიექტური (ზმნა იცვლება ირიბი ობიექტის პირთა მიხედვით) ([161]).

ადილეთურში შეიძლება იყოს სამპირიანი გარდაუვალი ზმნებიც. ესენი იწარმოება ორპირიან გარდაუვალ ზმნათაგან ირიბი მიმართების აფიქსებით. ასეთ ზმნებში ორი ირიბი ობიექტის ნიშანია.

ორპირიან გარდამავალ ზმნებში პირის ნიშანთა განლაგება შემდეგნაირია: უახლ. ობ. (I რ. ნომ.) + რეალ. სუბ. + ზმნის ძირი: სწუა ჟ-ს-შად „მე შენ წაგიყვანე“.

სამპირიან გარდამავალ ზმნებს აქვთ ნაწარმოები ძირი (არ არსებობს სამპირიანი ზმნა მარტივი ფუძით).

სამპირიანი გარდამავალი ზმნები იწარმოება ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან ირიბი მიმართებისა და სხვა აფიქსთა საშუალებით.

ადილურში არსებობს ოთხპირიანი გარდამავალი ზმნები, მაგრამ ასეთი ფორმები იშვიათია. ოთხპირიანი ზმნები იწარმოება სამპირიან ზმნათაგან ირიბი მიმართების აფიქსებით (ამ შემთხვევაში ზმნაში ორი ირიბი მიმართების აფიქსია): სწ აშ არ □-ს-თღ — „მე მას მივეცი ის“, აქედან დწ — აფიქსით იწარმოება ოთხპირიანი ზმნა: სწ აშ (აშ) არ დ-□-ს-თღ — „მე მივეცი მას ის მასთან ერთად“.

ადილურში არის ერთპირიანი გარდამავალი ზმნები, მიღებული ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან, რომელთაც უახლოესი ობიექტი დაკარგული აქვთ, მაგრამ ინარჩუნებენ გარდამავლობის ნიშნებს: ერგატიულ კონსტრუქციასა და III პირის სუბიექტის მაჩვენებელს. ამას ადგილი აქვს გარდამავალ ზმნებში სუბიექტური ქცევის ფორმებში, სადაც სუბიექტი მოქმედებს თავისავე თავზე, გამოდის პირდაპირი ობიექტის როლში:

ადილურ ენაში, ისევე, როგორც ქართულში, დადებითი ბრძანებითის II პირში გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში სუბიექტური პირის ნიშანი არ ჩანს, უარყოფითში აღდგება:

გარდაუვალი ზმნა

დად. ბრძ.

უარ. ბრძ.

თხწ — „წერე!“ (საერთოდ)

უ-მგ-თხ — „არ დაწერო!“

კ□ა — „წაღე“

უ-მგ-კ□ — „არ წახვიდე“

გარდამავალი ზმნა

თხზ — „დაწერე“ (რაიმე) უ-მგ-თხგ — „არ დაწერო!“
([162], გვ. 135-170; [147]; [148]; [141]).

აფხაზურში აღნიშნული მოვლენა მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს, ადიღურში გარდაუვალ ზმნებზედაც გავრცელდა ეს წესი ძველი ქართულის მსგავსად.

ადიღურში ზმნას პირის ნიშანთა ინვერსიაც ახასიათებს. ინვერსიული ზმნები გარდაუვალია.

ადიღური ენების პირის აფიქსთა ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე გ. როგავამ დაადგინა, რომ ამ ენებისათვის ისტორიულად დამახასიათებელი იყო მხოლოდ ორი ვარიანტის I და II პირის აფიქსთა უხმოვნო და გ- ხმოვნიანი ვარიანტები, ა ხმოვნიანი პირის აფიქსები კი გვიანდელია, ისინი მიღებულია უხმოვნო და გ- ხმოვნიან პირის აფიქსებთან დინამიკურობის უა- პრეფიქსისა და ა ხმოვნიან პირის აფიქსების გზით ([64], გვ. 505).

* * *

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიებთან დაკავშირებით ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს აფხაზური ლიტერატურის ორიგინალური და ნათარგმნი ტექსტებიდან, აგრეთვე ჩვენ მიერ შეგროვებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან:

ერპირიანი ზმნები

- I. არა დაარა დეჩგმაზაჯენ — იგი ძალიან ავად იყო ([14], გვ. 188)
- II. ... ყალაპ ითახგზარ ბბარა — იქნებ შენი ნახვა სურდეს ([14], გვ. 23).
- III. იხგ -იჭგ კაფხონ — მისი პირი-სახე ანათებდა ([11], გვ. 17).

- IV. იხე უახ^ნ იხან — მისი თავი იქეთ იყო მიმართული ([11], გვ. 45).
- V. შთა სგფსგრგვ სეფსაა^ტ — აწი თუ მოგვკვდები, დაე მოგვკვდე! ([14], გვ. 173).
- VI. მან ჰასან დჯაბო^ტ — მან ჰასანი გლოვობს ([14], გვ. 173).
- VII. იჰ^{ან} აგ^{ელ}ლარა დცე^ტ — თქვა და მეზობლებში წავიდა ([14], გვ. 173).
- VIII. დეცდ^ტ აუაჯ გ^{ანგ}აშე ჰასან — დაიძინა ეშმაკმა კაცმა ჰასანმა ([14], გვ. 173).

ერთპირიან ზმნებში აღინიშნება სუბიექტის პირი „დ“-ს რიგით, რადგანაც ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია. შესაძლოა სუბიექტის პირის ნიშანიც არ იყოს წარმოდგენილი ზმნურ ფორმაში, მაგ.: კაფხონ — „ანათებდა“ (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. გვ. 53).

ორპირიანი გარდამავალი ზმნები:

- I. დეზბაძომ ჰ^{ან}ა აშ^{არ}ა იმაზ — ვერ დავინახავო შიში ვისაც ჰქონდა ([11], გვ. 44).
- II. უბრაანდა ^{არგ} აბახთა დთგრმეჟ^ტ — იქამდე ისიც საპრობილედან არ გამოუშვეს ([14], გვ. 192).
- III. უბრი ალა იგუ ყაიწათე^ტ — ამით გულს იკეთებს ([11], გვ. 39).
- IV. აჟ^ყან აწყა ტ^{ელ}ლაკ ნგსმეჟ^ტ — ცის ქვეშეთში ერთი ქვეყანაც არ დამიტოვებია ([11], გვ. 41).

ორპირიან გარდამავალ ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, მეორე ადგილას სუბიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნები

- I. ფპაკ სა დსგ მოუპ — ერთი ქალიშვილიო მყავს ([11], გვ. 14).
 - II. უბრი აზგ მჩაგს ს გ უ მ ფ ხ ა ძ ა ნ — ამიტომ მოძალადედ ნუ ჩამთვლი ([11], გვ. 15).
 - III. სუაა ყაა — ჯგკ სარა შქს გ ც გ ზ — ჩემი ხალხი, თორმეტი კაცი რომ თან მყავდეთ ([11], გვ. 17).
 - IV. ... ურთ ი რ გ შ თ ა ნ ა ჰ ც ა ა ტ ა ც ა — მას მისდევდნენ წარჩინებულნი და მონები ([11], გვ. 18).
 - V. ... ურთქა ზგგ რანტ ს ხ გ საქ ი თ ხ ო ტ — ყველა იმათგან გავთავისუფლდები ([11], გვ. 24).
 - VI. სა უ ს გ ა ფ ხ ო ტ — მე მომწონხარ ([11], გვ. 29).
- ორპირიან გარდაუვალ ზმნებში პირველ ადგილას დგას ირიბი ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, მეორე ადგილას დგას სუბიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა.

სამპირიანი ზმნები:

- I. უბრი აჯამ ალა ისგ შოთ — იმ ჯამით მომეცით ([14], გვ. 173).
- II. ახაჰ გქიფსარაზგ ატენიკ აზინ იმიხტ — ქვის მოსაყრელად მან ტექნიკოსისაგან ნებართვა აიღო ([14], გვ. 177).
- III. ... აძგ ს შ ო გ რ ყ — წყალი დამალევინეთ ([14], გვ. 189).
- IV. ... მან ნეშგალკ ნარგლაძეტ — თქვა და ბელტი ჩაადლო (რალაცაში) ([14], გვ. 189).
- V. ფგთრაკ უბრაცა აშა რ გ ც გ ს ჰ ა ნ დ ა ზ ა ა დ გ ა რ ხ ე ნ — ცოტა ხანს ნეტავ იმათთან ერთად მამღერაო, გაიფიქრა მან ([14], გვ. 192).
- VI. ურთ რეფ შესტ შეტ ლაწგავ მარწმევ — მათ მე გამსგავსებ უხეირო მონადირეს ([11], გვ. 6).

VII. ... ჰქონთქარ გურგენ ინაჯალა ილხაირგლედეტ — მეფის გვირგვინი მისი ხელით თავზე დაადგა ([11], გვ. 11).

VIII. სა ინსე მათუ ი ტუ ანას გჟუამ — როცა (რაკი) შემედავე, არ გაპატიებ ([11], გვ. 15).

სამპირიანი ზმნა გარდამავალია (თუმცა არსებობს გარდაუვალი სამპირიანი ზმნაც). პირველ ადგილას არის უახლოესი ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, მეორე ადგილას ირიბი ობიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა, მესამე ადგილას სუბიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა.

ოთხპირიანი ზმნები:

I. აჰქონწყრაფუჸ ასასცქა პატუ ზლარეჰქნაწაშაჸ იმაზეინდგ აკგე ამამეზეტ — გულწითელას სტუმრებისათვის პატივი რითაც ეცა ის (რალაც) გამზადებული არ ჰქონდა ([16]).

II. სეძლად ღუბოზარ ისეზ ლაჰქა — ჩემი ქალიშვილი თუ ნახო, ჩემგან გადაეცი ([16]).

III. ნასგე უს სეზ დაჰქ უკქ ასქა იჭოჸ აშქ ცქა ჰზიამ — შემდეგ ასე უთხარი ჩემგან, შენს ოდას რომ კარი აბია, მთლად კარგი არ არისთქო ([16]).

პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიის წარმოების თვალსაზრისით ქართულსა და აფხაზურ ენებს აერთიანებს: 1. ზმნის პოლიპერსონალურობა, 2. პირისა და კლასის ნიშნებად პრეფიქსების გამოყენება, 3. პირისა და კლასის ნიშნების კლასნიშნისეული და ნაცვალსახელური წარმოშობა, 4. პირისა და კლასის ნიშანთა განლაგება გარდამავალ ზმნებში (ძველი ქართული ხანმეტი ტექსტების ჩვენების მიხედვით. 5. გარდამავალ ზმნებში დადებით ბრძანებითში II სუბიექტური პირის ნიშნის უქონლობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ ქართული

ენის პიროვანი უღვლილება კლასოვან-პიროვანისაგან მომდინარეობს, აფხაზურ ენაში — კლასოვან-პიროვანი უღვლილება კლასოვანი უღვლილების განვითარების შედეგია; ამრიგად, ორივე ენისათვის თავდაპირველად კლასოვანი უღვლილება უნდა ვივარაუდოთ.

გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის ნიშნად (ანუ კლას-კატეგორიის უძველეს ნიშნად) ქართულში უნდა აღდგეს *ხ|| ჰ || ს- ფორმანტი, აფხაზურისათვის ქართული *ხ || ჰ || ს ფორმანტის ბადალი *დ-ფორმანტი უნდა გამოიყოს.

პირის ნიშანთა სუფიქსაცია III პირის მრავლობით რიცხვში ქართულისათვის მეორეულია, ასევე მეორეულია აფხაზურში მრავლობითობის ნივთის კატეგორიის ფორმანტი — ქ□ა-თი გადმოცემა.

ქართული და აფხაზური ენების ზმნის სინტაქსურ მიმართებაში შემავალ ზმნურ კატეგორიათა: — პირის, კლასისა და რიცხვის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ რაც საერთოა ამ ენებს შორის ამოსავალია, ძირეულია, რაც განსხვავებული — მეორადია, გვიანდელი; ზოგჯერ მეორეული წარმოშობის ფაქტებიც (როგორცაა მაგალითად, პოლიპერსონალიზმი, მრავლობითის ნიშნის სუფიქსაცია და სხვ.) საერთოა, რაც გამოწვეული უნდა იყოს თითოეული ენის განვითარების საერთო მიმართულებით.

II თავი

ერთპირიანი ზმნები ქართულსა და აფხაზურ ენებში

ნაშრომის ამ თავში განვიხილავთ ერთპირიან ზმნებს.

ზოგ ერთპირიან ზმნას ერთი პირის გაგება აქვს და პირის ნაცვალსახელსაც ერთს შეიწყობს. ასეთ ზმნას, პირობითად, ორგანულად ერთპირიანს ვუწოდებთ. ზოგ ერთპირიან ზმნას ერთი პირი, უახლოესი ობიექტისა ან სუბიექტის პირი დაკავული აქვს და ერთპირიანად არის ქცეული. ასეთ ზმნას, პირობით, ერთპირიან ზმნას ვუწოდებთ.

ორგანულად ერთპირიან ზმნაში პირის ნიშანი (სუბიექტისა) ან (პირდაპირი ობიექტისა, აფხაზურში) თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია, არაორგანულად ერთპირიან ზმნას კი, შესაძლოა, პირის ნიშანი არ ჰქონდეს (აფხაზურში).

ორგანულად ერთპირიანი ზმნა აბსოლუტურია, არაორგანულად ერთპირიანი ზმნა კი დეფექტურია. ასეთ ზმნებს სამეცნიერო ლიტერატურაში პირნაკლ (უპირო) ზმნებს უწოდებენ.

ერთპირიანი და პირნაკლი ზმნები სინტაქსურ მიმართებაში შემავალი ზმნური კატეგორიებით ძალზე ღარიბია. პირთა „მიმართება“ რამდენიმე პირის არსებობას გულისხმობს ზმნურ ფორმაში, იქ, სადაც ერთი პირია წარმოდგენილი, რაიმე მიმართება პირთა შორის არ შეიძლება იყოს; მაგრამ აფხაზურში ზოგ ერთპირიან ზმნასაც მოეპოვება, ერთი შეხედვით, მოულოდნელი მორფოლოგიური კატეგორია, რაც თავისებურ ახსნას მოითხოვს:

ზოგჯერ ამა თუ იმ ზმნური კატეგორიის ნიშანი ზმნის ძირთანაა შეზრდილი, უმეტესად კი ერთპირიან ზმნაში სინტაქსურ მიმართებაში შემავალი ზმნური კატეგორიის არსებობა იმის მაუწყებელია, რომ აწ ერთპირიანი ზმნა წარმოშობით ერთზე მე-

ტპირიანია.

პირველ რიგში განვიხილავთ არაორგანულად ერთპირიან, პირნაკლ (უპირო) ზმნებს, რომლებსაც ყურადღება მიაქცია ქართველურ თუ კავკასიურ ენათა თითქმის ყველა მკვლევარმა.

ტერმინი „პირნაკლი“ პირველად ანტონ I-ის გრამატიკაში გვხვდება ([4], გვ. 125).

ძველ გრამატიკებში აღნიშნული ტერმინის გვერდით იხმარება ტერმინი „უპირო“...

მ. ჯანაშვილი პირნაკლ ზმნებს უწოდებს ვერბა იმპერსონალია-ს. მ. ჯანაშვილის გრამატიკაში ასეთი ზმნები დაყოფილია ორ ჯგუფად; პირველია: „ბუნების მოვლენები და ტაროსი“: ქუხს, ელავს, ყინავს, ცივა... მეორე: ზმნები, რომლებიც გვიჩვენებენ „სულის ვითარებას“: სამწუხაროა, სანანოა, ხამს, ცხადია... ([124], გვ. 123).

დ. უზნაძის აზრით, ენას მოვლენათა და მდგომარეობათა გამოსახატავად მარტო ზმნის ფორმა აქვს თავის განკარგულებაში, ზმნას კი პერსონალური ელემენტი ახასიათებს. ენა იძულებული ხდება ინფინიტურსა და სხვა ანალოგიურ ფორმებს გვერდი აუხვიოს და ზმნის III პირის ფორმას ხმარობს ([74], გვ. 14-15).

ა. მექეს მიაჩნია, რომ ბუნების მოვლენების გამომხატველ ზმნებში პიროვნულად განსაზღვრული მოქმედება არ უნდა ვეძიოთ ([195], გვ. 196).

ნ. მარის ვულგარულ-მატერიალისტური თეორიით, უპირო და უწესო ზმნათა ფუძეებში შეიცნობა ბუნების სული, საკულტო ობიექტი, ტოტემი ([158], გვ. 314).

აღნიშნული ტიპის ზმნებს ორ ჯგუფად ჰყოფს **ივ. ქავთარაძე**; პირველი: „მეტეოროლოგიური მოვლენების გამომხატველი“: წვიმს, ქრის, ქუხს... მეორე: მაცეებს, ჰვამს, ეგების... ტიპი (რომელიც ორპირიანი იყო და ერთპირიანად იქცა... „ასეთი ზმნები დრონაკლიცაა და მხოლოდ მხოლოდითი რიცხვი ახასიათებს“

([77], გვ. 209, 212).

ჩვენი აზრით, როგორც „ეგების“, „ჰჰამს“ ტიპის ზმნებში, ასევე „წვიმს“, „ჰჰრის“ ტიპის ზმნებშიც პირდაპირი ობიექტი დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ, ამდენად აღნიშნული ორი ჯგუფის ზმნების პირის დაკარგვის ნიშნით დაპირისპირება არამართებული გვეჩვენება.

ძველ და ახალ ქართულში პირნაკლ ზმნებს გამოყოფს აკ. **შანიძე**: „ძველ ქართულში სუბიექტური პირი ყოველგვარი ზმნის ფორმაში არის. თუ ზმნა უპიროა (ე. ი. ინპერსონალური) სუბიექტური პირი მაინც იქნება შიგ წარმოდგენილი: ელავს, ქუხს“... ([95], გვ. 61). ახალ ქართულში გრილა, ვარგა, კმარა... ტიპის ზმნებია აღნიშნული, რომელთაც მხოლოდ III ტიპის ფორმები აქვთ. ეს ფორმები მიღებულია შედგენილი შემასმენლისაგან: ბნელა < ბნელ არს, ცივა < ცივ არს... ძვ. ქართ.: — ცხელ იყო > ახ. ქართ. — ცხელოდა... ([92], გვ. 190, 233).

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინით „პირნაკლი /უპირო“ აღინიშნება III პირის ფორმით წარმოდგენილი ზმნები, რომლებიც I და II პირის ფორმებს ვერ აწარმოებენ, აგრეთვე მეშველზმნიანი ფორმებიც.

ჩვენი აზრით, პირნაკლად უნდა ჩაითვალოს აღნიშნულ ზმნათა გარდა, პირდაპირ ობიექტდაკარგული და სუბიექტდაკარგული ზმნებიც. ძირითადად ეს ორი მოვლენა — საპირისპირო ფორმათა არარსებობა და ერთ-ერთი პირის დაკარგვა — ერთდროულად ახასიათებთ აღნიშნული ტიპის ზმნებს; (მაგ.: „წვიმს“ ფორმას არ აქვს I და II პირი და ამავე დროს დაკარგული აქვს პირდაპირ ობიექტური პირი. შესაძლოა პოეტურ ენაში „წვიმს“ ზმნა I და II პირის ფორმითაც შეგვხვდეს, მაგრამ ამით საერთო წესი არ ირღვევა.

პირნაკლ ზმნებს სვანურში საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა კ. **გაგუამ** ([5]), რომელშიც ავტორი გვთავაზობს „წვიმს“ ტიპის

ზმნებს ეწოდოს „უპირო“, რადგანაც საპირისპირო ფორმები არ მოეპოვება, ხოლო „ხამს“ ტიპის ზმნებს (რომელთაც ერთი პირი აკლიათ) პირნაკლი ([5], გვ. 146, 147).

ჩვენი აზრით, ტერმინთა ასეთი განაწილება ენაში არსებულ ობიექტურ ვითარებას სწორად ვერ ასახავს: „წვიმს“ ფორმას, მართალია, არ მოეპოვება საპირისპირო „*ვწვიმ მე“ და „*წვიმ შენ“ ფორმები, მაგრამ ამ ფორმაში წარმოდგენილია III პირის სუბიექტის -ს ნიშანი, რაც უფლებას აღარ იძლევა ამ ტიპის ზმნებს „უპირო“ ეწოდოს. საერთოდ, ქართულში არ არსებობს არც ერთი უპირისნიშნო ზმნა, ხოლო თუ ზმნაში პირის ნიშანია წარმოდგენილი, მაშინ შეუძლებელია ასეთ ზმნას უპირო ეწოდოს. რაც შეეხება იმას, რომ „ხამს“ ტიპის ზმნებს „პირნაკლი“ ეწოდოს, კ. გაგუას თვალსაზრისი სავსებით გასაზიარებლად მიგვაჩნია, მაგრამ ამ ნიშნით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „წვიმს“ და „ხამს“ ტიპის ზმნები ერთმანეთს ვერ დაუპირისპირდება.

ტერმინი „უპირო“ ქართული ენის აღნიშნული ტიპის ზმნათა მიმართ გაუმართლებელი გვეჩვენება, სხვა ვითარებაა აფხაზურ ენაში. აქ მოიპოვება უპირისნიშნო პირნაკლი ზმნები, რომლებთანაც პირის ნიშანი დაკარგულად ივარაუდება, ამდენად ტერმინი „უპირო“ აფხაზური ენის აღნიშნული ტიპის ზმნების დასახასიათებლად, პირობით შესაძლოა ვიხმაროთ.

ამრიგად, ჩვენს ნაშრომში ტერმინი „უპირო“ იხმარება მხოლოდ უპირისნიშნო ზმნათა აღსანიშნავად (ვიწრო მახასიათებლად), ხოლო თვით ეს „უპირო“ ზმნები „პირნაკლ“ ზმნათა ჯგუფში ერთიანდება.

პირველ რიგში განვიხილავთ ერთპირიან (ორგანულად ერთპირიან) ზმნებს ძველი ქართულის მასალაზე დაყრდნობით:

ერთპირიანი ზმნები

ძველი ქართული

- I. ტობი გზათა ჭეშმარიტებისათა ვიდოდა ([4], გვ. 34).
- II. და აწ, შვილო, წარვედ ნინევით ([4], გვ. 52).
- III. მივედით და გამოიკითხეთ ჭეშმარიტად ყრმისა მისთვის ([7], გვ. 262).
- IV. ... და ტიროდა დედა მისი და პრქუა ტობის ([4], გვ. 41).

II, III მაგალითებში სუბიექტის პირი იმიტომ არ ჩანს, რომ ზმნა დადებით ბრძანებითშია.

ახალი ქართული

- I. ჯურხა დაბორილდა ([10], გვ. 261)
- II. ციყვი გატვრინდა ([10], გვ. 257)
- III. ცხენებიც გაინაბნენ ([10], გვ. 257)
- IV. დახე, როგორ მიმკვდარა (თერგი) ([9], გვ. 197)
- V. თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად ([9], გვ. 41)

ძველსა და ახალ ქართულს შორის არავითარი პრინციპული სხვაობა არ ჩანს: ერთპირიანი ზმნაში ყველგან აღინიშნება სუბიექტის პირი და თუ იგი მრავლობითშია, რიცხვიც (გარდა დადებითი ბრძანებითისა).

ახალ ქართულში გამოიყოფა ერთპირიანი ზმნათა წყება, რომელთაც ერთი პირიღა შეეწყობა, ზმნურ ფორმაში კი ორი პირის ნიშანია წარმოდგენილი. ესენია:

- I. ცხენები შორიახლოს ჰფრუტუნებენ ([10], გვ. 257).
- II. ... როცა ჰღმუოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი ([10], გვ. 41).

- III. თქვენნი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენვივრად ცას აღარ ამკობენ ([10], გვ. 42).
- IV. ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება ([10], გვ. 43).
- V. არასდროს, თურმე არ სჭკნება ([10], გვ. 86).

ბუნების მოვლენათა ამსახველი
ზმნები:

- I. ოდეს დაჯდა მზე ([4], გვ. 36).
- II. აღმოხდა მნათი აღმოსავალით ([2]).
- III. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხე-ბითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე ([9], გვ. 209).
- IV. დაღამდა, წვრილნი ვარსკვლავნი აენთენ, დასხდენენ ცაზედა ([3]).

ბუნების მოვლენათა ამსახველ ზმნებში სუბიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილია. ძველი და ახალი ქართული ამ მხრივ ერთმანეთისაგან არ სხვაობს.

მეგრულსა და სვანურშიც ქართულის მსგავსი ვითარებაა. მეგრულში ამგვარ ზმნებში გამოიყოფა III სუბიექტური პირის ნიშანი და დამხმარე „რე“ ზმნა: ვალუნ-ს „ელავს“, უკუმელა რე „ბნელა, უკუნია“, სვანური კი ზოგ შემთხვევაში ძველი ქართულის მსგავსად დამხმარე „ლი“ „არს“ ზმნით აწარმოებს ამ ტიპის ზმნებს: ბური ლი „ბნელა“, ტებდი ლი „თბილა“...

ქართველურ ენათა მსგავსად, აფხაზურშიც პირნაკლი ზმნები ნასახელარია.

აფხაზურში აღნიშნული ტიპის ზმნები ორ დიდ ჯგუფად იყოფა. ნაწილს პირნაკლი ზმნებისას, საერთოდ არ ერთვის პირის ნიშანი, ასეთ ზმნებს პირობითად, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, „უპირო“ შეიძლება ეწოდოს. ნაწილი ზმნებისა (ზოგჯერ იგივე ზმნები, რომლებსაც „უპირო“ ვუწოდეთ) წარმოდგენს სუბიექტური პირის ნიშანს.

ერთსა და იმავე ფუძესთან, ერთიმეორის მსგავს კონტექსტში პირის ნიშანთა ხმარების შემთხვევები თავისებურ ახსნას მოითხოვს: უპირისპირი ვარიანტში საძებარია პირის ნიშნის დაკარგვის მიზეზი.

აფხაზური ენა
უპირისპირი ნიშნის შემთხვევები:

- I. აძაძა ფსატოტ — ცვარს ცრის, დებს ([16])
- II. ფხნგნ — ზაფხული იყო ([14], გვ. 183).
- III. შაეტ — გათენდა ([11], გვ. 46).
- IV. მგშაჟ უაჩარან — იქ ერთი დღე ქორწილი იყო ([11], გვ. 13).
- V. ააფენ ააშთაშწყოუბ. ყანდარან — გაზაფხულის პირი იყო. თბილოდა ([12], გვ. 121).
- VI. შაჰჰარან, კაშჰარან უდ აუხა — სიმღერა იყო, ცეკვა იყო იმ დამეს ([13], გვ. 121).
- VII. თენჩროტუბ, ჭაჰჰაჰჰ მთროტუბ — სიმშვიდეა, ხმის არ გაღება... ([13], გვ. 59).
- VIII. კამაჰჰ ლხჰჰ დგრცჰან, დიხჰაფშაუა დიდტჰალოჰ პახგზა ივაჯჰო, ძენრან, ხთან — კამაჰჰჰ ბავშვი დააძინა და გვერდით უზის, შესცქერის, საბანს უკეცავს, ზამთარი, სიცივე იყო ([14], გვ. 191).
- IX. წოტუბ, უაჰჰარანძა სააიგჰა უმაადცეზტ — მართალია, აქამდე ახლოსაც არ გამკარებიხარ ([11], გვ. 29).
- X. შახჰტუბ, უარა იშაჰჰო აკჰააჰ — კეთილი, ისე იყოს, როგორც შენ ამბობ ([14], გვ. 193).

IX, X მაგალითები ყოველდღიური სიტყვანმარებისათვის დამახასიათებელი მყარი „გაცვეთილი“ ფორმებია, რომლებიც ზმნეზად აღარც აღიქმება.

ბუნების მოვლენათა გამომხატველი
პირის ნიშნიანი ზმნები:

- I. უს იშეფშეზ ამზაგჷ ააცქერწიტ — ასე რომ იცდიდნენ, მთვარეც ამოვიდა ([16]).
- II. აძენ დაარა იხთოუბ — ზამთარში ძალიან ცივა ([16]).
- III. იშორახხოქ — სიცხე დგება, ასიცხდება ([16]).
- IV. მახაქ ააფენ, იფხარახექ — მოვიდა გაზაფხული, დათბა ([16]).
- V. დღღუეტ — გრგვინავს ([16]).
- VI. მაცქესტეტ — ელავს ([16]).

ისეთ ზმნებში, როგორიცაა: შეტ — „გათენდა“, ფხენ — „ზაფხული იყო“, აარზარან — „გვალვა იყო“, ჩარან — „პურობა იყო“, საფიქრებელია, სუბიექტური პირის ნიშანი დაკარგული იყოს.

ქ. ლომთათიძეს მიაჩნია, რომ მსგავს შემთხვევაში უპირის-ნიშნო ვარიანტი იხმარება ზოგადი / განუსაზღვრელი შინაარსით, ხოლო პირისნიშნიანი კი კონკრეტული / განსაზღვრული შინაარსით. მაგ.: ხთოუბ — „ცივა“ (საერთოდ) და იხთოუბ — „ცივა“ (კონკრეტულ შემთხვევაში) ([31], გვ. 132).

იქნებ აფხაზურის მსგავსი განუსაზღვრელობა-განსაზღვრულობის მიხედვით დაპირისპირება ქართულშიც გვექონდეს: მაგალითად: „თოვს“ — უფრო ზოგადია, „თოვლი მოდის“ — უფრო კონკრეტული.

ერთპირიანი ზმნები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზურში ზოგ ერთპირიან

ზმნას აქვს ამა თუ იმ მორფოლოგიური კატეგორიის ფორმა: უნებურობისა, პოტენციალისის და ქცევისა:

უნებურობის კატეგორია

- I. დწიუეტი — ატირდა, სამხაწიუეტი — უნებურად ავტირდი ([14], გვ. 179).
- II. დციგეტი — ჩაეძინა, სამხაციეტი — უნებურად ჩამეძინა ([16]).
- III. დგჩეეტი — გაეცინა, სამხაჩეეტი — უნებურად გამეცინა ([16]).

პოტენციალისის კატეგორია

- I. იზგყალომ ფსგ ზხოუ აძიგ სიცცარაზგ — ვერ იქნება სულიერ, ვისმე წავყვე ([11], გვ. 29).
- II. ხგგ უ აჩინ აფსხგრაზგ დზგმციეეტი — ხიგუ იმ დღეს ქელეხში ვერ წავიდა ([14], გვ. 184).
- III. უეიზგჲ ჰარა ჰზედნგმაალეეტი — ჩვენ მაინც ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს ([11], 42).
- IV. აბრა სგზტიომ — აქ ვერ დავჯდები ([14], გვ. 173).
- V. ახა სგზნიტამ — მაგრამ ვერ მივალ ([14], გვ. 175).
- VI. სარა სებჟე ცანგ სეყოტუბ, სგზშაძომ — მე ხმა მაქვს წასული, ვერ ვიყეფებ ([16]).
- VII. აჭკენ დგზციაჟომგზტი, ახა ცხნ ლნაპაჭგ დანგყალა აციაჟარა იწოტი — ბიჭი ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ თავისი დედის ხელში რომ აღმოჩნდა, ლაპარაკს სწავლობს ([16]).

აღნიშნული მორფოლოგიური კატეგორიების ერთპირიან ზმნებში გამოვლენა ამ კატეგორიათა ნიშნების ფუნქციური ცვლის შედეგი უნდა იყოს.

III თავი

წარმოქმნის კატეგორიები

ორპირიანი, სამპირიანი და სამზე მეტპირიანი ზმნები ქართულსა და აფხაზურ ენებში

ერთპირიან ზმნებთან შედარებით ორპირიანი, სამპირიანი და სამზე მეტპირიანი ზმნები მორფოლოგიური კატეგორიების სიმრავლით ხასიათდება აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენებში.

პირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენათათვის დამახასიათებელ პოლიპერსონალურ ზმნას საშუალება ეძლევა გამოხატოს ნაირგვარი მიმართება სუბიექტურ და ობიექტურ, ან ობიექტურ პირებს შორის. ზმნაში მორფოლოგიური ნიშნით გამოხატული, პირებს შორის არსებული ურთიერთმიმართება ქმნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის მორფოლოგიურ და სიტყვაწარმოებით კატეგორიათა მრავალფეროვნებას.

აფხაზურ-ადიღური ენების რელატიურ (და ზოგჯერ აბსოლუტურ ზმნასაც) უღლების კატეგორიათა — პირის, კლასის, რიცხვის) გარდა მოეპოვება წარმოქმნის კატეგორიები: ქცევის, პოტენციალისის, უნებურობის, კაუზატივისა და საურთიერთო-სათანაო.

ქართველურ ენებში რელატიურ ზმნაში გამოიყოფა: ქცევა, პოტენციალისი, კაუზატივი.

თანაობისა და უნებურობის კატეგორიები ქართველურ ენებში აღწერილი საშუალებებით გადმოიცემა.

აფხაზურ-ადიღური და ქართველური ენების ზმნას პირისა და რიცხვის კატეგორიათა გარდა, საერთო აქვთ ქცევის, პოტენციალისისა და კაუზატივის კატეგორიები.

ამ კატეგორიათა წარმოების მხრივ აფხაზურ-ადიღური და ქართველური ენები ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ:

ქცევის კატეგორია ქართულში

მოკლედ ქცევის კატეგორიის შესწავლის ისტორიაზე ქართულში:

ქცევის კატეგორიის არსებობა ქართულ ზმნაში ჯერ კიდევ ძველმა გრამატიკოსებმა შენიშნეს, კერძოდ ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთ აზრს გამოთქვამენ: **ნ. ჩუბინაშვილი** ([123], გვ. 115-118), **დ. ჩუბინაშვილი** ([122], გვ. XIII), **დ. ყიფიანი** ([80], გვ. 118-119), **კ. დოდაშვილი** ([11]), **პლ. იოსელიანი** ([23], გვ. 49), **ბ. კვიციანიძე** ([24], გვ. 129-130), **ა. ქუთათელაძე** ([79], გვ. 85), **თ. ყორღანია** ([55], გვ. 51), **ს. ხუნდაძე** ([125]), **მ. ჯანაშვილი** ([129], გვ. 65-66). უცხოელთაგან **ჰ. შუხარდტი** ([197], გვ. 15).

ქცევა გამოყოფილია **ნ. მარის** ნაშრომებში ([160], ტაბ. XI; 158, გვ. 136-137). აგრეთვე **ნ. მარისა** და **მ. ბრიგის** ნაშრომში ([194], გვ. 114, 116-119, 159).

ქცევას განიხილავს **ბ. რუდენკოც** ([165], გვ. 106-107, 137, 143).

ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს **აკ. შანიძის** თვალსაზრისს ქცევის კატეგორიის შესახებ, განმარტებითურთ: ქცევა, ანუ ვერსია არის ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა ურთიერთობაა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტს შორის, ან ობიექტებს შორის ([92], გვ. 323).

ქცევის კატეგორიას ქართულში გამოყოფს **არნ. ჩიქობავა** ([105], გვ. 117, 118): „სუბიექტისა და ობიექტის აღნიშვნის გარდა ზმნაში შეიძლება ნაჩვენები იყოს კუთვნილებითი ურთიერთობა, რომელიც აფიქსით უნდა იყოს გამოხატული და არა

ახალი სიტყვის დართვით, ან ზმნის ფუძისეული მასალით... სინტაქსური ანდა სემასიოლოგიური საშუალებით გამოხატული კუთვნილება ქცევას არ ქმნის, ქცევა მორფოლოგიური კატეგორიაა“.

ქცევის კატეგორიის არსებობის წინაპირობად არნ. ჩიქობავას ზმნის ორპირიანობა მიაჩნია, ერთპირიან ზმნაში ქცევის საკითხი არ დაისმის.

არნ. ჩიქობავა „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ ქართულში გამოყოფს სამ ქცევას: სასუბიექტოს, საობიექტოს და მათთან შეპირისპირებით ნეიტრალურ, ანუ საარვისო ქცევას, სადაც ზმნის ფორმა არ აღნიშნავს, თუ ვის ეკუთვნის ობიექტი: „აშენებს“, „აკეთებს“, „ზრდის“... (ობიექტი კი მოიპოვება!)... ასეთი ზმნები ქართულში ისევე არ გადმოგვცემს ქცევას, როგორც რუსული, სომხური ან ლათინური ზმნა ([121], გვ. 106-109).

ქართულისათვის ძირითად ქცევებად არნ. ჩიქობავას სათავისო და სასხვისო ქცევა მიაჩნია. საარვისო, ნეიტრალური ქცევის ანიშნაზე კი წერს: „რაც შეეხება ა- პრეფიქსს, მას საზედაოს შინაარსი შეაქვს ზოგიერთ ზმნაში“ ([119], გვ. 050, 058, 059).

ქცევის ი- და უ- ნიშნები არნ. ჩიქობავას ნაცვალსახელურ ნაწილაკებად მიაჩნია, ხოლო ა-ს შესახებ წერს: „იგი (ა-) არ არის საარვისოს ნიშანი, არც საზედაოს ნიშანი ჩანს თავისი წარმოშობით“... ([105], გვ. 167).

აკ. შანიძემ თავდაპირველად ქართულში გამოყო ქცევის რვა ფორმა ([93], გვ. 140-143, 147-167), შემდეგ ქცევის სახეობათა რიცხვი შეამცირა ხუთამდე ([93], გვ. 312-338), ხოლო 1930 წლიდან აკ. შანიძე ქართულ ზმნაში ქცევის სამ სახეობას ასხვავებს ([92], გვ. 323). ესენია:

საარვისო (ნეიტრალური) ქცევა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის: „სახლს ვ-აშენებ“... სათავისო (სასუბიექტო) ქცევა, რომელიც გვიჩვენებს,

რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს: „სახლს ვ-ი-შენებ“... სასხვისო (საობიექტო), რომელიც გამოხატავს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს: „სახლს ვ-უ-შენებ“...

სათავისო ქცევის ნიშანია ი- პრეფიქსი: „ი-შენებს“, „ი-კეთებს“...

ქცევის ეს სახეობა მხოლოდ გარდამავალ ზმნებში გვხვდება. გარდაუვალ ზმნებს აქვთ მხოლოდ საარვისო და სასხვისო ქცევა. სათავისო ქცევა გარდაუვალ ზმნებს პირდაპირი ობიექტის უქონლობის გამო აკლიათ.

სუბიექტის მოქმედება თავის თავზე და თავისი სხეულის ნაწილებზე გადმოიცემა სათავისო ქცევის ფორმით: „თავი მოიკლა“, „კბილი მოიცვალა“... აგრეთვე, როდესაც ობიექტად არის თავსამკაული ან ტანისამოსი, სათავისო ქცევას მიმართავენ: „ქუდი დაიხურა“, „პერანგი ჩაიცვა“ ([92], გვ. 323, 328). ეს მოვლენა საინტერესოა სათავისო ქცევის ისტორიის თვალსაზრისით.

სასხვისო ანუ საობიექტო ქცევის ნიშანია ი- პრეფიქსი I და II პირში, უ- პრეფიქსი III პირში. გარდამავალი ზმნის სასხვისო ქცევა სამპირიანია: „მ-ი-წერ-ს“ — წერს ჩემსას ან ჩემთვის, „გი-წერს“ — წერს შენსას ან შენთვის, „უწერს“ — წერს მისას ან მისთვის.

სათავისო და სასხვისო ქცევათა ნიშანია ი- I, II, III პირში სათავისო ქცევისათვის, I და II პირში სასხვისოსათვის. განსხვავება გამოჩნდება სასხვისო ქცევის III პირში, სადაც თავს იჩენს უ-პრეფიქსი. სათავისოს კი შერჩება ი- ხმოვანი:

სასხვისო ქცევა	სათავისო ქცევა
და-მ-ი-ყენ-ა	და-მ-ი-ყენ-ა
და-გ-ი-ყენ-ა	და-გ-ი-ყენ-ა
და-უ-ყენ-ა	და-ი-ყენ-ა
საარვისო ქცევა არის უნიშნო: „ტეხს“, „გრეხს“ და ნიშნია-	

ნია „ა-კეთებ-ს“, „ა-შავებ-ს“...

უნიშნო და ნიშნიანი საარვისო ქცევის ფორმა ერთნაირად უპირისპირდება სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებს:

ტებ-ს	ი-ტებ-ს	უ-ტებ-ს
ა-ტებ-ს	ი-ტებ-ს	უ-ტებ-ს
წერ-ს	ი-წერ-ს	უ-წერ-ს
ა-წერ-ს	ი-წერ-ს	უ-წერ-ს

ქცევა ქართულში მოეპოვება ზმნის პირიან ფორმებს I და II სერიის მწკრივებში. III სერიაში ქცევა არ განირჩევა საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო.

ქართულში გამოიყოფა უქცეო ზმნები, ე. ი. საპირისპირო ფორმათა უქონელი ზმნები: „ჰგონია“, „ჰქვია“, „იცის“ ([92], გვ. 332, 338, 339, 345).

მეგრულ-ჭანურში არნ. ჩიქობავა სამ ქცევას გამოყოფს. აქ ქცევას აქვს ორი ფუნქცია: აღნიშნავს, როგორც იმას, რომ მოქმედება ეხება სუბიექტის საგანს, ისე იმასაც, რომ მოქმედება ეხება სუბიექტისათვის განკუთვნილ საგანს: პის იბონს — „პირს იბანს“ (თავისას ან თავისთვის), უკეთენს — „უკეთებს“ (სხვისას ან სხვისთვის)...

მეგრულ-ჭანურში სასუბიექტო ქცევის ნიშანია ი- ყველა პირში, საობიექტო ქცევისა კი უ- III პირის ობიექტთან და ი- I და II პირის ობიექტებთან ([121], გვ. 106-109).

ჭანურის სარფულ თქმაში არნ. ჩიქობავას დადასტურებული აქვს სასუბიექტო ქცევის ხმარების ისეთი შემთხვევა, როდესაც სასუბიექტო ქცევა აღნიშნავს მხოლოდ თავის სხეულის ნაწილზე მოქმედებას: ხე იკვამუს — „ხელს იჭრის“... არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ სწორედ აქ უნდა იყოს შემონახული სასუბიექტო ქცევის ამოსავალი, პირველადი მნიშვნელობა: მოქმედება სუბიექტის საგანზე და არა სუბიექტისათვის განკუთვნილ საგანზე. ასევე უნდა ყოფილიყო სასხვისო, საობიექტო ქცევაშიც.

ამჟამად სასხვისო ქცევას ორივე მნიშვნელობა აქვს: მოქმედება ეხება ობიექტის საგანს, ანდა ობიექტისათვის განკუთვნილ საგანს.

სარფულის ჩვენება არქაულ ვითარებას ასახავს. ასევე უნდა ყოფილიყო ქართულშიც, მეგრულშიც, სვანურშიც ([121], გვ. 108, 109).

ჭანურში სასუბიექო და საობიექტო ქცევები ზმნას, ქართულის, მეგრულის და სვანურისაგან განსხვავებით, III სერიაშიც ახასიათებს, რადგან ჭანურს III სერიაში შენარჩუნებული აქვს ზმნის პირდაპირი წყობა.

გ. თოფურია სვანურში გამოყოფს ოთხ ქცევას: საარვისო, სათავისო, სასხვისო და საზედაო ქცევებს.

საარვისო ქცევის ნიშნებია: — ა- და 0 (ნული), სათავისოსი — ი-, სასხვისოსი — ი- I და II პირთან, ხოლო ო- III პირთან, საზედაო ქცევა -ა-თი გადმოიცემა.

სვანური ო- და ქართული უ- მორფოლოგიური ეკვივალენტებია: შდრ. სვან. „ხოშა“ — ქართ. „ხუცხუი“... ([19], გვ. 43-51, 39).

ამრიგად, ქართულში, მეგრულ-ჭანურში და სვანურში ზმნას ახასიათებს ქცევის კატეგორია. ქცევის კატეგორიის მაწარმოებელი ნიშნები ყველგან პრეფიქსებია. ამ ენებში ქცევის კატეგორიის მორფემები მატერიალურად ემთხვევა ერთმანეთს, თანხვედნილია აგრეთვე ქცევის კატეგორიის წარმოების პრინციპიც.

ქართ.	მეგრ.-ჭან.	სვან.
საარგ. -ა, 0	-(ა)	-ა, 0
სათ. -ი	-ი	-ი
სასხვ. -ი/უ	-ი/უ	-ი/უ

ქართველურ ენებში მხოლოდ ორ სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებს გამოყოფენ: გ. როგავა ([61], 208-210), ფ. ერთელიშვილი ([13]).

გ. როგავა ქართველურ ენებში გამოკვეთს სათავისო და სასხვისო ქცევას, ხოლო საარვისო ქცევა არ მიაჩნია ქცევად, რადგან იგი არ გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას, ვერ უპირისპირდება ქცევის ფორმებს და არა აქვს ფორმა-ნიშანი; მას აფიქსი სხვა ფუნქციისად მიაჩნია.

სათავისო და სასხვისო ქცევის ი- ნიშანი, რომელიც ამ ქცევათათვის საერთოა I და II პირში და განსხვავებულია III პირში, გ. როგავას აზრით, არის ერთი და იგივე კუთვნილებითი აფიქსი, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ მნიშვნელობებს იძლევა სხვადასხვა პირთან, ხან სუბიექტთან, ხან ირიბ ობიექტთან დაკავშირებით. თუ ი- სუბიექტთან არის დაკავშირებული: „ამხანაგი მე მიჭერს“, მაშინ ქცევა სასუბიექტო (სათავისოა), ხოლო თუ ი- ობიექტთან არის დაკავშირებული, „ამხანაგი მიჭერს მე ცხენს“, მაშინ ქცევა საობიექტოა (სასხვისოა).

გ. როგავა ვარაუდობს, რომ რამდენადაც ქცევა ოდენ კუთვნილებით მომენტს გამოხატავს, ამდენადვე, აუცილებელია ზმნის სამივე პირისათვის ერთი და იგივე ნიშანი ჰქონოდა ენას.

ავტორის აზრით, ი- აფიქსი ჩამოყალიბების პროცესში გარდამავალ ზმნასთან გამოხატავდა სუბიექტის კუთვნილებას (სათავისო ქცევას), ხოლო გარდაუვალთან ობიექტის კუთვნილებას (სასხვისო ქცევას).

გ. როგავა ქართველური ენების ი- პრეფიქსის ამოსავალში ვარაუდობს კუთვნილებით ნაცვალსახელს, რომელიც თავს იჩენს სახელთა ბრუნებასა და სიტყვაწარმოებაშიც.

„ქცევის კატეგორია უძველესი წარმოშობისა უნდა იყოს ქართველურ ენებში. პირის აფიქსების ჩამოყალიბების პროცესში უნდა ჩამოყალიბებულიყო ქცევის აფიქსებიც“ ([61], გვ. 208-210).

ფ. ერთელიშვილის აზრითაც, ქართულში უნდა გამოიყოს ორი ქცევა: სათავისო და სასხვისო. საარვისო ქცევა ქართულში

გამოყოფილია მხოლოდ საოპოზიციო ცალების დაძებნის მიზნით. ფ. ერთელიშვილი საარვისო ქცევის უარყოფის საბუთს ქცევის კატეგორიის თვით აკ. შანიძისეულ განმარტებაში ხედავს: საარვისო ქცევა არ ასახავს არავითარ კუთვნილებით-დანაშნულებით ურთიერთობას პირებს შორის, ამდენად იგი არ არის ქცევა; იმავე აზრისაა ავტორი საარვისო ქცევის ა- ნიშანზეც: რაც არ არსებობს, იმას არც ნიშანი ექნება.

საარვისო ქცევის ნიშნად მიჩნეული ა- მოქმედებითი გვარის პრეფიქსად მიაჩნია ფ. ერთელიშვილს... ([13], გვ. 177-197).

ქართულში სამზე მეტ ქცევის ფორმას გამოყოფენ: **გ. დეეტერსი** ([186]), **ჰ. ფოგტი** ([199]), **გ. ნებიერიძე** ([51]), **მ. მაჭავარიანი** ([47]), **მ. დამენია** ([10]).

გ. დეეტერსი აკ. შანიძის აღრინდელი შეხედულების გათვალისწინებით, ქართულში ასახელებს ქცევის ხუთ ფორმას ([186], გვ. 73-77, 82-86).

ჰ. ფოგტი გამოყოფს ოთხ ქცევას ([199], გვ. 118).

გ. ნებიერიძის აზრით, ვნებითის ნიშნად მიჩნეული ი/ე ხმოვნები უნდა განიხილებოდეს ქცევის ნიშანთა შორის: ი- სათავისო ქცევის, ხოლო ე- სასხვისო ქცევის ნიშნად. ამ დასკვნამდე გ. ნებიერიძე მიდის იქიდან ამოსვლით, რომ ერთ ოდენობად თვლის: ვნებითის ი- ნიშანს, საშუალი გარის რეფლექსური ფორმების ი-ს და სათავისო ქცევის ი- ნიშანს მოქმედებითი გვარის ზმნებში.

ე- პრეფიქსის შესახებ გ. ნებიერიძე იზიარებს აკ. შანიძის აღრინდელ მოსაზრებას (ე-ს სასხვისო ქცევის ნიშნად მიჩნევას) და არ ეთანხმება აკ. შანიძისავე ახალ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ე- პრეფიქსი ვნებითი გვარის ნიშნად განიხილება ([51], გვ. 132-145).

ქცევის კატეგორიას კიდევ უფრო ფართო გავებით განიხილავს **მ. მაჭავარიანი**: კუთვნილება-დანიშნულების აღნიშვნა მას ქცევის კატეგორიის მხოლოდ ერთ-ერთ თვისებად მიაჩნია; მისი

აზრით, „მაქცევრის ზოგადი მნიშვნელობა არის მოქმედების ორიენტაცია მოლაპარაკე პირის მიმართ, ან მისგან გარეთ. — ცენტრი... ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით, არის არა სუბიექტური, ან ობიექტური პირები, არამედ მოლაპარაკე პირები“.

მ. მაჭავარიანი მაქცევრებად თვლის, ტრადიციულად ქცევის ნიშნებად მიჩნეულ ა- / ი- / უ- ხმოვნებს გარდა გვარის ნიშნებად მიღებულ ი-/ე- ხმოვნებსაც ([47], გვ. 39, 64).

მ. დამენია ქართული ზმნური მორფემების რანგობრივი განაწილებისას ერთ პრეფიქსულ რანგში აერთიანებს ვნებითი გვარის (ი-, ე-), ქცევის (ი-, ი- უ-) და „პირიანობის მმატებელ“ ა- პრეფიქსებს ([10], გვ. 74, 129).

გარკვეულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ქცევის კატეგორიის მაწარმოებელ პრეფიქსთა თაობაზე: **ვ. თოფური**, **ივ. ქავთარაძე**, **ქ. ლომთათიძე**, **გ. მაჭავარიანი**, **ბ. ჯორბენაძე**; უცხოელთაგან: **კეტლერი**, **ვ. პეშენი**, **ვ. ბოედერი**, **კ. შმიდტი**, **ა. ჰარისი**...

ა- პრეფიქსს მოქმედებითი გვარის ნიშნად მიიჩნევდა **ვ. თოფური**: „ა- იგივეა, რაც მოქმედებითის ზმნათა თავსართი ა-, შდრ.: ყავ, ა-სახელებს ([18]).“

ივ. ქავთარაძე: „ი- პრეფიქსმა რეფლექსურ-უკუქცევითი შინაარსისაგან თანდათან გაიფართოვა მნიშვნელობა და სათავისო ქცევა გამოხატა; უ- პრეფიქსი სასხვისო ქცევისათვის იქნა გამოყენებული, ხოლო ა-ს გამოყენება ძალიან ფართოდ გავრცელდა ზმნის ფორმაწარმოებაში“ ([77], გვ. 325).

ქ. ლომთათიძის აზრით, ქცევის ნიშნები ქართულში თავდაპირველად მითითებით-მიმართულებითი ფუნქციისა უნდა ყოფილიყო.

ამ დასკვნამდე მიდის ავტორი აფხაზურ-აბაზურ ზმნიზედებში გამოვლენილ ია- და უა- ელემენტების ქართულ ზმნიზედებში გამოვლენილ ი-/უ- ელემენტთა შეპირისპირების საფუძველზე: „უ-/ი- მითითებითი ფუნქციისაა, ქართულის ი- უნდა უკავშირ-

დებოდეს „იგი“ ნაცვალსახელს, უ- კი მ-ს სახით გვხვდება აფხა-ზურ-აბაზურ ზმნიზედებსა და მითითებით ნაცვალსახელებში... აწმთახ — „შემდეგ“, ტაპანთურში გვხვდება აამ-გ-შთახ ის სახითაც; ქართული -ჟაწ, უბიხურში წარმოდგენილია „მეწა“-ის სახით“.

„სტრუქტურული ანალოგიის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ აფხაზურ ენაში არსებული ზ- და ც□- სასხვისო ქცევის აფიქსები გამოხატავენ მიმართულებასაც“...

„ი- პრეფიქსი გამოყენებული იყო „არაშორეული წარსული-სათვის“, ის დაკავშირებული იყო სუბიექტურ ქცევასთან, თავისავე თავზე მოქმედებასთან, ხოლო უ- პრეფიქსი კი აღნიშნავდა „უფრო შორეულ წარსულს“ და დაკავშირებული იყო ობიექტურ ქცევასთან“ ([152], გვ. 313, 319).

გ. მაჭავარიანი საარვისო ქცევის ა- ნიშანს კატეგორიის მაწარმოებლად თვლის, მეორადი ფუნქციით ([43], გვ. 109).

ბ. ჯორბენაძემ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ზმნის ხმოვანპრეფიქსებს ([132]), სადაც ასეთი დასკვნები მიიღო:

„ქართულში დამოწმებული ზმნური ხმოვანი პრეფიქსები კონსტრუქციის ამა თუ იმ წევრთან მიმართების თვალსაზრისით ორ ჯგუფად განიყოფება: ა) ცალკე დგას უკუქცევითობის ი-პრეფიქსი, რომელიც გამოხატავს მოქმედების შედეგისა ან თვით მოქმედების უკუქცევას სუბიექტის, ან ირიბი ობიექტისადმი, ვ-ი-ხატ-ავ, ვ-ი-ხატ-ებ-ი, მ-ი-ხატ-ავ. ბ) მეორე ჯგუფს ქმნიან ა-, ე- და უ- პრეფიქსები, რომლებიც კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე მიანიშნებენ ([132], გვ. 225; [131], გვ. 114).

გ. კეტლერმა ი- და ე- პრეფიქსები ერთმანეთს დაუკავშირა და მათს უძველეს ფუნქციად რეფლექსურობა ივარაუდა ([192], §122).

ვ. პეშენი ა- პრეფიქსის თაობაზე აღნიშნავს, რომ ეს ფორმანტი მჭიდროდ უკავშირდება ობიექტური პირის ნიშნებს. ნასა-

ხელურ ზმნებთან ა- პრეფიქსს ავტორი მხოლოდ ობიექტური პირის პრეფიქსის გამაძლიერებლად თვლის ([198], გვ. 39, 59-60, 63-67, 78, 82).

ვ. ბოედერს მიაჩნია, რომ სათავისო ქცევა სასხვისო ქცევის კერძო შემთხვევაა, იგი იზიარებს და ავითარებს ვარაუდს, რომ ხმოვანი პრეფიქსების დანიშნულებაა ობიექტზე მითითება ([184], გვ. 100, 109, 125).

კ. შმიდტის აზრით, გარდაუვალი ზმნების ფუძეებზე ი- ნიშნის გავრცელება მხოლოდ მეორად პროცესს წარმოადგენს, პასივის წარმოშობა სათავისო ქცევიდან შესაძლებელია მხოლოდ სიტყვა „თავი“-თ წარმოებული გარდამავალი უკუქცევითი კონსტრუქციის გავლით ([98], გვ. 305);

ა. ჰარისი ვარაუდობს, რომ $ჰ- + -ი = უ-$ ([191], გვ. 90, 101).

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ სამეცნიერო ლიტერატურაში ქცევის კატეგორიის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი. ყველაზე მეტად სარწმუნო გვეჩვენება იმ ავტორთა შეხედულება, რომლებიც ქართულში ქცევის მხოლოდ ორ სახეობას გამოყოფენ ([61]; [13]). ამ შეხედულებას ხელს უწყობს აფხაზურ-ადიღური ზმნების ჩვენებაც.

ქართველურ ენებში ქცევის კატეგორია იწარმოება პრეფიქსებით. ეს უკანასკნელნი ნაცვალსახელური წარმოშობისაა ([106], გვ. 155; [61], გვ. 208, 210). თავდაპირველად ქცევის ნიშნებს უნდა ჰქონოდათ მითითებით-მიმართულებითი ფუნქციაც ([152], გვ. 313, 319).

ქცევის კატეგორია აფხაზურში

აფხაზურ ენაში, ქართველური ენების მსგავსად, ზმნას ახალიათებს ქცევის კატეგორია.

აფხაზურში ქცევის კატეგორია რამდენადმე განსხვავდება

ქართველურ ენათა ქცევისაგან.

ქ. ლომთათიძე აფხაზურ-აბაზურში გამოყოფს ორ ქცევას: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო) ქცევებს ([40], გვ. 411-419; [153]; [152]; [151]).

აფხაზური ენის გრამატიკაში გამოყოფილია აგრეთვე ქცევის მესამე სახეობაც, ნეიტრალური ქცევა. ცალკეა გამოყოფილი უკუქცევითობის კატეგორია ([138], გვ. 136-143).

ქ. ლომთათიძის ნაშრომებში აფხაზურში ნეიტრალური ქცევის გამოყოფის შემთხვევას ვერ ვხვდებით; უკუქცევითობის კატეგორიას ქ. ლომთათიძე სათავისო ქცევად მიიჩნევს ([153]).

ბ. უსლარი აღნიშნული ქცევის სახეობას უკუქცევითს უწოდებს, უსლარი გამოყოფს აგრეთვე ზმნათა უკუქცევით ფორმებს, რომლებშიც ჩა- ელემენტი არ მონაწილეობს ძგ-შ□-ძგ-წუე□ტ „ის იცვამს“ და სხვ. ([170], გვ. 62, 63).

1. სათავისო (სასუბიექტო) ქცევა იწარმოება ზმნურ ფორმაში — რეფლექსურობის ელემენტის მონაწილეობით. ეს ელემენტი მოსდევს „ლ“-ს რიგის აფიქსებს და აღნიშნავს გარდამავალი ზმნის სუბიექტის მხოლოდ თავისავე თავზე მოქმედებას. აფხ.: ძჩჲ-□წ□ახგძტ — „მან თავი დაიმალა“.

ჩა- რეფლექსურობის ელემენტს ქ. ლომთათიძე ადასტურებს ტაპანთურშიც. თუ აფხაზურში რეფლექსურობის ელემენტს კუთვნილებითი აფიქსი მუდამ წინ ახლავს, და პირის ორ ნიშანს წარმოგვიდგენს: აფხ. ს-ჩჲგ-ს-წუე□ტ — „თავს ვიკლავ“, ტაპანთურში რეფლექსური ფორმების ჩა- ელემენტს კუთვნილების გამომხატველი პირის ნიშნები აღარ ერთვის და აფხაზური ს-ჩჲგ-ს-წუე□ტ-ის ნაცვლად ტაპანთურში ჩჲგ სშიტ ფორმას ვხვდებით.

ტაპანთურში ზმნა საკუთარი თავისაკენ მიმართულ მოქმედებას კაუზატივის ფორმითაც გამოხატავს: ფშაატაკ□ სსრგსგპ — „ცოტა ქარს მოვიქროლებ“... ([27], §44; 152).

— რეფლექსურობის ელემენტი აშხარულში თითქოს ფუძე-

საა შეზრდილი; ეს ნათელი ხდება საგარემოებო აფიქსთა წარმოებისას: -შა-, -ან-..., რომლებიც რიგით პირველი პირის აფიქსის შემდეგ დაისმის აფხაზურში: ს-ჩა-ანგ-ს-შუა — „მე თავს როცა ვიკლავ“... ამხარულში კი ჩა- ელემენტი საგარემოებო აფიქსების შემდეგ მოხვედრილა: შაგ-ჩაგ-დ სგრდგრრა — „მათ მე როცა გორც თავი გავაცნო“...

აღნიშნულ ფორმათა წარმოებისას ამხარულში დასტურდება სამი საფეხური: 1) ჩა- ელემენტს ახლავს კუთვნილებითი აფიქსი: უჩაგრტლა „გაიხადე“, 2) კუთვნილებითი აფიქსი ჩამოშორებულია: ჩაგლშაგტ „თავი მოიკლა“, 3) კუთვნილებითი აფიქსი ჩამოშორებულია და ზმნას უჩნდება ობიექტის ნიშანი.

ამხარულში, აფხაზურისაგან განსხვავებით, ტაპანთურის მსგავსად, უკუქცევითი მოქმედება შეიძლება პირის ნიშნის გაორკეცვითაც მოხდეს: დაასსგრდგრპ „მე ჩემს თავს გავაგებინებ“ ([30], §38).

აფხაზურმა, ზანური ენის ჭანური დიალექტის მსგავსად, შემოგვინახა სათავისო ქცევის ის ამოსავალი ფუნქცია, რაც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ქცევის ამ ფორმისათვის ყველა აღნიშნულ ენაში. ესაა სუბიექტის საკუთარ თავზე, ან სხეულის ნაწილზე მოქმედება ([121], გვ. 106-110).

2. სათავისო ქცევა გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას, მიმართულს თავისსავე სხეულის ნაწილზე, რომელიც კონკრეტულ ასახვას პოულობს ზმნის ფუძეში. მაგ., „ტანი, სხეული“ — აფხ.-აბაზ. შ□გ-, უბიხ. ჯა-; „ფეხი“ აფხ.-აბაზ. შა-, უბიხ. ლა — და ა. შ. აფხაზ.: ი-სგ-შა-ს-წო□ტ, უბიხ. ა-ს-ლა-სგ-დან „მას მე ჩემ ფეხთ ვიკვამ“... ([153], გვ. 98; [151]; [138], გვ. 136-143).

აფხაზური ზმნის სასხვისო ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული ზმნის სასხვისო ქცევისაგან. აქ მეტ კონკრეტულობას გამოხატავს ზმნის ფორმა. სასხვისო ქცევა აფხაზურშიც ირიბი ობიექტისადმი განკუთვნილ მოქმედებას გულისხმობს,

ოღონდ ქართულისაგან განსხვავებით, აფხაზურის სასხვისო ქცევას ახლავს მიმართულების აღნიშვნა და წარმოდგენილია ორი ქვესახეობით:

ა) ირიბი ობიექტისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება აფხაზური ზ-, (ბზიფური ზ'-) აფიქსით ([133]): ე. წ. ირიბი ობიექტისათვის სასარგებლო ქცევა:

ზ- აფიქსი გამოხატავს პირდაპირი ობიექტის განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდამავალ, სამპირიან ზმნებში), ან სუბიექტისა და მისი მოქმედების განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდაუვალ ზმნებში).

ზ- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით: სცოღ — „მივდივარ“, სიზცოღ — „მისთვის მივდივარ“, იყასწოღ — „მე მას ვაკეთებ“, ილზგყასწოღ — „მე მას მისთვის (ქ) ვაკეთებ“...

ბ) ირიბი ობიექტიდან მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება ც- აფიქსით.

ც- აფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტისათვის ე. წ. საზიანო, მისგან აქეთ მომართულ მოქმედებას.

ც- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით, როგორც ეს ზ-ს შემთხვევაში იყო: სტოღ — „ვჭდები“, სიცტოღ — „მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ვჭდები“, იზგოღ — „მე ის მომაქვს“, ილცღზგოღ — „მე ისი მისი (ქ) სურვილის საწინააღმდეგოდ მომაქვს (ვართმევ)“.

ზ-, ზ'- ელემენტი ქ. ლომთათიძის აზრით, იგივეა, რაც სახელებში გამოყენებული (ა)ზგ — „თვის“ თანდებული. თუ ეს ელემენტი სახელს დაერთო, ზმნაში აღარ იქნება წარმოდგენილი და მასაც ერთი, ირიბი ობიექტური პირი დააკლდება: ახღჳგ იზგ (ღყასწოღ — „ბავშვისთვის ვაკეთებ“, ახღჳგ იზგყასწოღ — „ბავშვს ვუკეთებ“... (ღყასწოღ- ორპირიანი გარდამავალი

ზმნაა, იზგყასწოქ — სამპირიანია. სასხვისო ქცევაში ზმნას ემატება ერთი — ირიბი ობიექტური პირი ([40], გვ. 415; [153]).

ზმნაში ზ- ელემენტისა და (ა)ზგ — თანდებულის ერთიანობას პ. უსლარიც შენიშნავს: უსლარი აღნიშნულ ელემენტს კითხვით ფორმებშიც გამოყოფს და აკავშირებს მას (ზ- ელემენტს) პოტენციალის კატეგორიის ფორმანტთანაც: ისეზგუჟამ — „ვერ ვწერ“... პ. უსლარი დასძენს, რომ ზ- ელემენტს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლაც შეუძლია: სგფშაჟეჟტ — „ვიხედები“; საზგფშაჟეჟტ — „ველოდები“... ([170], გვ. 63, 64).

ც□- ელემენტი **დიუმეზილს** უბიხურად მიაჩნია ([188], გვ. 199).

ქ. ლომთათიძის აზრით, აფხაზურ-უბიხური ც□-, როგორც მორფოლოგიურად, ისე ფონეტიკურად უკავშირდება ადიღურ მკვეთრ ლაბიალურ სპირანტს ს□-ს, რომლისაგანც მომდინარეობს ყაბარდოული ძ. ქ. ლომთათიძე ც□-ს აფხაზურისავე ც□გრ — „გარეთ“ წინდებულისაგან მომდინარედაც თვლის. აც□გრწრა — „გარეთ გამოსვლა“, აც□გრგარა — „გარეთ გამოტანა“ ([40], გვ. 418).

ჩვენი აზრით, ც□- სასხვისო ქცევის მაწარმოებელი აფიქსი აფხაზურში უნდა მომდინარეობდეს აც□ა❖ „კანი“ ლექსემიდან: ი-ლ-ც□-ზ-გოქტ „მე რაღაც მისგან (ქ.) მომაქვს), სიტყვა-სიტყვითი წარმოსახვითი მნიშვნელობით: „მე მისგან კანის მოცვლით რაღაც მომაქვს (იხ. არნ. ჩიქობავას საკითხავები, IX, თბ., 1998, 28).

სასხვისო ქცევის ზ- და ც□- პრეფიქსები მასდარშიც ჩანს. ზოგჯერ ისინი ზმნის ფუძესაა შეზრდილი: აზჰარა — „ზრდა, თვის მატება“, აზწარა — „კლება, თვის მცირება“...

ზ- და ც□- პრეფიქსები ყოველთვის ირიბი ობიექტის აფიქსის შემდეგ დგას.

აფხაზურის ზ- და ც□- პრეფიქსებით ნაწარმოები სასხვისო

ქცევა, ქართულის „ვუკლავ“ სასხვისო ქცევის ფორმას, რომელიც იმასაც ნიშნავს, რომ „მისთვის ვკლავ“ და იმასაც, რომ „მისას ვკლავ“, ორი განსხვავებული აფიქსით წარმოგვიდგენს ([40], გვ. 418).

ქართულშიც, აფხაზურის მსგავსად, სასხვისო ქცევის ი-/უ-აფიქსი მუდამ ობიექტის აღმნიშვნელი აფიქსის პოსტპოზიციურია. ოღონდ, ქართულში ქცევის აფიქსი, შესაძლოა, ორივე სახის ობიექტის ნიშანს ახლდეს.

ახალ ქართულში O_3 -ის ნიშანი აღარ ჩანს ქცევის აფიქსთა წინ (ხმოვნების წინ ხ/ჰ/ს იკარგვის), მაგრამ ხანმოკლე და ჰაემოციტი ტექსტების ჩვენების მიხედვით, სასხვისო ქცევის აფიქსი ყველა სათანადო ზმნურ ფორმაში O_3 -ის ნიშანს მოსდევს (ოღონდ, აღსანიშნავია, რომ $O_3 + \text{შ}_1$ პირთა კომბინაციაში სასხვისო ქცევის ნიშანი აღნიშნულ ტექსტებში ვერ დავადასტურეთ).

ძველი ქართული

მი-ხ-უ-გო (უძვ. 338, 353, 360, 363).

და-ხ-უ-გებთ (უძვ. 331).

ჰ-უ-პყრას (ჰაემ. 367), ზოგჯერ ძველსავე ქართულში O_3 -ის ნიშანი აღარ ჩანს ზმნაში:

მი-უ-გო (ჰაემ. 366, 381, 388)

მი-უ-გოს (უძვ. 363).

ქართულში დასტურდება სასხვისო ქცევის შინაარსის გადმომცემი უქცევისნიშნო ფორმებიც: შეჰრია/შეურია (106, გვ. 166). ამ რიგის მაგალითებში O_3 -ის აფიქს ჰ-სა და სასხვისო ქცევის ფორმანტ უ-ს ფუნქცია იმდენად ერთნაირია, რომ მათგან ერთ-ერთის ხმარება სრულიად საკმარისია სათანადო შინაარსის გადმოსაცემად.

აფხაზურისათვის ეს უცხოა.

ამრიგად, აღნიშნული მოვლენები: სასხვისო ქცევის აფიქსის

ლებელია“ ([153], გვ. 98).

ადილურშიც, ისევე როგორც ქართველურსა და აფხაზურ-აბაზურ ენებში, ქცევის კატეგორიის წარმოება პრეფიქსებს ეკისრებათ. ქცევის აფიქსები ამ ენებში ყოველთვის არ ამჟღავნებენ მატერიალურ ერთობას, მაგრამ სტრუქტურული ერთობის არსებობა უეჭველია.

ამრიგად, განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ:

1. ყველა განხილულ ენაში ზმნას ახასიათებს ქცევის კატეგორია, რომელსაც აქვს თავისი მორფოლოგიური ნიშანი ზმნაში.

2. ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენებში უნდა გამოიყოს ქცევის ორი სახეობა: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო); როგორც ქცევის კატეგორიის არსიდან ამოსვლით, ისე მონათესავე ენათა ჩვენების მიხედვით. მართებული ჩანს იმ მკვლევართა შეხედულება, რომელთაც მიაჩნიათ, რომ განხილულ ენებში საარვისო (ნეიტრალური) ქცევის კატეგორია არ უნდა გამოიყოს.

3. სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნები განხილულ ენებში პრეფიქსებია.

4. სასხვისო ქცევის ფორმანტები ძველ ქართულსა და აფხაზურში ობიექტური პირის აფიქსის პოსტპოზიციურია.

5. წარმოშობით, აღნიშნულ ენებში, ქცევის აფიქსები ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან მომდინარე მითითებით- მიმართულებითი ელემენტებია: ქართულისა და აფხაზურის ი/უ — მითითებით-მიმართულებითი ელემენტები თანხვედნილია მატერიალურადაც და სტრუქტურულადაც ([152]).

6. ქცევის კატეგორიის ტრადიციული განმარტების საფუძველზე და ენაში არსებული ობიექტური ვითარების გათვალისწინებით, ქართველურ ენათა მიმართ ი/ე — ვნებითი გვარის მაწარმოებელი ფორმანტები ქცევისად ვერ ჩაითვლება (იხ. 47;

51).

7. ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების ზმნების ქცევის კატეგორია მნიშვნელოვან სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ ერთობას ამყდვენ: ერთი მხრივ, ერთად დგას აფხაზურისა და მეგრულ-ჭანურის სარფულ თქმაში შემორჩენილი ვითარება, მეორე მხრივ, ქართულ-სვანურისა და ადიღურ ენათა მდგომარეობა. ეს უკანასკნელნი ქცევის კატეგორიის უფრო მეტად განვითარებულ სახეობას გვთავაზობენ.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ განვიხილავთ ქცევის კატეგორიას ძველი და ახალი ქართულისა და აფხაზურის მასალაზე დაყრდნობით.

ვფიქრობთ, მოპოვებული მასალის დემონსტრაცია თვალნათლივ წარმოაჩენს იმ მსგავსებას ქცევის კატეგორიის წარმოების პრინციპის თვალსაზრისით, რომელიც ამ ორ ენას აქვს.

ორპირიანი ზმნები

სათავისო (სასუბიექტო) ქცევა

ძველი ქართული

- I. ისმინენ უფალმან ჩემმან სიტყუა□ პირისაგან მონისა მისისა ([4], გვ. 58).
- II. და მუნ კრებულთა შორის გაბაელ იხილა დავრდომილი ([4], გვ. 35).
- III. ... და შეიღო სახლად ვიდრე მზისა დასლვამდე ([4], გვ. 36).
- IV. ... იზრახა ფარულად განტევება მისი ([7], გვ. 260).
- V. ... რამეთუ მან იჯსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან ([7], გვ. 261).
- VI. იბანოს და ჭამოს პური მწუხარებითა ([4], გვ. 36).
- VII. ... რათა ტობია იხუედროს დამკვიდრებად იგი ([4],

გვ. 38).

- VIII. ... და ითმენდის ყოველთა განსაცდელთა ([4], გვ. 36).
- IX. იკმიენ იგინი, ვითარცა სათნო არს წინაშე შენსა ([4], გვ. 56).
- X. ნუ ინებებ ცოდვად და გარდასლვად მცნებათა მისთა ([4], გვ. 39).

მოყვანილ მაგალითებში სათავისო ქცევის ნიშნად გამოიყოფა ი- პრეფიქსი, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ზმნის ფუძეს; ჩვენს მაგალითებში პირდაპირ ობიექტად ყველგან III პირია, საერთოდ სათავისო ქცევის ფორმასთან პირდაპირ ობიექტად I და II პირი იშვიათია: მ-ი-თრიოს, უკუეთუ შემკრას და მი-თრიოს ([6], გვ. 135) მო-გ-ი-თრიო, თრევით მოგითრიო ([6], გვ. 135).

სათავისო ქცევის ფორმა აქვთ მხოლოდ მოქმედებითი გვარის ორპირიან გარდამავალ ზმნებს.

III პირდ. ობიექტური პირის ნიშანი ხ/ჰ ახალ ქართულში არ ჩანს, ძველ ქართულშიც უჩინარდება ხმოვანთა წინ: ხანმეტ ტექსტებში იქნება *ხიხილა, ხისმინენ... და ა. შ.

ქართულში სათავისო ქცევის ფორმა სამპირიან ზმნებში არ გვხვდება.

ახალი ქართული

- I. სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა ([9], გვ. 41).
- II. რით ვიდიდეთ თავი ჩვენი ([9], გვ. 75).
- III. ქართველის ბედი ბურთსავითა სათამაშოდ წინ გაიგდო ([9], გვ. 76).
- IV. ვისხედით და ხელს ვითბობდით ([9], გვ. 77).
- V. თვისი სიმღერა დაიღულუნა ([9], გვ. 132).
- VI. თავი აიღო და გაიხედა ([9], გვ. 132).

- VII. და მყის გაიგდო ცხენი ბალახზედ ([9], გვ. 135).
- VIII. ჩრდილოეთისაკენ გაიშვირა გაქონილი თითი ([10], გვ. 253).
- IX. მეორე დღეს ომალოს გავცდი, მახილხორჯაში დავიღამე ([10], გვ. 255).
- X. ტანჯვა ველარ ავიტანეთ ([9], გვ. 77).

აფხაზური ენა

- I. უაყა იჩიიწ□ახტ — იქ თავი დაიმალა ([11], გვ. 47).
- II. უაყა რჩეეზერკტ — აქ თავი შეიკრიბეს ([11], გვ. 19).
- III. დარგეშალა რგჩადერყაფშქე□ტ — სისხლით გაიწითლეს თავები იმათაც ([11], გვ. 18).
- IV. ჟაად ჰაჩა ფაჰშ□აბჰაჟა □□შგოჟ დააბაბ — მოდი ჩვენ გამოვცადოთ, ჩვენგან ვინ უფრო მართალია, ვნახოთ ([16]).
- V. აბას ათაჰმადა ხშეკლა □ჰკ□ენც□ა დნეყ□ერგარტ□ დჩეყაფეეტ — ასე მოიქცა მოხუცი ჰკვიანურად, რომ მის გაჟებს ერჩინათ იგი ([16]).
- VI. ხ□გჰგკ აჩაანაკელტ — ცოტათი თავი შეიკავა მან ([14], გვ. 194).

სათავისო ქცევის ნიშანია ჩა — ელემენტი, რომელიც მოსდევს „ლ“-ს რიგის აფიქსებს და აღნიშნავს სუბიექტის მხოლოდ თავისსავე თავზე მოქმედებას. ზმნა გარდამავალია.

სასხვისო (საობიექტო) ქცევა

ძველსა და ახალ ქართულში სასხვისო ქცევის ფორმა ორპირიან ზმნებში არ დასტურდება.

აფხაზური ენა

სასხვისო (სასარგებლო) ქცევა:

- I. აკგ^ე ისზაფსახომგ^ეტ — რაიმედაც ჩემთვის არ ეღირებოდა ([14], გვ. 197).
- II. დსგ^ეწააყაზარ ჟღუბას $\square\text{ჰ}\square$ — თუ მან მიკითხოს, ასე უთხარი ([11], გვ. 23).
- III. \square რა იმთა სემშ^ე — გურღ^არა გურჯ არახა დაასზგყალედ^ეტ — მისი ნაჩუქარი, ჩემი დღის სიხარული, დარდად მექცა ([11], გვ. 25).
- IV. ანც \square ა ილა თენჩნგ აუს სზგმანშ \square ლახტ — ღვთით წყნარად საქმე ჩემთვის ისევ მოხერხებული გახდა ([11], გვ. 47).
- V. ჟაასზგძგრჯ, წაბგრჯ ჟასჰ \square ო \square ტ უ \square მეცრადა — მომისმინე, მართალს გეტყვი, უტყუილოდ ([11], გვ. 34).
- VI. ჟსზგფშგ ხგშჟ \square სა — მელოდე სამ წელიწადს ([11], გვ. 33).
- VII. ... დვაგვლანგ უბრაზ^ე დიზცე \square ტ — ადგომით იქ მიუვიდა ([11], გვ. 24).

სასხვისო (სასარგებლო) ქცევის ზ- პრეფიქსი ირიბი ობიექტის ნიშნის შემდეგ დგას ყოველთვის. ორპირიანი ზმნა სასხვისო ქცევის ფორმით გარდაუვალია.

სასხვისო (საზიანო) ქცევა

- I. დაც \square გმშ \square აროუპ ხაწა ცგ^არაკ — კაცს არ უნდა ეშინოდეს სიავისა ([11], გვ. 33).
- II. აპერკაზ აპისარ იირბაანძა იც \square გძტ — სანამ მწერალს ბრძანებას აჩვენებდა, დაეკარგა ([14], გვ. 174).
- III. აჰ \square არა დაც \square გფხაშონ — თქმისა რცხვენოდა ([14], გვ. 175).

- IV. აწაა ზეგჯე ფეიფჴის ირგმოუ მარგაჴ დზაცქემცტ — რაც ყველა ადამიანს ბედად აქვს, ისიც იმას ვერ გაექცა ([16]).
- V. სნეჴნე უცარა საცქენხარემ — დამტოვებ რა, შენი წასვლა არ დამარჩენს ([11], გვ. 34).
- VI. კუტალქ აკ სცქე ფჩაგდტ — კვერცხები გამიტყდა ([14], გვ. 174).
- VII. უბრი არფგს შმარა იშქე ცქცაზ — ის ყმაწვილი, თქვენ რომელიც გაგექცათ ([11], გვ. 28).
- VIII. უჩაჴ უსგჯე ისცქფსქტ — შენი ცხენი მაინც მომიკვდა ([16]).
- IX. ახქჴჴ დანიბა აგქგლრა ქცქეუადაჯხექტ — ბავშვი როცა დაინახა (რალაცის) გაბედვა გაუძნელდა ([16]).

სამპირიანი ზმნები

სათავისო ქცევის ფორმა ქართულში სამპირიან ზმნებში არ გვხვდება.

აფხაზური ენა

სათავისო (სასუბიექტო) ქცევა

სათავისო ქცევის ფორმა სამპირიან ზმნაში შედარებით იშვიათად გვხვდება აფხაზურში.

- I. უს ხანთაძაკ სა სჩააზგსკდტ — ძალზე მძიმე საქმეს მივუძვენი თავი (მოვეკიდე) ([11], გვ. 35).
- II. ბაშა ალაღრძ სა სჩაასგრგედტ — ტყუილად ცრემლებს თავი მოვაკვლევინე ([11], გვ. 41).
- III. იჯნე აშამხე აჩაანარგექტ — სირბილით წააყვანინა მუხლს თავი (გაიქცა) ([14], გვ. 176).
- IV. სარგჯე სჩააჭაასწაპ იჴქან — მეც თავს შევაჭმევო თქვა

- III. ... გრძნობა ჩემი განვუზიარო ([9], გვ. 72).
- IV. და ქვეყანას ერთგულება ჩვენი ურცხვად დავუძვირეთ ([9], გვ. 75).
- V. ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ ([9], გვ. 77).
- VI. მთაი მღუმარი დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა ([9], გვ. 30).
- VII. ხარს შოლტი გაუტლაშუნა ([9], გვ. 132).
- VIII. შევძახე მეც და გადავუჭირე ჩემს ცხენს მათრახი ([10], გვ. 256).
- IX. ერბო მივიღე, ძროხა კი დავუბრუნე ([10], გვ. 265).

აფხაზური ენა

სასხვისო (სასარგებლო) ქცევა

- I. საშინა სუააჟიგ — ჩემი ყველი მე მომიტანეთ ([14], გვ. 188).
- II. არი აშინა ხაზე ესგეშოწიას — ეს ყველი ცალკე ჩემთვის შეინახეთ ([14], გვ. 188).
- III. აპატრეთ თეხნე იზგსთიიტ — პორტრეტი გადავიღე და გავუგზავნე ([14], გვ. 176).
- IV. ააქხ იჟაჟ ივიზიტტი კარტოჟკა სუაითიაატი ჰია უაა იცჰატი — მოსულმა კაცმა სავიზიტო ბარათი გამომიგზავნოსო, შემოგიტვალა მან ([14], გვ. 176).
- V. აშია ლზგსჰოოტი უს იზგსჰიაც — მე მას (ქ.) ვუმღერ, ვისაც ვუმღერდი ([11], გვ. 6).
- VI. ჰენთქარ ქტიართას ილზდგრგლაზ — მეფის საჯლომ ადგილას რაც დაუდგეს ([11], გვ. 11).
- VII. ზგგე ირზელშეიეტ წვა ზმამ ჰამთა — ყველასათვის გაანაწილა მან (ქ.) უთვალავი საჩუქარი ([11], გვ. 12).

- VIII. აბას ს ზ გ რ უ ე ძ ტ ს ლ ა ხ ო ნ წ ა ქ ო ა — ასე მიწვრებიან ჩემი ბედ-იღბლები ([11], გვ. 38).
- IX. ამხვ ა გ ო ლ ა ც ი ა დ ზ გ რ ც ო ა ლ ო ე ო ტ — მას ყანა მე-ზობლებმა მოუხნეს ([16]).
- X. აბრი ა მ ო გ რ თ რ ა ზ გ ტ ა უ ო მ ო ზ გ გ მ დ გ რ ტ ა ზ ა რ ი ს - ზ ე დ ლ გ ო მ ო კ ა ა ო ო ე ო ტ — ეს ბალი ვისაც ეკუთვნის თუ თქვენ არ იცით, გამიგეთო, უთხრა ([16]).

სამპირიან ზმნებშიც ქცევის ზ- ფორმანტი ირიბ ობიექტური პირის ნიშნის შემდეგ დგას.

ს ა ს ხ ვ ი ს ო (ს ა ზ ი ა ნ ო) ქ ც ე ვ ა

- I. უ ა ვ ე ი ზ გ ა რ ტ ო გ ი ყ ო უ ზ ე გ ო ს ა რ ა ი რ ც ო გ ზ გ ა პ - ჰ ო ა — კაცისაგან წასაღები რაც არის, ყველაფერს მე წავარ-თმევო ([14], გვ. 183).
- II. ა ლ ა შ ა რ ა ა მ ზ ა ც ო გ ლ გ ა ნ — ქალმა სინათლე მთვარეს წაართვა რა ([11], გვ. 27).
- III. ა ლ ა დ გ რ დ ა ლ ა შ ა რ ა ს გ ც ო ნ ა რ ძ ტ — ცრემლმა სინათლე დამაკარგვინა ([11], გვ. 40).
- IV. ი მ ლ ა შ უ ა ზ ს ხ ვ ნ ა ს გ მ ყ ო წ ა ს გ ნ ი ს ც ო ა ტ ე ძ ტ — მშიერი ცხენი ხელში მეცა რა, შემიჭამა ([14], გვ. 174).
- V. რ ა ბ ჯ ა რ ქ ო ა რ გ ხ ჰ ო ა ი რ ც ო გ ო რ გ ო ნ — მათ აბჯრებს არ-თმევდნენ ([14], გვ. 176).
- VI. უ ბ რ ი ს ც ო ი გ ა ნ ა ც ე ნ ხ უ რ ა ს — ეს წამართვა მის მაგივ-რად... (10).
- VII. დ ა ც ო ჰ ა რ ფ ხ ა შ ა პ უ ბ რ ი ჰ ა რ ა — შევარცხვენთ მას ჩვენ ([14], გვ. 24).
- VIII. ო ნ ი ი ა ბ ი დ გ რ ც ო გ რ ლ ო გ ჩ ტ ე ძ ტ — მის დედას და მამას იგი მას პარავს ([16]).

ზმნურ ფორმაში საზიანო ქცევის ცო- ფორმანტი, ზ- სასარ-გებლო ქცევის ფორმანტის მსგავსად, ყოველთვის ირიბი ობიექ-

ტის აფიქსს მოსდევს.

პოტენციალისის კატეგორია

ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა შესაძლებლობის (პოტენციალისის) კატეგორია ([107], გვ. 163).

პოტენციალისი ეწოდება გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც ამა თუ იმ მოქმედების შესაძლებლობას გამოხატავს.

პოტენციალისის კატეგორია დაკავშირებულია რეალურ სუბიექტთან ([138], გვ. 132).

ყველაზე მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე პოტენციალისს აქვს მეგრულში; აქ ერთპირიან პოტენციალისს აწარმოებს ი-ე თავსართ-ბოლოსართი: ი-ჭარენ — „შეიძლება დაიწეროს“, ი-თასენ — „შეიძლება დაითესოს“... ორპირიანი პოტენციალისი ა-ე თავსართ-ბოლოსართით იწარმოება: მაჭარენ — „მე შემიძლია ვწერო“, გაჭარენ — „შენ შეგიძლია წერო“, აჭარენ — „მას შეუძლია წეროს“...

მეგრულს პოტენციალისის შინაარსს მოკლებული ვნებითიც გააჩნია ი-უ, ა-უ თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები: ითასენ — „შეიძლება დაითესოს“, ათასენ — „შეუძლია თესოს“, ითასუნ — „ითესება“, ათასუნ — „ეთესება, მისთვის ითესება“... ჭანურში მეგრულის პოტენციალისი ჩვეულებრივ ვნებითადაც გაიგება ([115]).

არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ პოტენციალისი და ვნებითი გვარი ერთი წარმოშობისა უნდა იყოს ([115]).

ქართულში მეგრულ-ჭანურის პოტენციალისის შესაფერისია ი-ი თავსართ-ბოლოსართიანი წარმოება ორპირიანი ზმნებისათვის. ახალ ქართულში -ი სუფიქსი პირველ და მეორე პირშია, მესამე პირში მის ადგილს იჭერს -ა:

	ძვ. ქართული		ახალი ქართული
ვიწერები	ვეწერები	ვიწერები	ვეწერები
იწერები	ეწერები	იწერები	ეწერები
იწერების	ეწერების	იწერება	ეწერება

დადებითი შინაარსის გამოთქმებში პოტენციალის საძებარია, უარყოფითში კი საყოველთაო მოვლენაა.

ქართული განასხვავებს ორგვარ უარყოფას: „არ“ და „ვერ“ — ნაწილაკიანს. „არ“ — მოქმედს არ სურს, შეასრულოს მოქმედება, ხოლო „ვერ“ — მოქმედს არ შეუძლია შეასრულოს მოქმედება.

უარყოფის ასეთი დიფერენციაცია მეგრულ-ჭანურმა არ იცის. უარყოფითი ნაწილაკი აქ ერთია: ვარ || ვა... მნიშვნელობით უდრის ქართულის „არ“ ნაწილაკს.

მეგრ.:	ქართ.:
ვა ჭარუნს	არ წერს
ვა აჭარე(ნ)	ვერ წერს

მეგრულში უცვლელია ნაწილაკი, იცვლება ზმნა. ქართულში კი უცვლელია ზმნა, იცვლება ნაწილაკი.

ქართულსა და მეგრულს შორის ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სხვაობა არ არის. შესაძლებლობის კატეგორიას ქართულიც არჩევს და მეგრულიც; მეგრული — ზმნის უღვლილების სპეციფიკური ფორმებით; ქართული — სპეციფიკური უარყოფითი ნაწილაკებით ([115]).

ქართულში პოტენციალის გაგებას შეიცავს „ვერ“ ნაწილაკი. უპირატესად ეს უკანასკნელი იხმარება მოქმედებითი გვარის ზმნებთან. ვნებითები კი „ვერ“-ის ხმარებას ერთგვარად გაუბიძგებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვნებითი გვარი თვითონ არის პოტენციალის შინაარსის მატარებელი.

არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ პოტენციალის არსებობა ქართულში დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ ([115], გვ. 35-

37).

ქართული „იცის“ ზმნა იგუებს მხოლოდ და მხოლოდ „არ“ ნაწილაკს (თუმცა აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება „ვერ ვიცი“ ფორმაც). ეს ზმნა აგებულებით ვნებითა და პოტენციალიის მნიშვნელობა მისთვის უცხო არ არის ([41]).

სვანური განარჩევს მამ — „არ“ და დეშ — „ვერ“ ნაწილაკებს და ქართულის ანალოგიურად აწარმოებს პოტენციალიის.

ქართველურ ენებში ვნებითობის, პოტენციალიისა და სასუბიექტო ქცევის ურთიერთობა მრავალმხრივ საინტერესოა.

ქართველურ ენებში პოტენციალიის კატეგორიას განიხილავენ: ი. ყიფშიძე, გ. დეეტერსი, არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, ქ. ლომთათიძე, თ. შარაძენიძე, გ. როგავა, ი. ქავთარაძე, ა. კიზირია, ო. ურიდია, ზ. ჭუმბურიძე, კ. დანელია, გ. კარტოზია, ბ. ჯორბენაძე, მ. სუხიშვილი და სხვ.

სპეციალური გამოკვლევა ზმნის პოტენციალიის კატეგორიას ქართველურ ენებში მიუძღვნა რ. შეროზიამ ([178]), რომელშიც წარმოდგენილია ასეთი სახის დასკვნები:

ქართველურ ენებში პოტენციალიის გამოხატვა ერთნაირი არ არის: ქართული და სვანური ამ მხრივ განსხვავდებიან ზანურისაგან (სხვაობას ვხვდებით ზანურის დიალექტებს — მეგრულსა და ჭანურს შორისაც), სხვაობაა როგორც ფორმაში, ისე შინაარსშიც, მაგრამ სხვაობა მეორეულია. ივარაუდება, რომ სამივე ენაში ერთნაირი ვითარება იყო, კერძოდ პოტენციალიის კატეგორია მორფოლოგიურად გამოიხატებოდა ([178], გვ. 23, 24).

სინქრონულ დონეზე ქართულსა და სვანურში პოტენციალიის მორფოლოგიურ კატეგორიად ვერ ჩაითვლება. პოტენციალიის კატეგორიის მორფოლოგიურად დადასტურება ზანურში გვაგარაუდებინებს, რომ აღნიშნული მორფოლოგიური კატეგორია უნდა ჰქონოდა სამივე ქართველურ ენას.

* * *

ყველაზე გამოკვეთილად გამოხატული პოტენციალისის კატეგორია აფხაზურ-ადილურ ენებს აქვს. ამ ენებში პოტენციალისის კატეგორია მორფოლოგიურად აისახება ზმნაში. გარდა ამისა, აფხაზურ-ადილურ ენებში აღნიშნულ ზმნურ კატეგორიას მეტი სინტაქსური ძალა აქვს, ვიდრე მეგრულში.

აფხაზურ ზმნას პოტენციალისის კატეგორია ეწარმოება ზ-(ბზიფ. ზ'-) პრეფიქსით.

აფხაზურ-აბაზურში პოტენციალისის ნიშნის ადგილი მკაცრად ლოკალიზებულია: კერძოდ, ის ყოველთვის დგას რეალური სუბიექტის პირის ნიშნის შემდეგ: ი-სგ-ზ-გომ — „მე მას (ნ) ვერ წავიღებ“... დ-ზ-ცომ — „ის ვერ მიდის“...

პოტენციალისის ნიშანი რთულ ზმნებში იწვევს სუბიექტის ნიშნის რთული ფუძიდან გადმოსმას: ი-ყა-ს-წოქ — „მე მას (ნ) ვაკეთებ“... ი-ს-ზგ-ყაწომ „მე მას (ნ) ვერ ვაკეთებ“.

სამპირიან გარდამავალ ზმნაში პოტენციალისის წარმოებისას ირღვევა კუთვნილებით აფიქსთა ჩვეულებრივი თანმიმდევრობა ([37], გვ. 249-255).

როგორც ცნობილია, სამპირიან გარდამავალ ზმნებში I ადგილას დგას პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის ნიშანი, II ადგილი ირიბი ობიექტური პირის ნიშანს უკავია, ხოლო III ადგილას გვხვდება სუბიექტური პირის აფიქსი: ქჷ-ს-თო-მ „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ მოგცემ“. ქჷა-ს-ჰქო-მ — „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ გატყვი“.

პოტენციალისის ფორმაში იმავე სამპირიან ზმნაში რეალური სუბიექტის ნიშანს უკავია II ადგილი: ქსგ-ზ-ჷ-თო-მ — „მე

შენ (მკ.) მას (ნ.) ვერ მოგცემ“, □სგ-ზ-ჟა-ჰ□ომ — „მე შენ (მკ.) მას (ნ.) ვერ გეტყვი“...

პოტენციალისის აფიქსი ყოველთვის სუბიექტს უკავშირდება, ამიტომ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ეს კატეგორია ერთნაირად იწარმოება.

პოტენციალისის აფიქსის დართვა იწვევს გარდამავალი ზმნის პირის ნიშანთა ინვერსიას (რომელიც მორფოლოგიურ გამოხატულებას პოულობს რთულფუძიან და სამპირიან ზმნებში: გრამატიკული სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად და გადმოინაცვლებს მეორე, ირიბი ობიექტური პირის ადგილას:

ი-ყა-ს-წო□ტ — „მე მას (ნ) ვაკეთებ“

ი-ყა-ს-წო-მ — „მე მას (ნ) არ ვაკეთებ“

ი-ს-ზგ-ყაწო-მ — „მე მას (ნ) ვერ ვაკეთებ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია რთული ფუძიდან:

ი-ჟ-ს-თო□ტ — „მე მას (ნ) შენ (მკ.) გაძღვე“...

ი-ჟ-ს-თომ — „მე მას (ნ) შენ (მკ.) არ მოგცემ“...

ი-სგ-ზ-ჟ-თომ — „მე მას (ნ) შენ (მკ.) ვერ მოგცემ“...

— სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია ირიბი ობიექტის პირის აფიქსის ადგილას, ხდება ინვერსია, გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვლად.

აფხაზურში პოტენციალისის კატეგორია ზმნის უარყოფით ფორმებს უფრო ახასიათებს, დადებით წარმოებაში კი იშვიათად გვხვდება ([37], 154).

აფხაზურში პოტენციალისის კატეგორია ეწარმოება ზმნას ყველა დროსა და კილოში (ბრძანებითის გარდა), კაუზატიურ წარმოებასა და სათანაო კატეგორიაში ([138], გვ. 132).

უარყოფით წარმოებათა გვერდით, პოტენციალისი გვხვდება ზმნის დადებით — ფინიტურ ფორმებში: -ო□ტ და -ჰ სუფიქსიანებში, -ჰ□ა ნაწილაკთან ერთად, ოღონდ, უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო ზმნა ყოველთვის უარყოფითშია: □ს-ზგ-ჟოტ-ჰ□ა სგ-

ყა-მ-გზტ „მე არ მეგონა, თუ შევჭამდი“... □ს-ზგ-ფა-პ-ჰ□ა სგ-ყა-მგ-ზტ „მე არ მეგონა, შევჭამ-მეთქი“... ასეთი წარმოება პირობით შინაარსს შეიცავს.

დადებით წარმოებაში პოტენციალისი გვხვდება:

1. კითხვით ფორმებში: **დზხგსტოტუ?** „შეუძლია ისროლოს?“, პირობით კილოში: **უზახ□აზარ „შენ (მკ.) თუ შეგიძლია უშველო“**... 2. ნატვრით კილოში: **სგზცანდაზ-ჰ□ა ოპ „ნეტავ შევიძლო წასვლა“**.

აფხაზურში პოტენციალისი აღწერილობადაც გადმოიცემა: აღშარა „შეძლება“ ზმნის საშუალებით. აილკაარა სგლემშეფტ „ვერ შევიძელ გამეგო“... შდრ.: პოტენციალისის ფორმა: □ს-ზ-ე-□ლგ-მ-კაა□ტ... „ის მე (ჩემთვის) ვერ გავიგე“ ([37]; [154]).

აფხაზურში აღდგრა — „ცოდნა, გაგება“ ზმნის უარყოფითი ფორმები პოტენციალისის აფიქსის გარეშე არ იწარმოება. იგი მუდამ ქართული „ვერ“ ნაწილაკის შინაარსს ატარებს, აშხარულში კი იგზგზდგრამ „არ ვიცი“ ფორმის გვერდით ჩვეულებრივია დგზდგრამ — „არ ვიცი“.

პ. უსლარი პოტენციალისის აფიქსს უკავშირებდა ქცევის ზ- (ბზიფ. ზ'-) ნიშანსა და „თვის“ თანდებულს. პ. უსლარი აღნიშნავდა ამ პრეფიქსის მონაწილეობას უპირატესად ზმნის უარყოფით ფორმებში:

დზჟამ — „არ ვწერ“, ისგზჟამ — „არ შემიძლია წერა“... პ. უსლარს ისიც ჰქონდა შენიშნული, რომ ზ- აფიქსის გავლენით, სუბიექტური პირის ნიშანი, რთულფუძიან ზმნებში ზმნის ფუძის გარეთ გამოდის ([170], გვ. 64).

ჟ. დიუმეზილი აღნიშნავდა პოტენციალისის არსებობას ზმნის დადებით წარმოებებში, როგორცაა „ისგზიფ ტეფტ“ (188, გვ. 210).

აღ. ლეკიაშვილის მიერ გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოტენციალისის კატეგორიის წარმოებისას გარდა-

მაგალსა და გარდაუვალ ზმნებში განსხვავებული ვითარება დასტურდება. გარდაუვალ ზმნებში, ისევე როგორც ამას ფიქრობდა პ. უსლარი, ზ- (ზ') ფორმანტი აღნიშნავს დანიშნულებას: „თვის“... სგზცომ — „რალაცისთვის (რალაცის გამო) (არ, ვერ) მივდივარ“, ხოლო რაც შეეხება გარდამავალ ზმნებს, აქ პოტენციალის ფორმები უნდა წარმოადგენდეს *იდგრუამ, *ღაგომ და სხვა გარდაუვალ, ვნებითი გვარის ფორმათა ქცევები (კუთვნილების ზ- „თვის“ ელემენტთან) სახეობებს. *ღაგომ „არ მოიტანება“, მაგრამ პოტენციალის: ისზააგომ „არ მომეტანება“... სუბიექტის პირის გადანაცვლება კი (შდრ.: ისგზუთომ „ვერ მოგცემ“) იმითაა გამოწვეული, რომ ზ- (ზ'-) აქ ქცევის აფიქსია, რომელსაც ზმნის მოქმედება განეკუთვნება. გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი კი პოტენციალის ფორმაში სუბიექტად იქცევა ([26], გვ. 32-36).

ქ. ლომთათიძეს მიაჩნია, რომ აღ. ლეკიაშვილის მოსაზრება აფხაზურის რეალურ ვითარებას არ ასახავს:

პოტენციალის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტის ნიშნის ადგილმდებარეობას: სამპირიან გარდამავალ ზმნებში სუბიექტის ნიშანი დაისმის მესამე ადგილზე, რთულფუძიან გარდამავალ ზმნებში სუბიექტის ნიშანი ჩაისმის ზმნის რთულ ფუძეში. ეს წესი ირღვევა სწორედ პოტენციალის კატეგორიაში, რითაც გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვლად. ამის გამო, არ არის აუცილებლობა დავუშვათ აფხაზურ ენაში არსებობა არარეალური ვნებითი ფორმებისა *იდგრუამ, *ღაგომ...

პოტენციალის ზ- აფიქსი აფხაზურ-ადილურ ენებში მკვეთრად განსხვავდება ქცევის ზ- აფიქსისაგან ფუნქციითაც, გამოყენების წესითაც: ქცევის აფიქსი ერთპირიან ზმნებში არ გვხვდება (თუ ზმნას ქცევის ნიშანი შეზრდილი აქვს, ერთპირიან ფორმაშიც იქნება ქცევის კატეგორის ნიშანი); იგი გვაქვს ოდენ

ირიბ ობიექტურ პირთან (გარდა კითხვითი ფორმებისა). ქცევის აფიქსი დასტურდება, როგორც დადებით, ისე უარყოფით ფორმებში, პოტენციალისის აფიქსი უმეტესად დასტურდება ზმნის უარყოფითსა და ინფინიტურ ფორმებში და რაც დამახასიათებელია, დაკავშირებულია რეალურ სუბიექტთან (სულ ერთია, ერთპირიანი იქნება ზმნა, თუ მრავალპირიანი) ([37], გვ. 253).

პოტენციალისის ზ- პრეფიქსი ერთგვარად უკავშირდება რეალურ სუბიექტს, როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში და ორსავე შემთხვევაში იწვევს ზმნის ინვერსიულ წყობას, რომელიც თავის მორფოლოგიურ გამოსახულებას პოულობს გარდამავალ ზმნაში, ისიც გარკვეულ შემთხვევაში (რთული ფუძის მქონე ზმნაში, სამპირიან ზმნაში): გრამატიკული სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად (დაისმის მეორე ადგილას, ირიბი ობიექტის ადგილზე).

„პოტენციალისის კატეგორია მომდინარეობს ქცევის კატეგორიისაგან და ამდენადვე დამახასიათებელია პოლიპერსონალური, კერძოდ გარდამავალი ზმნისათვის. უნდა ვიფიქროთ, გარდამავალი, პოლიპერსონალური ზმნიდან შემდგომში იგი გავრცელდა გარდაუვალ ზმნებში“ ([37], გვ. 249-255).

ადილურ ენებში პოტენციალისის გამოხატვის ოთხი საშუალება არსებობს: პრეფიქსული -ხ□ (ყაბარდოულში) და **ფ**- (ადიღეურში); სუფიქსური -**ფ** (ყაბარდოულში) და -ს□ (ადიღეურში); პრეფიქსულ-სუფიქსური — ხ□- — **ფ**; აღწერითი ([162]; [179]; [177], გვ. 3, 4, 6).

ადილურ ენებში, ისევე, როგორც ქართველურსა და აფხაზურ-აბაზურში, პოტენციალისის ნიშანი დაკავშირებულია ზმნის რეალურ სუბიექტთან; ამასთან, შესაძლებლობის კატეგორია ამ ენებშიც უფრო მეტად ზმნის უარყოფით წარმოებებს ახასიათებს.

პრეფიქსული პოტენციალისი მხოლოდ გარდამავალ ზმნებს

ეწარმოება, იგი ცვლის ზმნის სტრუქტურას: გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვლად; არ იცვლება ზმნის პირთა რაოდენობა, მაგრამ ხდება პირის ნიშანთა ინვერსია: რეალური სუბიექტი გამოიხატება ირიბი ობიექტის ნიშნით და რეალური ობიექტი სუბიექტის ნიშნით:

სწ არ ს-მზღ-მთჳფ — „მე არ შევჭამ მას“... (ორპირიანი გარდამავალი ზმნა, პირდაპირი წყობა).

სწ არ ს-**ფ** ა-მზღ-მთჳფ — „მე არ შემძლია იმის ჭამა, არ მეჭმება“...

-ს'□ სუფიქსით ნაწარმოები პოტენციალისის ფორმა აქვს ყველა გარდამავალ და გარდაუვალ დინამიკურ ზმნას. ამასთან არ იცვლება ზმნის სტრუქტურა (გარდამავლობა, პირთა რაოდენობა).

აშ არ გუჭგ-მთჳფ — „ის არ მოკლავს მას“ (ორპირიანი, გარდამავალი ზმნა).

აშ არ გუჭგ-ს'□-მთჳფ — „მას არ შეუძლია მოკლას იგი“ (ორპირიანი, გარდამავალი ზმნა).

ადილურში პოტენციალისის გამოხატვის კიდევ ორი საშუალებაა: პრეფიქსულ-სუფიქსური და აღწერითი. ეს უკანასკნელი მეორეული, არაძირითადი საშუალებაა ([177], გვ. 6).

პრეფიქსულ-სუფიქსური: ს-ხ□ა-ს'გ-**ფ**-გნუჯ-გმ „მე არ შემძლია ის ვაკეთო“...

აღწერითი ფორმა იწარმოება ლ'აჭგ-ნ — „შეიძლება“ ზმნით: კას'შან სლ'აჭაგმ — „გაგება ვერ შევიძელ“... ([162], გვ. 279, 280; [161]; [148]).

უბიხურ ენაში ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობისაგან დამოუკიდებლად, პოტენციალისი — **ფ**ა სუფიქსით გამოიხატება ([189], გვ. 79; 149).

აქაც, ადილურ ენათა მსგავსად, სუფიქსური პოტენციალისი არ იწვევს ზმნის კონსტრუქციის ცვლას.

უბიხურისა და ადიღური ენების სუფიქსური პოტენციალისი ლექსიკურ გამოხატულებად უნდა გავიგოთ. ამიტომაც ვერ ჩამოყალიბდა იგი კატეგორიად.

ქ. ლომთათიძე თვლის, რომ უბიხურსაც უნდა ჰქონოდა პრეფიქსული პოტენციალისი, ადიღურის მსგავსად; მაგრამ იგი დაიკარგა სუფიქსური, ლექსიკური პოტენციალისის გამოყენების არის გაფართოების გამო.

ადიღურის **ფხ** — და ყაბარდოულის ხ□ჲ — პრეფიქსით ნაწარმოები პოტენციალისია სწორედ ქცევის ხ□ჲ- || **ფხ** პრეფიქსთა შესატყვისი ამ ენაში. სწორედ ასეთი პრეფიქსული წარმოება პოტენციალისისა დადასტურებულია მხოლოდ გარდამავალ ზმნებში და იწვევს აფხაზურ-აბაზურის მსგავსად, ზმნის სტრუქტურის ცვლილებას: გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვალ-ინვერსიულად. როგორც დამაჯერებლად დაასაბუთა ქ. ლომთათიძემ, პოტენციალისის წარმოების მხრივ. ის საერთო და ამავე დროს განსხვავებულიც, რაც დასტურდება აფხაზურ-ადიღურ ენებში ნათელს ჰვენს ამ კატეგორიის (და მასთან გადაჯაჭვული კატეგორიების) განვითარების ისტორიას ([154], გვ. 112).

პოტენციალისის კატეგორია თავდაპირველად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ გარდამავალ ზმნათათვის. აქ ჩაისახა ინვერსიაც. აფხაზურ-აბაზურ გარდაუვალ ზმნებში იგი გავრცელდა შემდგომში. ადიღური და უბიხური ენების სუფიქსური პოტენციალისი მეორეული უნდა იყოს ([154], გვ. 109).

ამრიგად, ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში დადასტურებულია პოტენციალისის კატეგორიის გამოხატვის ხუთი სახეობა: პრეფიქსული — აფხაზურ-აბაზურში, ადიღურში, მეგრულში; სუფიქსური — უბიხურში და პარალელურ სახეობად ადიღურში; პრეფიქს-სუფიქსური ადიღურში; აღწერითი — აფხაზურსა და ადიღურში; ნაწილაკოვანი — პარალელურ სახეობად ქართულსა და სვანურში (იგულისხმება „ვერ“ — უარყოფით ნა-

წილაკიანი პოტენციალისი გარდამავალ ზმნებში. მონათესავე ენებში ასეთი გამოხატვა პოტენციალისის კატეგორიისა არ გვხვდება).

პოტენციალისის კატეგორიის გამოხატვის ჩამოთვლილ საშუალებათაგან, ყველაზე ადრეულ და ორგანულ სახეობად მიჩნეულია პრეფიქსული გამოხატულება.

სუფიქსური, პრეფიქსულ-სუფიქსური, აღწერითი და ნაწილაკოვანი გამოხატვის საშუალებანი მიჩნეულია მეორეულ მოვლენად — პოტენციალისის გამოხატვის ლექსიკურ საშუალებებად.

პოტენციალისის კატეგორია დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს აფხაზურ-ადიღურში და ქართველურ ენებში. ამჟამად პოტენციალისის კატეგორია ყველა ენაში ერთნაირად არ გამოიხატება, მაგრამ, როგორც ისტორიულ-მედარებიტმა ანალიზმა ცხადყო, პოტენციალისის გამოხატვა ყველა აღნიშნულ ენაში პრეფიქსული უნდა ყოფილიყო.

მოვიყვანთ აფხაზური ენის მაგალითებს. ერთპირიანი ზმნები პოტენციალისის ფორმით, განხილული გვაქვს ნაშრომის მეორე თავში. აქ განვიხილავთ პოტენციალისის კატეგორიას ორპირიან და სამპირიან ზმნებში:

ორპირიანი ზმნები

აფხაზური ენა

- I. აჰ დეც□ამა სე ზ დ გ რ ა მ — მთავარმა დაიძინა თუ არა, არ ვიცი ([14], გვ. 175).
- II. საჟ□ა ილემჰაჰა ის ზ ე ნ ა მ გ ძ ე □ ტ — ჩემი სიტყვა მის ყურამდე ვერ მივაწვდინე ([11], გვ. 21).
- III. სარგე შ □ გ ს ზ გ მ დ რ ძ ტ — მეც ვერ გიცანით ([14], გვ. 190).
- IV. აბრი აშ □ გ რ თ რ ა ზ გ ტ □ უ □ მ □ გ ზ გ მ დ გ რ ტ ა ზ ა რ ის-

ზადღუმქაა მქექტ — ეს ბალი ვისაც ეკუთვნის, თუ თქვენ არ იცით, (ჩემთვის) გაიგეთო, უთხრა ([16]).

- V. ამც ჰა იჰაზჰქომ — ტყუილს ჩვენ ვერ გეტყვიოთ ([11], გვ. 18).
- VI. უქიზგმგქალქტ აცქაჟქარა — ვერ გაბედა მასთან საუბარი ([11], გვ. 21).

სამპირიანი ზმნები

აფხაზური ენა

- I. ანამთაზ ისზალამგალტ — თავის ღროზე მე ის ვერ შევიტანე ([14], გვ. 174).
- II. უაჟგ ისგზუთომ — ახლა ვერ მოგცემ ([14], გვ. 177).
- III. სნაპე ძამქამგზტ აყენტქ მხა ისგჟუმ ჰქექტ — ჩემი ხელ-პირი დაუბანელი მქონდა, ამიტომ წუხელ ვერ გითხარი.
- IV. ამჟა დნგქქფშენ, ახაჰქ ახზარა გქქგფსამ, ისგზსგდკგლომ, იჰქან იიმთქტ — გზას დახედა, ქვა საკმარისად არ არის მოყრილი და ვერ მივიღებო, თქვა მან რა, არ მისცა მას (რალაც) ([16]).

IV მაგალითი საინტერესოა; სუბიექტის პირის ს- პრეფიქსი ორჯერ მეორედება სათავისო ქცევის მსგავსად: ი-სგ-ზ-სგ-დ-ჰგლო-მ — მე (ჩემთვის) ვერ მე მივიღებ... აქ ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც ჩველემენტით ნაწარმოებ სათავისო ქცევის ფორმაში.

უნებურობის კატეგორია

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა უნებურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს რეალური სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებას.

აფხაზურში ეს კატეგორია იწარმოება ა/მხა ამაჟა პრეფიქ-

სით. ეს პრეფიქსი შედგება ორი (ა) მა და ჯა ნაწილისაგან. მა- ელემენტი „ხელის“ აღმნიშვნელ ძირად მიაჩნია ქ. ლომთათიძეს ([37]; [154]; [138], გვ. 135, 136).

იგივე მა- ელემენტს გამოყოფს ქ. ლომთათიძე ე. წ. მიჩნევის (მოჩვენების) კატეგორიაშიც ([36], გვ. 157). აბაზური ამ კატეგორიის საწარმოებლად იყენებს გ-მა პრეფიქსს. ადილური ენები „გამოსვლა“ ზმნასთან ერთად სამიმართებო □- პრეფიქსს ან ოდენ „საზიანო“ ქცევის (□ჰა || ს□ან) პრეფიქსს ([36], გვ. 159).

მაჯა > მხა პრეფიქსის დამოკიდებულება ზმნის ფორმასთან ისეთივეა, როგორც პოტენციალისის წარმოებისას: დც□ე□ტ — „მან (აღ.) დაიძინა“; დამხაც□ე□ტ — „მას (აღ.) უნებურად ჩაეძინა“...

სამპირიან გარდამავალ ზმნებსა და რთულფუძიან ზმნებში უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი ისეთსავე ცვლილებას იწვევს, როგორსაც პოტენციალისის პრეფიქსი: აქაც სუბიექტური პირის ნიშანი ზმნის ფუძის გარეთ გამოდის და დაისმის პრევერბის წინ. სამპირიან გარდამავალ ზმნებში კი სუბიექტის ნიშანს უჭირავს მეორე ადგილი (ე. ი. ირიბი ობიექტის ადგილი), ხდება ინვერსია.

ქ. ლომთათიძის აზრით, პოტენციალისის კატეგორია უნებურობის კატეგორიასთან ისეთ მიმართებაში უნდა იყოს, როგორ მიმართებაშიც არის ე. წ. სასარგებლო ზ-, ზ'- და ე. წ. საზიანო ც□- პრეფიქსებით ნაწარმოები ქცევის კატეგორიები ერთიმეორესთან. ზ- პრეფიქსი გამოხატავს მიმართულებას ირიბ ობიექტური პირისაკენ, ხოლო ც□- პრეფიქსი კი მიმართულებას ირიბ ობიექტური პირიდან: ისზაავე□ტ — „მომიტანა მე მან“, ისც□იგე□ტ — „წაიღო ის ჩემგან მან“.

ც□- საზიანო ქცევის და ამხა- უნებურობის პრეფიქსები დასტურდება კონტამინირებულ ფორმებშიც: (ი)სც□ამხა□ე□ტ — ის (ნ.) ჩემგან (მე) უნებურად შემომეჭამა... ისზგყამწე□ტ — „ის მე

ვერ გავაკეთე“; ისჯუამჰჰჰ — „ის მე შენ ვერ გითხარი“... ასეთი ფორმები უმთავრესად უარყოფითი წარმოებებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო ისამხაყაწე — „ის მე უნებურად გავაკეთე“; ისამხაჰჰჰ — „ის მე შენ უნებურად გითხარი“ — ფორმები კი დადებითისათვის.

პოტენციალისა და უნებურობის კატეგორიები კავშირშია ზმნის რეალურ სუბიექტთან.

აღიღუურ ენაში უნებურობის კატეგორიის მაწარმოებელია აჰჰ-ა- პრეფიქსი. ეს კატეგორია აჰჰვთ მხოლოდ დინამიკურ ზმნებს.

უნებურობის კატეგორია იწარმოება, როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნათაგან.

გარდამავალი ზმნები უნებურობის კატეგორიაში გარდაუვალი, ინვერსიული ხდება: სჰ არ სგ-უჰგდჰ — „მე ის მოვკალი“, სჰ არ ს-აჰჰჰჰ — „მე ის უნებურად მოვკალი“...

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნები უნებურობის კატეგორიის წარმოებისას ორპირიანი ხდება: არ ჰოდგნ — „ის იღუპება“, აჰ არ აჰჰ-ჰოდჰ — „ის უნებურად იღუპება“ ([162], გვ. 281-282).

ქართულში უნებლიობის კატეგორიას გამოყოფს **ა. ფოცხიშვილი**, რომელსაც აღნიშნული კატეგორია ქართულში ლექსიკურ-გრამატიკულად მიაჩნია. უნებლიობის კატეგორიის მაწარმოებლად ქართულში ა. ფოცხიშვილი გამოყოფს შე-მო ზმნისწინს, რომელსაც გეზი და ორიენტაცია აღარ მოეპოვება: „შემო-მ-ა-კვდა“ ([176], გვ. 152-155).

ა- პრეფიქსს ა. ფოცხიშვილი მიიჩნევს მოქმედებითობის, გარდამავლობის უძველეს პრეფიქსად, რომელიც ამჟამად ქვევის ნიშნად გაიგება.

ა. ფოცხიშვილი ქართული ენის მასალაზე დაკვირვების შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ უნებლიობის კატეგორია წარმოადგენდა სამეტყველო ენის კუთვნილებას (1505 წლის ხელნა-

წერში გვხვდება პირველად), ხოლო, როცა სამეტყველო და სალიტერატურო ენა ერთმანეთს დაუახლოვდა, აღნიშნული კატეგორია პროდუქტიული გახდა ([76], გვ. 152-155).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში უნებლიობის სემასიოლოგიური კატეგორია ზმნის რეალურ სუბიექტს უკავშირდება, რადგან სუბიექტის მიერ უნებურად ჩადენილ მოქმედებას აღნიშნავს ([76], გვ. 152-155).

შემო- ზმნისწინის დართვასთან ერთად, ქართული ზმნა უნებურობის სემანტიკის გადმოსაცემად აფიქსთა ობიექტურ წყობას იყენებს. ასეთი შინაარსის ზმნები ყოველთვის გარდაუვალია, ვნებითი გვარისა: შემო-მ-ა-ტყდ-ა, შემო-მ-ე-სვ-ა, შემო-მ-ე-ჭამ-ა...

ამრიგად, ქართულში უნებლიობის სემასიოლოგიური კატეგორია, მსგავსებას ამყლავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან (რაც პირის აფიქსთა ობიექტურ წყობაში გამოიხატება).

ორპირიანი ზმნები

აფხაზური ენა

- I. □ს-ამხა-ყაწე□ტ — „ის (ნ.) მე უნებურად გავაკეთე“ ([16])
- II. □ს-ამხა-წხ□ტ — „ის (ნ.) მე უნებურად გავწელე“ ([16])
- III. □ს-ამხა-ფყე□ტ — „ის (ნ.) მე უნებურად გავჭერი“ ([16])
- IV. □ს-ამხა-ფჩი□ტ — „ის (ნ.) მე უნებურად გავტეხე“ ([16])

სამპირიანი ზმნები

აფხაზური ენა

- I. □ს-ამხა-ლგ-თე□ტ — „ის (ნ) მე მას (ქ) უნებურად მივეცი“ ([16])
- II. □ს-ამხა-ლ-ჭაწე□ტ — „მე მას (ქ) ის (ნ) უნებურად ვაჭამე“ ([16])
- III. □ს-ამხა-ლგ-რ-ყაწე□ტ — „მე მას (ქ) ის (ნ) უნებურად გა-

ვაკეთებინე ([16]).

კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ა

ქართველურ და აფხაზურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა კაუზატივის კატეგორია.

კაუზატივის კატეგორია გულისხმობს ზმნის სუბიექტური პირის მოქმედებას პირდაპირ ობიექტზე სხვა პირის მეშვეობით.

აკ. შანიძე აღნიშნულ ზმნურ კატეგორიას უწოდებს „კონტაქტს“ ([92], გვ. 371). აკ. შანიძის მიხედვით, ქართულში გამოიყოფა კონტაქტის ორი სახეობა: უშუალო და შუალობითი ([92], გვ. 357, 358).

უშუალო კონტაქტის ნიშნად აკ. შანიძე გამოყოფს ა- პრეფიქსს ([92], გვ. 363), შუალობითის ნიშნებად კი გამოკვეთს: -ევ, -ინ და -ეგინ სუფიქსებს...

1) -ევ: აჭმ-ევ-ს, ართმ-ევ-ს, არქმ-ევ-ს... -ევ II სერიაში -ივ-ად გადაკეთდება.

2) -ინ: (მოუღის ზმნათა დიდ უმეტესობას): წერს — აწერ-ინ-ებ-ს, ტეხს — ატეხ-ინ-ებ-ს...

3) -ეგინ აფიქსი -ევ და -ინ აფიქსის შეერთებით არის მიღებული: ათლ-ეგინ-ებ-ს, ათხრ-ეგინ-ებ-ს, ახსნ-ეგინ-ებ-ს... -ინ სუფიქსის -ევ სუფიქსზე დართვა ახსნილია იმით, რომ -ევ აღარ აღმოჩნდა საკმარისი კონტაქტის საწარმოებლად ([92], გვ. 361).

ძველ ქართულში აკ. შანიძეს შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლად მარტივი -ევ და რული -ებ-ი(ვ) მიაჩნია: (კაუზატივის -ებ მაწარმოებელს აკ. შანიძე ახ. ქართულში არ აღნიშნავს).

ძველ ქართულში -ევ სუფიქსი II სერიის ფორმებში -ივ-ად გადაკეთდება: „ათქუმიან სამ გზის“ (მოქც.).

(ებ)-ივ I სერიის ფორმებში ჩანს, II სერიაში -ებ ჩამოშორდება. -ივ სუფიქსის ვ- იკარგვის ხმოვნის წინ ორსავე სერიაში: „მივაღებ“, „მივაღებ“: „ძმათა საჭმელი მოაღების თავისა წინა“ (იოვ. და ეფთვ.).

ძველ ქართულში აკ. შანიძე -ინ სუფიქსით ნაწარმოებ კაუზატივის ფორმასაც აღნიშნავს (იშვიათ შემთხვევაში): „თაყუანის-აცემ-ინ-ნ-ეს“ (აბიბ. ნეკრ.) ([95], გვ. 83, 84).

გარდა ამისა, ძველ ქართულში არსებობდა კაუზატივის აღწერითი ფორმა: „დადებად სცემდა“ (დაადებინებდა), „წარწერად სცა“ (წააწერინა), „მოღებად ვეც“ (მოვალებინე).

ამ მოვლენას ნ. მარი სომხურის სუროგატად მიიჩნევდა ძველ ქართულში ([158], გვ. 271, 272).

გ. იმნაიშვილის აზრით, კაუზატივის წარმოების ასეთი ტიპის არსებობა ქართულში სხვა ენის გავლენას არ უნდა მიეწერებოდეს: აღწერითი კაუზატივი ძველ ქართულში ორგანული წარმოების გვერდით არსებობდა; X-XIII სს-ში იწყება -ინ სუფიქსის დამკვიდრება, რადგან აღწერითი კაუზატივი რთული და მოუქნელი იყო ([21], გვ. 112).

აღწერითი კაუზატივი პოლიპერსონალური ზმნის მქონე ენებისათვის არანაშინაობლივია, თუმცა კაუზატივის ეს სახეობა აფხაზურშიც გვხვდება ([34], გვ. 90).

უნდა აღინიშნოს, რომ აკ. შანიძის მიერ გამოყოფილ უშუალო კონტაქტს ქართულში მორფოლოგიური ნიშანი არ მოეპოვება. ჩვენი აზრით, უშუალო კონტაქტი მორფოლოგიურ კატეგორიად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან, „მორფოლოგიურ კატეგორიას ქმნის აფიქსით გადმოცემული მნიშვნელობა“ ([107], გვ. 108).

ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრებას იძლევა ფ. ერთელიშვილი, რომელსაც უშუალოებით კონტაქტისათვის საოპოზიციო ცალის — უშუალო კონტაქტის დაძებნა, ენათმეცნიერ-

რული თვალსაზრისით, გაუმართლებლად მიაჩნია, რადგან მორფოლოგიური მნიშვნელობანი შეიძლება არსებობდნენ საოპოზიციო მნიშვნელობათა გარეშეც ([13], გვ. 192).

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ფ. ერთელიშვილს აღნიშნულ საკითხში. აფხაზურ-ადიღურ ენებში, სადაც კაუზატივის კატეგორია უფრო მეტი სინტაქსური ძალით გამოირჩევა, გამოყოფენ აღნიშნული კატეგორიის მხოლოდ ერთ სახეობას — კაუზატივს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კაუზატივის კატეგორიის ფართო და ვიწრო შინაარსით გაგება.

ვიწრო შინაარსით, კაუზატივი იწარმოება მხოლოდ გარდამავალ ზმნათაგან, ხოლო კაუზატივის ცნების ფართო შინაარსი გულისხმობს, რომ კაუზატივი ეწარმოება გარდაუვალ ზმნებსაც.

ე. გეურქოვა ემყარება კაუზატივის ვიწრო გაგებას, იგი ძველ ქართულში გამოყოფს კაუზატიური წარმოების ორ ტიპს: ოდენ-პრეფიქსულ და პრეფიქს-სუფიქსურ კაუზატივს. ოდენ-პრეფიქსულის მაწარმოებელია ა-პრეფიქსი: „დაგამორჩილნა“, „შეაწყნარა“, „დაარწმუნა“. ოდენ-პრეფიქსული წარმოება ავტორს ქართული ენის ძირითადი, არქაული ფენის კუთვნილებად მიაჩნია ([7], გვ. 105).

ოდენ-პრეფიქსული წარმოების კაუზატივის ამოსავალ ფორმად დაშვება არამართებულად მიაჩნია **ა. თაყაიშვილს**.

ემყარება რა, კაუზატივის ცნების ფართო გაგებას, ა. თაყაიშვილი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა დონეზე გამოყოფს კაუზატივის წარმოების რამდენიმე ტიპს: ოდენ ა-პრეფიქსიანს, ა-ევ, ა-ენ და ა-ინ, ა-ევი კონფიქსიან კაუზატივს და აღნიშნავს, რომ ამჟამად ა-ინ ტიპის განზოგადების ტენდენციას შესამჩნევი, რომელიც ა-ევ-ის ტიპის მოდელზე -ინ ფორმანტის დართვით დაიწყო ([15], გვ. 32-34).

აღნიშნული ა-პრეფიქსის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა:

1. „ა- პრეფიქსი ზმნებს გარდამავლობის მნიშვნელობას ანიჭებს“ ([158], გვ. 139).

2. ა- მოქმედებითის ნიშანია ([131]).

3. ა- პრეფიქსი გამოყოფილია საარვისო ქცევისა და შუალობითი კონტაქტის ნიშნად ([92], გვ. 325-363).

4. ა- პრეფიქსი ჩავთლილია მოქმედებითი გვარის მაწარმოებლად ([18], გვ. 969).

5. ა- პრეფიქსი ჰა- პრეფიქსისაგან მომდინარეობს: ა < ჰა || ხა || სა ([106], გვ. 160, 167).

6. ა- სამიმართებო აფიქსია ([61], გვ. 50).

7. ა- პრეფიქსი მოქმედებითობისაა ([13], გვ. 194-196).

8. ა- კაუზატივის ნიშანია ([14], გვ. 20, 21).

9. ა- კაუზატივის ნიშანია ([7], გვ. 104).

10. ა- კაუზატივისაა, აქვს საზედაოს ფუნქციაც ([45], გვ. 109).

11. ა- კაუზატივის ნიშანია ([15], გვ. 33. 35).

12. „ა- პრეფიქსის გამოყენება არ იქნებოდა შეუძლებელი როგორც პირდ. (აკეთებს, აშენებს) ასევე ირ. ობიექტის გამოსახატავად (აწერს, ადგას, ადევს) ([131], გვ. 100).

როგორც ვხედავთ, ა- პრეფიქსის ფუნქციის დადგენა მკვლევართათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს.

ა- პრეფიქსს მიაწერენ: გარდამავლობის, მოქმედებითი გვარის, კაუზატივის, საარვისო ქცევის, საზედაო სიტუაციის, სამიმართებო ელემენტის ფუნქციებს.

არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ ა- ელემენტი ჰა- პრეფიქსიდან (სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე) პირის აღმნიშვნელი პრეფიქსიდან მომდინარეობს. მკვლევრის აზრით, ა- ჰავს თანმხლები ელემენტი იყო ([106], გვ. 160, 167).

ამ მოსაზრებას იზიარებს **ბ. ჯორბენაძეც**, რომელიც პირდ. და ირიბი ობიექტის დიფერენციაციას მეორეულ მოვლენად

თვლის და ამიტომ მათს აღნიშვნას ერთი და იმავე ნიშნით არ გამოორიციხავს ([131], გვ. 100).

რომელი მოსაზრებაა ჭეშმარიტებასთან ახლოს, რამ გამოიწვია ა- ფორმანტის მნიშვნელობის ასეთი დაბნელება, ეს შემდგომი კვლევის საგანია, ამ ეტაპზე კი არნ. ჩიქობავას მოსაზრება ყველაზე სარწმუნო გვეჩვენება: თავდაპირველად ა- უნდა ყოფილიყო პირის კატეგორიის ფორმანტი, ჰაეს თანმხლები ელემენტი. ჰაე თანხმობის დაკარგვასთან ერთად, უნდა მომხდარიყო ა-ს ოდინდელი ფუნქციის დაჩრდილება, რის შემდეგაც იგი სხვადასვა კატეგორიის ფორმანტად გააზრიანდა ([106], გვ. 160, 167).

ა- პრეფიქსისათვის გარდამავლობის, კაუზატივის, მოქმედებითი გვარისა თუ საარვისო ქცევის ფუნქციის მიწერა ერთნაირი წარმატებით შეიძლება მოხერხდეს, მაგრამ არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქცია არ უნდა იყოს ამ ელემენტისათვის პირველადი.

ა- პრეფიქსი ძველისძველი წარმონაქმნი ჩანს, რითაც პირველ ყოვლისა, უნდა აიხსნას მისი პოლისემიურობა:

არ შეიძლება შემთხვევითი მოვლენა იყოს ა- პრეფიქსიან ზმნებთან შ_2 და O_3 ნიშნის აღდგენის შესაძლებლობა; ა- ფორმანტს მოეპოვება თავისი ფონეტიკური შესატყვისები მეგრულ-ჭანურსა და სვანურში, რაც მის უძველესობაზე მეტყველებს უდავოდ, მაგრამ ქართველურ ენებში აღნიშნული ფორმანტი კაუზატივისა არ უნდა იყოს, იგი (ა- ფორმანტი) უფრო ადრე ჩამოყალიბდა ენაში, ვიდრე კაუზატივის კატეგორია, შესაძლოა ა- ფორმანტის უპირველესი ფუნქცია სამიმართებო იყო ([59], გვ. 50).

ქართულში კაუზატივის კატეგორიას სუფიქსები აწარმოებს: ა-უნ პრეფიქს-სუფიქსს ქართულში კაუზატივის მაწარმოებლად გამოყოფს არნ. ჩიქობავა ([121], გვ. 160).

იმავე -უნ სუფიქსს კაუზატივის მაწარმოებლად თვლიან **გ. მაჭავარიანი** და **თ. გამყრელიძე** ([46], გვ. 276).

ბ. ჯორბენაძე წინააღმდეგია -უნ კაუზატივის მაწარმოებლად ჩათვლისა, რადგან იგი (უნ) დასტურდება ვნებითის ფორმაშიც. ... ხტის — ხტუნავს / ტიპის მოქმედებითი გვარის ჩვეულებრივ არაკაუზატიურ ფორმაში ([131], გვ. 98).

გ. მაჭავარიანს მიაჩნია, რომ კაუზატივის სუფიქსები თემის ნიშნისეული წარმოშობისაა ([43]).

ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კაუზატივის ა-ევ, ა-ინ და ა-ევინ პრეფიქს-სუფიქსებს გამოყოფს **ირ. ვეშაბიძე** ([14], გვ. 20, 21).

ალ. ჭინჭარაული ხევსურულში აღნიშნავს -ევ/-ივ, -ენ/-ინ მონაცვლეობის ფაქტებს ერთსა და იმავე ფუძესთან: არბენს / არბინა, ავდევს / ავდივა ([126], გვ. 148).

ამრიგად, ქართულში კაუზატივის კატეგორია იწარმოება -ევ, -ინ, -ევინ სუფიქსებით.

* * *

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა კაუზატივის კატეგორია.

კაუზატივის კატეგორია აფხაზურ ენაში რ- პრეფიქსით იწარმოება.

კაუზატიურ წარმოებაში ზმნას ემატება ერთი, პირდ. ობიექტის პირი, გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება. გარდამავალ ზმნებში რ- პრეფიქსს შეაქვს შუალობის შინაარსი: ზმნას უჩნდება ახალი, სხვისი საშუალებით მოქმედების შემსრულებელი პირი:

არაკაუზატიური ფორმა
გარდაუვ. ზმნა

კაუზატიური ფორმა
გარდამ. ზმნა

დგ-გვლტ „ის (აღ.) დადგა

დგ-მრ-გვლტ „მან (აღ.) ის
(აღ.) დააყენა“

ი-ლგ-ვგმტ „დაწერა მან (ქ.)“

ილგ-მრ-ვგმტ „დააწერინა
მან (ქ.) ის (ნ.) მას (ქ.)

სამპირიანი ზმნებიდან კაუზატიურ შინაარსს აფხაზური ენა აღწერთად გამოხატავს: უ-ლგ-რ-თარატმე ყა-ს-წაბ „შენ (ქ.) იგი (ქ.) მათ რომ მოგცენ ვიქმ“.

სამპირიან ზმნათა ფუძეში ნაწილაკებისა და ქცევის აფიქს-თა მონაწილეობითა და კაუზატივის აფიქსით იწარმოება კაუზა-ტივის კატეგორია: ი-უ-ზგ-ლ-სგ-რ-ძახუემტ „მას (ნ) შენთვის (ქ.) მე მას (ქ) ვაკერინებ“, ი-უ-ზგ-ჩგჰმ-სგ-რ-გვლაპ „მას (ნ) შენ-თვის (ქ.) მე დავდგამ კერასთან“.

კაუზატივის მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცემოდეს ტმ-დანიშნულების აფიქსით ([34], გვ. 89; [138], გვ. 131, 132).

კაუზატივის რ- პრეფიქსი მარტივფუძიან ზმნებში ძირის წინ დგას, რთულფუძიან ზმნებში კი ხან ფუძის წინ დგას, ხან ჩა-რთულია ფუძეში ([34], გვ. 89; [138], გვ. 128).

ზმნა კაუზატივის ფორმით, ყოველთვის გარდამავალია; თუ კაუზატივის ნიშანი განკვეთილ ფუძეშია, სუბიექტის ნიშანი მის წინ დგას, თუ კაუზატივის ნიშანი ფუძის გარეთ გამოდის, სუბი-ექტის ნიშანიც მას გადმოჰყვება.

კაუზატივის კატეგორიაში ცვლილებები ხდება სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის ნიშნისა და ირიბი ობიექტის ნიშნის შეხვედრისას კაუზატივის კატეგორიის ფორმანტთან:

III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია აფხაზურში რ- პრე-ფიქსი; იგივე რ- პრეფიქსი გამოიყენება ირიბი ობიექტის ნიშნა-

დაც იმავე პირსა და რიცხვში... კაუზატივის რ- პრეფიქსის გამოვლენასთან ერთად, ზმნაში III პირის მრავლობითის ნიშანი და იმავე პირის ირიბი ობიექტის რ- ნიშანი გადაკეთდება დ-დ: სდგრტ□□ტ „მე მათ დამსვეს“, *სგრტ□□ტ... დდგრბოძტ „ისინი მათ მას ანახვებენ“, *ირგრბოძტ...

კაუზატივის ნიშანთან შეხვედრისას III პირის მრავლობითი რიცხვის რ- ნიშნის დ-დ ქცევა დისიმილაციურ მოვლენადაა ცნობილი.

ამ ფაქტის შესახებ **პ. უსლარი** აღნიშნავდა:

„это как-бы делается для избежания неясности, которая могла бы произойти от присутствия другого р-, характеризующего залог“... ([170], გვ. 62).

ბ. მარი გამოთქვამდა ვარაუდს, აფხაზურის კაუზატივის რ- პრეფიქსის კავშირის შესახებ ბასკურ და სვანურ მრავლობითის ნიშანთან ([193], გვ. 246-247).

ქ. ლომთათიძე თვლის, რომ აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას (რ > დ) მოეპოვება თავისი მორფოლოგიური საფუძველი, იმდენად, რამდენადაც აფხაზური ენა ორი რ-ს თავმოყრას კარგად იგუბებს: არგრჰარა „შეშინება“, დესგრტრჰატე□ტ „მე მათ ვაშინებ“... ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებული, ე. ი. კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითის აფიქსი უნდა ყოფილიყო. ორი ერთნაირი აფიქსის თავმოყრამ განაპირობა ერთ-ერთის (პირის ნიშნის) დისიმილაცია.

დისიმილაციის ამ ფაქტში ქ. ლომთათიძე ხედავს პირის ნიშნის მოსალოდნელი სახეობის შემონახვის შემთხვევას: სწორედ იმიტომ უნდა განსხვავებულიყო ეს ორი აფიქსი ერთმანეთისაგან, რომ მათ ერთი წარმოშობა ჰქონდათ; (შდრ. ადილ. ირ. ობიექტისა და სუბიექტის პირი ნიშანი □-... ერთ-ერთი რ-დ გადადის, როცა ისინი ერთმანეთს ხვდებიან).

ქ. ლომთათიძის აზრით, ზმნის კაუზატივის ფორმაში III პირის ნიშნად გამოვლენილი დ- შეიძლება უკავშირდებოდეს სათანადო „დარა“ ნაცვალსახელს, რაც თავისთავად იმას არ გამოორი-ცხავს, რომ მასთან კავშირი ჰქონდეს ადამიანის კლასის დ- ნიშანსაც; ეს მოვლენა აფხაზურისათვის არაა უცხო: შდრ. ტარა-ტ, სარა-ს... კავკასიური ენებიდან ცნობილია მრავლობითის აფიქსით ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ საერთოდ ადამიანის კლას-კატეგორიის გაფორმებაც ([34], გვ. 93; [164], გვ. 9-12).

ტაპანთურშიც კაუზატივის აფიქსი იწვევს III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნის დ-დ ცვლას. აფხაზურში ეს მოვლენა სისტემატურია, როდესაც რ- აფიქსით III პირის სუბიექტის მრავლობითობაა გადმოცემული, ხოლო როდესაც რ- ირიბ ობიექტს გამოხატავს, შესაძლოა დ-ს გვერდით რ-ც გვქონდეს: ი-დ-დგრ-გვლეღტ, ირდგრგვლეღტ — „ისინი მათ მას უყენებენ“.

ტაპანთურში კი რ- აფიქსი ირიბი ობიექტის როლშიაც სისტემებრ დ-თია წარმოდგენილი: იდდერძახტ „მათ მათ ის შეაკერინეს“, იდდრგჟიტ „ისინი მათ აჭმევენ მას“...

ტაპანთურს (ადიღეურის გავლენით) ერთი თავისებურება ახასიათებს:

თუ ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა კაუზატივში სამპირიანი გახდება, ორმაგად იქნება მასში გამოხატული კაუზატივის შინა-არსი, აფხაზურისაგან განსხვავებით, ზმნაში იქნება ორი კაუზატივის აფიქსი: დდგდ რრგგღაზღეღა „ის მას მათგან შეეშინებინა“, დდდგრგრცატ „მათ იგი მან გაავზავნინა“ ([27], გვ. 130).

კაუზატივის კატეგორია აშხარულშიც სხვა დიალექტთა მსგავსად იწარმოება, ოღონდ აქ უფრო ხშირად გამოიყენება. რთულფუძიან ზმნებში კაუზატივის რ- აფიქსის ფუძეში, ძირის წინ წარმოდგენა (და არა მის წინ, როგორც ეს აფხაზურშია) სისტემატურადაა გატარებული აშხარულში. აფხაზურის მონაცემი მეორეული ჩანს.

ამხარულისათვის უცხოა კაუზატივის ნიშნის ორმაგი ხმარება, რაც ტაპანთურში ჩვეულებრივი მოვლენაა (ადილეურის გავლენით) ([30], §36).

ამრიგად, აფხაზურ-აბაზურში კაუზატივის კატეგორიის წარმოება პრეფიქსულია, მცირეოდენ გადახრათა გათვალისწინებით, კაუზატივის წარმოების თვალსაზრისით აფხაზური და აბაზური ენების დიალექტთა შორის თანხვედრაა.

აფხაზურში გამოიყოფა აღწერითი და სიტყვაწარმოებითი სუფიქსით ნაწარმოები კაუზატივიც. ქართველურ ენათაგან, აღწერითი კაუზატივის შემთხვევები დასტურდება ძველ ქართულში, რაც, შესაძლოა, იმ ენათა გავლენით აიხსნას, საიდანაც ძველი ქართული ტექსტები ითარგმნებოდა.

აფხაზურსა და აბაზურში კაუზატივის რ- პრეფიქსი გენეტურ კავშირშია ამავე ენაში არსებული მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ რ- ფორმანტთან.

ადილეურშიც კაუზატივის კატეგორიას პრეფიქსი აწარმოებს, ეს არის ღჷ- || ღა-. აფხაზურის მსგავსად, კაუზატივის ღჷ- მაწარმოებელი სუბიექტის პრეფიქსის შემდეგ დგას. კაუზატივის აფიქსი ზოგჯერ ფუძეშია მოქცეული. ზმნას კაუზატიურ წარმოებაში ემატება ერთი, პირდ. ობიექტური პირი, გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება...

სჷ არ ს-შაჷშთ — „მე ის მიმყავს“

სჷ არ ს-ზ-ღჷ-შაჷშთ — „მე ვაიძულე მას წაიყვანოს იგი“

ადილეურს ახასიათებს კაუზატივის ორმაგი წარმოება ([162], გვ. 257).

ადილეური ენის კაუზატივის ღჷ-, შესაძლოა ამავე ენაში არსებული სახელის მრავლობითობის -ხჷ სუფიქსს უკავშირდებოდეს.

უბიხურში კაუზატივის აწარმოებს ფორმანტები: დგ-, ღა-, -გ ამათგან დგ- გამოიყენება მხოლოდით რიცხვსა და უარყოფით

ფორმებში. ლა- კი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამო-
სახატავად ([149], გვ. 699).

იგივე თანხმონითი ლ- (ლ□, ლაჟ) ელემენტი გვხვდება აგ-
რეთვე უბიხურ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმო-
ებაში ([149], გვ. 694).

უნდა აღინიშნოს, რომ უბიხურში მრავლობითის დამოუკი-
დებელი აფიქსები არ მოიპოვება, მხოლობითისა და მრავლობი-
თის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება ერგატივის, კუთვნი-
ლებით და ჩვენებით აფიქსთა ხმარების ურთიერთდაპირისპირე-
ბით:

ჩ'ა-ნ „ცხენმა“	სა-ჩ'ა „ჩემი ცხენი“
ჩა-ნა „ცხენები“	ს□ჩ'ა „ჩემი ცხენები“

([149], გვ. 694)

შესაძლოა, უბიხურის ჩვენება იბერიულ-კავკასიურ ენათა-
თვის ამოსავალ არქაულ ვითარებას ასახავდეს, როდესაც გაუდი-
ფერენციკრებული იყო პირისა და რიცხვის, ბრუნვის კატეგორიე-
ბი და მათი აღნიშვნა ერთისა და იმავე ფორმანტის საშუალებით
(ფორმათა ურთიერთდაპირისპირებით) ხდებოდა.

კაუზატივის კატეგორიას რომ გენეტური კავშირი უნდა
ჰქონდეს მრავლობითობის აღნიშვნასთან, ამას მასალობრივ
ადასტურებს აფხაზურ-ადიღურ ენათა მონაცემები.

კაუზატივის მაწარმოებელ სუფიქსთა თანხმონითი ელემენ-
ტების მასალობრივი ერთიანობა მრავლობითი რიცხვის მაწარ-
მოებელ სუფიქსებთან არც ქართველურ ენებში უნდა იყოს, ჩვე-
ნი აზრით, შემთხვევითი მოვლენა:

ქართულში კაუზატივის -ინ სუფიქსის თანხმონითი -ნ ელე-
მენტი დასტურდება მრავლობითობის აღმნიშვნელად სახელშიც,
ზმნაშიც.

კაუზატივის -ევ სუფიქსი მრავლობითობის ნიშნად ამჟამად
არც სახელთან, არც ზმნასთან არ გვხვდება, მაგრამ თუ დავუშ-

ვებთ, რომ -ებ > -ევ, მაშინ -ვ ელემენტი შესაძლოა მრავლობითობის ოდინდელ მაწარმოებლად ჩაითვალოს, რომელიც სახელებში -ებ-ის სახით შემოგვრჩა, ხოლო ზმნაში ფუნქცია იცვალა.

ქართულში -ევ სუფიქსი საერთოა ზმნისა და სახელისათვის ([118], გვ. 89) მეგრულშიც იგი სახელურ წარმოებასთან ყოფილა დაკავშირებული. სახელდობრ, იგი გამოყენებული ჩანს საგნის წინანდელი ფუნქციის აღმნიშვნელ სიტყვაწამოებაში: -ევი > ვი > იი:

ნოხირ-იი > * ნოხირეი > ნოხირევი „ნასახლარი“, ნოჩილი > *ნოჩილეი > *ნოჩილევი „ნაცოლარი“, ნოჯიხი > * ნოძიხეი > *ნოჯიხევი „ნაციხარი“ ([56], გვ. 652).

-ევ სუფიქსი კაუზატივის ნიშნად გამოიყოფა უდიურში ([75], გვ. 489).

ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უნდა უჭერდეს ის ფაქტი, რომ აკ. შანიძეს -ევ სუფიქსი მრავლობითობის / კრებითობის ნიშნად მიაჩნია რამდენიმე ტოპონიმში: ვაშლევი, ძეგლევი, ბოსლევი, მღვიმევი, ველევი, ველტყევი, ვაკევი, ქვევი, იფნევი, ტბევი.

აკ. შანიძე ვარაუდობს ამ ნიშნის (-ევ) მიხედვით განსხვავებული გარკვეული დიალექტის არსებობას ძველ საქართველოში, ახლანდელი ზემო იმერეთის ტერიტორიაზე ([84], გვ. 27).

ყველა სახელში, რომელსაც ბოლოში -ევ ერთვის, შეიძლება მრავლობითის ფორმა არ გვქონდეს, მაგრამ აკ. შანიძის მიერ შემოთავაზებულ ტოპონიმებში, რომელთა სემანტიკაც ნათელია, თავისუფლად შეიძლება -ევ მრავლობითობის აღმნიშვნელად ჩაითვალოს; მითუმეტეს, რომ არსებობს -ევ/-ებ ფორმანტთა მონაცვლეობის შემთხვევები ერთსა და იმავე ფუძესთან.

მკვლევართა ერთ ნაწილს -ევ სიტყვაწარმოებით ელემენტად მიაჩნია ([42], გვ. 18).

ამავე აზრისა ვიყავით ჩვენც, მიგვაჩნდა რა, რომ Vგ დაბო-

ლოებიან ტოპონიმთაგან -ევ სუფიქსის გამოყოფა და მისი მრავლობითობის ფორმანტად ჩათვლა დაარღვევდა -V3 დაბოლოებიან ტოპონიმთა სისტემურ კვლევას ([48]).

მაგრამ, როგორც შემდგომმა ძიებამ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებზე დაკვირვებამ ცხადყო, ქართულში -ევ ფორმანტი ზოგ შემთხვევაში, მართლაც შესაძლოა ჩაითვალოს მრავლობითის უძველეს მაწარმოებლად.

-ევ ფორმანტის სიტყვაწარმოებით ელემენტად გამოყენება მეორეული უნდა იყოს. მისი პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო სიმრავლის აღნიშვნა; ამ ფუნქციას უნდა გამოეწვია სწორედ მისი სიტყვაწარმოებით ელემენტად ქცევა. შდრ.: ვაშლევი = ვაშლები (ადგილი, სადაც ბევრი ვაშლის ხეა) ვაშლევი = ვაშლიანი (ადგილი, სადაც ბევრი ვაშლის ხეა) და სხვ.

მეგრულსა და ჭანტურშიც კაუზატივს სუფიქსები აწარმოებს: ჭანტურში ო-აფ, ათინურსა და ვიწურ-არქაბულში -ამ: ო-ზუმ-აფ-უ — „ზომვინა“, ო-კვათ-აფ-უ — „აკვეთინა“, ათინურ, ვიწურ-არქაბულში: ო-ზუმ-აფ-ამ-ს — „ზომვინებს“, -ოკვათ-აფ-ამ-ს — „აკვეთინებს“ ([121], გვ. 157).

მეგრულ-ჭანტური ო- პრეფიქსი ქართული ა- პრეფიქსის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ. იგი არ უნდა იყოს კაუზატივისა.

მეგრულში კაუზატივს ო-აფ და -ან ფორმანტები აწარმოებს, ეს უკანასკნელი არნ. ჩიქობავას ფონეტიკურად სახეცვლილ ჭანტურ -ამ -აფ სუფიქსად მიაჩნია ([121], გვ. 157).

ჭანტურში, კაუზატივის -აფ სუფიქსი თანხმოვნითი ელემენტით მასალობრივ ერთიანობას ამჟღავნებს მრავლობითი რიცხვის -ევ ნიშნითან:

ჭან.:	კოჩ-ეფ-ე	მეგრ.:	კოჩ-ეფ-ი „კაცები“
	კუჩხ-ეფ-ე		კუჩხ-ეფ-ი „ფეხები“

მეგრულში მოთხრობითისა და მიცემითის მრავლობითის

წარმოებაში თავს იჩენს -ენ სუფიქსი, რომელიც, შესაძლოა კაუზატივის -ან სუფიქსს უკავშირდებოდეს.

სვანურშიც კაუზატივის კატეგორია სუფიქსებით იწარმოება:

-უნ: ხ^ლმხ-უნ-ე, ლ^შხ. ხა^შხ-უნ-ე „აწვევინებს“

ზსვ. ხ^ლმ-უნ-ე ლ^შხ. ხა^ჭ-უნ-ე „ათიბვინებს“

უნ-ე-ს ნაცვლად შეიძლება მოგვევლინოს ალ-უნ-ე, ბქვ. ლნტ. -ალ-ნ-ე, ანდა ბსზ. -^ლტუნ-ე, ბქვ. ლნტ. -ა-ტუნ-ე (< *ა/ალ-უნ-ე).

ბსზ. ლ^შხ. ხამ^{არ}-ალ-უნ-ე > ბსზ. ხამ^{არ}-^ლტუნ-ე, ბქვ. ხამ^{არ}-ალ-ნ-ე „ამზადებინებს“, ლ^შხ. ხა^ჭმ-ალ-ტუნ-ე = ბსზ. ხა^ჭმ^ა-უნ-ე „ათიბვინებს“, ლნტ. ხახატატუნ-ალ-ნ-ე + ბსზ. ხახატატუნ-ა-უნ-ე „ახატვინებს“...

-ალ/-ალ- ობიექტის სიმრავლის, ან მოქმედების ჩვეულებრივობის მაჩვენებელია, -უნ კი შეიძლება ორჯერ გვხვდებოდეს ხანდახან (შდრ. ადიღეურის ჩვენება) ([19], გვ. 234, 231).

სვანურის -ალ/-ალ კაუზატივის ფორმანტი შესაძლოა უკავშირდებოდეს სვანურისავე მრავლობითობის -^ლტ/-^ლტ მაწარმოებელს.

ამრიგად, ქართველურ ენათა ჩვენებით, კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსები და მრავლობითის ფორმანტები ნაწილობრივ (თანხმოვნითი ელემენტებით) მასალობრივ ერთიანობას შეიძლება ამჟღავნებდნენ.

* * *

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ განვიხილავთ ზმნის კაუზატიურ ფორმებს ქართულსა და აფხაზურში.

ძველ ქართულში კაუზატივი არაპროდუქტიულია.

ორპირიანი ზმნები

ძველი ქართული

1. ჰნახევდით გულს — მოდგინებით ქმნილსა ჩემსა და ნუო-

- დეს გააკრეწე ვთ კულა მას დიდებულსა ლავრასა ([6])
- II. ყმამან თქვა, თუ: არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა ([5], გვ. 243).

ახალი ქართული

ახალ ქართულში ორპირიანი ზმნა კაუზატივის ფორმით არ შეგვხვდრია.

აფხაზური ენა

კაუზატივის კატეგორია ძალზე პროდუქტიულია აფხაზურში. კაუზატივის კატეგორიის რ-პრეფიქსი მუდამ თან ახლავს სუბიექტის ნიშანს, თუ რ-განკვეთილ ფუძეში აღმოჩნდა (გარდამავალ, რთულფუძიან ზმნაში), სუბიექტის ნიშანი მაინც მის წინ იქნება. ზმნა კაუზატივის ფორმით ყოველთვის გარდამავალია.

- I. სგწა სგრბააძე — ჩემი ქვეშაგები დავასველე „ჩავისველე“ ([14], გვ. 195).
- II. თინათინ ლგხძ საისგრდულაპ — მე თინათინს განვადიდებ ([11], გვ. 31).
- III. იუდგგლო ზგწ სგრგურღაპ — ვინც შენ მხარს გიჭერს, ყველას გაგახარებ ([11], გვ. 31).
- IV. უარგგ აწგმძღ უსგრგეძტ — შენც შეგარცხვინე (წაგაღებინე) ([14], გვ. 195).
- V. იუსგმთახკა, უსგრკათაპ — იპქე — „გაგაბედნიერებ“ როგორ არ მოგცემ, გაგაბედნიერებო, უთხრა ([14], გვ. 187).
- VI. უაწასგრხეძტ, შთა აძე ააგა — დაგამარცხე, ახლა წყალი მოიტანე ([14], გვ. 188).
- VII. უაჰმგრკათეძ ესჰაყ! — ხომ გაგაბედნიერეთ ესჰაყ! ([14], გვ. 189).

- VIII. დჰარჩხუაჰ ჰარა ლადერძ დ□ალ□ალა — „შევაქებთ“ ჩვენ ცრემლ-მაგრად ([11], გვ. 4).
- IX. ინთაურტ □ე □ტ აგურჯარა — დარდში ჩააგდე ([11], გვ. 40).
- X. დგუმერტ □ანდაზ ჰ□ენტქარს უფჰა — ნეტავ არ დაგესვა მეფედ შენი ქალიშვილი ([11], გვ. 14).
- XI. სასარგ □აყუქედტ უფლემბარა — მე მტანჯავს მისი უნახაობა ([16]).
- XII. უბრიყუთე □სა სართგნჩუამ — მას შემდეგ არ მასვენებს რაღაც ([16]).
- XIII. ბზიბარ წაბგრგ უარგუბზგდუქედტ — მართალი სიყვარული ალერსიანს გხდის ([11], გვ. 6).

სამპირიანი ზმნები

ძველი ქართული

- I. ათქუმიან სამგზის ([6]).
- II. ნადიმსაცა მუნვე გადაახდეთ ([6]).
- III. გაქნევ კარგთა სიმმაგეთა ([5], ვფხ. 1375)
- IV. რაოხრობასა აქნევდი მაგ ხმაღს ([9])

ახალი ქართული

-ევ-ინ სუფიქსიანი:

- I. კვამლი ხშირად თვალიდან ცრემლს გვაცრევიანებს ხოლმე ([9], გვ. 195).
 - II. ხევსური ძლივს დავამშვიდეთ და ცხალი და მოჩვენება ძლივს გავარჩევიანეთ ([10], გვ. 267).
- ებ-ინ სუფიქსიანი
- I. თქვენ იძულებული ხართ მაგას გააღაყებინოთ ტვინი ([9], გვ. 195).
 - II. ... და გაადღვებინოთ გულ-მუცელი ([9], გვ. 195).

აფხაზური ენა

- I. ხეშქ მათ ჰქა იღსგრყაწეჲ — სამას მანეთად გავაკეთებინე ([14], გვ. 184).
აღნიშნულ მაგალითში ირიბი ობიექტური პირის ნიშნის დისიმილაციაა აღსანიშნავი. დისიმილაციის პირობა თითქოს მოხსნილია: კაუზატივის რ- ნიშანსა და ირიბი ობიექტის მაჩვენებელს შორის ს- სუბიექტური პირის ნიშანია მოქცეული, მაგრამ მაინც დისიმილირებულია ირიბი ობიექტის რ-.
- II. აუქაბუ — სალამ სა დუსგრჰალაპ — სალმის ამბავს მე შენ გაგავგონებ ([11], გვ. 31).
- III. ურთქჰა ჰარა ჟარა დჟჰმგრბედ — ისინი ჩვენ თქვენ არ განახებინეთ ([11], გვ. 19).
- IV. სყამა დღუმგრგან — ჩემი ხანჯლით არ დაღუპო ([14], გვ. 176).
- V. თათენკ საურხაროჟბ — თამბაქო უნდა მომაწვეინო (14. გვ. 191).
- VI. იბუგ დჰალჰალა ინგიქჰირგეჲ — ხმა ძლიერად ამოაღებინა ([16]).
- VII. ანცჰა შჰარა შჰაქჰიმგრშჰააჲ — ღმერთი თქვენ ნუ შეგახვედრებთ რალაცას ([11], გვ. 44).
- VIII. უჰდირბეჲ ჰრა იფსშართა — მათ უჩვენა თავისი მოსასვენებელი ადგილი ([16]).
- IX. ... სკიპტრ ლირკედ — სკიპტრა დააკავებინა ([11], გვ. 11).
- X. ლჰჰან ლგბუგ იქგლგრგოდ — თქმით ხმა მიაწვდინეს ([14], გვ. 183).

საურთიერთო კატეგორია

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა საურთიერთო კატეგორია.

ქართველურ ენებს საურთიერთო კატეგორია ორგანულად არ ეწარმოება, გადმოცემულია აღწერითად. მეგრულში ვხვდებით საურთიერთო კატეგორიის გამოხატვის „ნაწილობრივ აღწერით“ შემთხვევებს (იხ. გვ. 112).

საურთიერთო კატეგორია გულისხმობს ზმნით აღნიშნულ მოქმედებაში ორი ან მეტი პირის (ინდივიდის) მონაწილეობას.

აფხაზურში ზმნის საურთიერთო კატეგორიის არსებობა პირველად შენიშნა **პ. უსლარმა** ([170], გვ. 64-66).

აფხაზურში, ადიღურსა და უბიხურში საურთიერთო კატეგორიის გამოყოფს **ჟ. დიუმეზილი** ([188], გვ. 203-206).

ზმნის საურთიერთო კატეგორიას აფხაზურ-ადიღურ ენებში განიხილავს **ქ. ლომთათიძე** ([37]).

საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს პრეფიქსები: აფხაზურ-აბაზურში ა(□), ა(□)-ც, ა(□)-ბა, ადიღურში ზნ, ზნ-დნ, ზნ-რნ (||ზა), უბიხურში: ზნ, ზნ-ჯი, ზნ(ლა)...

აფხაზურში ქ. ლომთათიძე გამოკვეთს ა□ პრეფიქსის ც- და ბა- ელემენტებთან დაკავშირების შემთხვევებს, რის საფუძველზეც საჭიროდ მიაჩნია, ზმნის საურთიერთო კატეგორიაში გამოიყოს საურთიერთო-სათანაო (-ა/ე□ც-) და საურთიერთო-საორმხრივო (ა/ე□ბა-) ქვეკატეგორიები.

ც- სათანაოს ფუნქციით დამოუკიდებლადაც გვხვდება: სარა ლარა ს ლ გ ც უ პ — „მე მას ვახლავარ“, დ ი ც კ □ ა შ □ □ ტ — „ის (ად.) მასთან (კ.) ცეკვავს“...

სათანაო კატეგორიით გამოხატული გარდამავალი ზმნის ფორმა სამპირიანია: ი ლ გ ც გ ს ტ ო დ ტ — „მას (ნ) მასთან (ქ.) ერთად ვჭამ“, საურთიერთო-სათანაო ა□ც- პრეფიქსით გამოხატულ კატეგორიაში გარდამავალი სამპირიანი ზმნა გარდამავალ ორპირიან ზმნად იქცევა: ი ლ გ ც გ ს ტ ო დ ტ > ე □ ც ა ჰ ტ ო დ ტ

— „ჩვენ მას ერთად ვჭამთ“, ე. ი. ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ორი განსხვავებული პირის ნაცვლად მივიღებთ მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტის პირს ([38], გვ. 279).

საურთიერთო კატეგორიის წარმოების პრინციპი აფხაზურში, ადიღურსა და უბიხურში ერთნაირია.

აღნიშნულ კატეგორიაში ზმნის პირთა რაოდენობა მცირდება ერთით;

ზმნის გარდამავლობა იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საურთიერთო-საორმხრივო პრეფიქსში თავმოყრილი აღმოჩნდება პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის პირები.

აფხაზურში საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის მაწარმოებელი აქა- პრეფიქსი რთული შედგენილობისაა: აქ საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს დამოუკიდებლად, ბა- პრეფიქსი კი ზმნებში ცალკე არ გვხვდება.

ბა- პრეფიქსს პ. უსლარი ადგილის ზმნისართებში გამოვლენილ ბა- ელემენტს უკავშირებს ([170], გვ. 64-66).

ჟ. დიუმეზილს ბა- პრეფიქსი რიცხვით სახელებში შემავალ ელემენტად მიაჩნია ([188], გვ. 203, 206).

ზმნურ წინსართებში განიხილავს აქა- პრეფიქსს ა. გენკო ([135], გვ. 171).

ქ. ლომთათიძე გამოთქვამს ვარაუდს ბა- ელემენტის ერგატივის ნიშნობაზე ([37], გვ. 288).

აღნიშნული მოსაზრებანი ერთიმეორეს არ გამოორიცხავს. უნდა ვიფიქროთ, რომ ბა- ელემენტი ადგილის ზმნისართული წარმოშობისაა, შემდეგ გამოყენებულ იქნა რიცხვით სახელებშიც.

აქა-/ექა- პრეფიქსი, განსხვავებით აქ/ექ და აქც-/ექც- პრეფიქსისაგან, მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს.

აქ/ექ პრეფიქსი ზმნის მარტივ ფუძეს უშუალოდ არ ერთვის. მისი დართვა ზმნურ ფორმაზე ქცევის აფიქსთა, ან წინდე-

ბულთა დართვას იწვევს; აქა- პრეფიქსი თავისუფლად ერთვის რთული და მარტივი ფუძის მქონე ზმნებს. მარტივ მზნებში თითქოს ბა- ელემენტს აქვს დაკისრებული ფუძის გამრთულების ფუნქცია. ეს ფაქტი, შესაძლოა, ბა- ელემენტის ზმნისართულ წარმოშობაზე მიუთითებდეს.

რთულ აქა- პრეფიქსს გარკვეულ შემთხვევაში (თუკი მასში გაერთიანებული იქნება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები) შეუძლია ზმნა გარდაუვლად აქციოს.

საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის წარმოებისას ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან მიიღება ერთპირიანი ზმნები. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები ერთიანდება მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: დგრდგრჟედტ „ისინი მას იცნობენ“, ებადგრჟედტ „ისინი ერთმანეთს იცნობენ“...

სამპირიან ზმნათაგან მიიღება ორპირიანი გარდამავალი ზმნა, როდესაც:

ა) ერთიანდება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის პირები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: ილასჰეჰ — „მე მას (ქ) ის ვუთხარი“, ებგრჰეჰ — „მათ ის ერთმანეთს უთხრეს“...

ბ) თავს იყრის ირიბი და პირდაპირი ობიექტები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ პირდაპირი ობიექტის პირში:

დღგრბოდტ — „ის (ქ.) მას (ად.) ხედავს“, ექარბოდტ — „ისინი ერთმანეთს ხედავენ“...

საურთიერთო კატეგორიის აქ/ეჰ და საურთიერთო სათანო ქვეკატეგორიის აქც-/ეჰც- პრეფიქსები დამოუკიდებლად იმისაგან, ზმნის ფუძე რთულია თუ მარტივი, ფუძის წინ დაისმის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ისინი დაკავშირებულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტთან ან ირიბ ობიექტთან, რომლებიც აფხაზურში მუდამ ფუძის წინ გვხვდება.

აქა- პრეფიქსი რთულფუძიან ზმნებში ფუძეშია ჩასმული აფხაზურში, ხოლო ტაპანთურში აქა || ბა პრეფიქსი ასეთ შემთხვევებშიც ფუძის წინ დაისმის: ათაგქარა — „წაჭიკავება“, აბათაგქარა ურთიერთ წაჭიკავება ([27], გვ. 191).

ფუძეში აქა- პრეფიქსი გვხვდება სახეცვლილი სახით: აქა > ექა > იბა > იბა...

აქა- პრეფიქსს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ახასიათებდეს ინფიქსაცია, როდესაც იგი შეიცავს სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს, ან სუბიექტსა და ირიბ ობიექტებს, ხოლო თუ აქა- პრეფიქსი აერთიანებს პირდაპირსა და ირიბ ობიექტებს, იგი ვეღარ უნდა ახერხებდეს ზმნის ფუძის განკვეთას.

შესაძლოა, აქა- რთული პრეფიქსის ბა- ელემენტი ვბა- „ორი“ რიცხვით სახელს შემოჰყოლოდა ზმნაში (ვ დაკარგულიყო) შდრ. ქართ. (ერთმანეთი) ერთი მეორე. აქაც რიცხვითი სახელები მონაწილეობს საურთიერთო კატეგორიის აღწერით სახეობაში.

ქ. ლომთათიძე აქ საურთიერთო პრეფიქსის ზმნაზე დართვის ერთ-ერთი შემთხვევის დროს ადასტურებს „აჟ“ ელემენტს და ვარაუდობს, რომ ვ შესაძლოა „ორი“ რიცხვითი სახელის — „ვბა“ ძირი იყოს: აჟდგრაარა — ურთიერთგამოცნობა (აღგრა — „ცოდნა“) ([39], გვ. 278).

აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ საშუალება გვძლევა აფხაზური ენის ზმნის საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებლად აღვადგინოთ *აკგ-ვბა პრეფიქსი, რომლისგანაც შემდგომში აქა- პრეფიქსი უნდა ჩამოყალიბებულიყო. აღნიშნულ *აკგ-ვბა-ში პირველი ნაწილი, ვვარაუდობთ, ტოლფარდი უნდა ყოფილიყო აკგ — „ერთი“ რიცხვითი სახელისა, ხოლო მეორე ნაწილი ვბა — „ორი“ რიცხვითი სახელისა..., სადაც კ უნდა დაკარგულიყო სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, ხოლო ვ ბავისმიერი ბ- ბგერის მეზობლობაში შეიძლებოდა გაუ-

ჩინარებულიყო.

წარმოდგენილ მოსაზრებას ხელს უწყობს ქართველური და ადიღური ენების მონაცემებიც. ამ ენებშიც საურთიერთო შინაარსის გადმოსაცემად ენა ძირითადად რიცხვით სახელებს ან ისეთ აფიქსებს იყენებს, რომელთა ამოსავლადაც რიცხვითი სახელები ივარაუდება.

(იხ. ზმნის საურთიერთო კატეგორიის -აქა მაწარმოებლის წარმომავლობისათვის აფხაზურში, საენათმეცნიერო ძიებანი VIII, თბ., 1999, 209).

ამ მოსაზრებას ხელს უშლის რიცხვით სახელთა დიფერენციაცია ადამიანად: ჯგა — „ორი ადამიანი“, და ნივთად: ჯბა — „ორი რალაც (ნ.)“, რაც შეიძლება გვიანდელი წარმონაქმნი იყოს. თავდაპირველად ადამიანისთვისაც და ნივთისთვისაც ერთი და იგივე რიცხვით სახელური ფორმა უნდა ხმარებულიყო, როგორც ეს ქართულშია: „ორი კაცი“, „ორი ცხენი“...

ადიღურში საურთიერთო-საორმხრივო კატეგორია იწარმოება რთული ზნ — რნ პრეფიქსით, სადაც ზნ = აფხ. აქ პრეფიქსს, ხოლო რნ = აფხ. ბა- ელემენტს.

ისევე, როგორც აფხაზურში, ადიღურშიც საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიაში გარდამავალი ზმნა გარკვეულ შემთხვევაში იქცევა გარდაუვლად (თუ ერთმანეთს დაუკავშირდება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები ([162], გვ. 171-177).

უბიხურში საურთიერთო-საორმხრივო მოქმედების აღსანიშნავად გამოიყენება ოდენ ზნ- პრეფიქსი, განსხვავებით აფხაზურში და ადიღურში რთული შედგენილობის აქა- და ზნრნ- პრეფიქსებისაგან ([189], გვ. 206). დღემეზილი უბიხურ ზა- პრეფიქსს უკავშირებს უბიხურ ზალაზალა და აფხაზურ აკ-აკ-ალ-ას „თითო-თითო“. შდრ. აგრ. აბაზ. ზაკ, ზაჯღ — „ერთი (ნ.), (ად.)“.

აფხაზურ-ადიღურის ანალოგიური საურთიერთო კატეგორია ქართველურ ენათაგან ზანურში აქვს გამოყოფილი ქ. ლომთათი-

ქს ([38], გვ. 213, 214, 216).

ავტორი გამოყოფს ა-კო/ო-კო ზმნურ ელემენტებს: აკიამხანაგეს — „დაამხანაგდნენ“, აკიჯიმალეს — „დაძმობილდნენ“, სადაც კო სამიმართებო პრეფიქსია, ა-ს კი სათანაოს ფუნქცია აქვს.

აღნიშნულის გვერდით, ზანურს მოეპოვება აგრეთვე, შერეული სახის წარმოებაც: ქართულის მსგავსად, ნაწილობრივ აღწერილი — ნაცვალსახელ ართიანის — „ერთმანეთი“ გამოყენებით და თან აფხაზურ-ადიღურის ანალოგიური აკო-/ოკო- პრეფიქსებით მიღებული: ართიანი აკოყვილეს — „ერთმანეთი დახოცეს“, ართიანი აკოძირეს — „ერთმანეთი ნახეს“...

ამგვარ მაგალითებში საინტერესოა, რომ აკო- პრეფიქსის დართვა აღარ ჰყოფნის ზმნას სათანადო შინაარსის გამოსახატავად და „ართიანი“ ნაცვალსახელს იხმარს, თუ ექსპრესიის გასაძლიერებლად ხდება აღნიშნული მოვლენა. შესაძლოა „ართიანი“ ნაცვალსახელის დართვა ქართულის გავლენით აიხსნას.

ქ. ლომთათიძის აზრით, საურთიერთო კატეგორიის შერეული ტიპის არსებობა ზანურში იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ეს კატეგორია აქ გვიანდელ წარმონაქმნად ჩაითვალოს ([38]).

ძველ ქართულში სათანაო შინაარსი გადმოიცემა „თანა“ პრევერბ-თანდებულის (წინდებულის) დართვით ზმნურ ფუძეზე: ...და ანგელოზნი მისი თანაგივიდოდენ თქუნენ ([4], გვ. 41).

საურთიერთო შინაარსი ძველსა და ახალ ქართულში ერთმანეთი, ურთიერთი, ერთიმეორე სიტყვათა საშუალებით გადმოიცემა: — „ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინედ ვწეწდით და ვიწეწებოდით ([9], გვ. 75), — „ფერმიხდილნი ბეზლობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით“ ([9], გვ. 77), — „ერთმანეთი ჩვენ დავლუბეთ“ ([9], გვ. 77), — „ერთმანეთს აყრით კრულვას და წყევლას“ ([9], გვ. 92).

საინტერესოა ერთ-მან-ერთი > ერთმანეთი ფორმაში ერგატივის ნიშნის გამოვლენის შემთხვევა ქართულში ([38], გვ. 287).

ქართულში საურთიერთო კატეგორია სემასიოლოგიურია, მაგრამ თავისი ნიშნებით (რიცხვითი სახელის გამოვლენა: *ერთ-მან-ერთი, ერგატივის — მან ნიშანი...) იგი ბევრ საერთოს ამჟღავნებს აფხაზურ-ადიღური ენების საურთიერთო კატეგორიასთან, რომელიც მორფოლოგიური ნიშნით აისახება ზმნაში. მეგრულის ჩვენება ამ მხრივ, ქართულსა და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის თითქოს, შუალედურ რგოლს წარმოგვიდგენს.

აფხაზური ენა

ა□ > ე□ პრეფიქსით ნაწარმოები

ერთპირიანი ზმნები:

- I. უგუ□ უფსგმ ე□მ წანარსგნ — შენი გული და სული შეუპყრია ([11], გვ. 29).
- II. ჰა□აპ კრკ□წა „რაიმეზე დავნადღევდეთ“ ([11], გვ. 15).
- III. უს ჟამაშ□ა რნაპე ე□ურჰმან ე□უსრადა — ასე საოცრად ხელით გარს შემოწვდა ([11], გვ. 46).
- IV. ბგრლამჰ უა ინე□ლალან — მარგალიტი იქ შიგ რომ გაერია ([11], გვ. 43).
- V. უაჟ□გ ზენძაკ ლეჰ□მ□აძეჰტ — ახლა მთლად გაუმართლა ([14], გვ. 183).

ორპირიანი ზმნები:

- I. სგლანჷ ე□ქუსხტ სა იზგურჯოზ — „რაზეც ვდარდობდი, იმაზე შუბლი გავიხსენი“ ([11], გვ. 26).
- II. ... ხუჭძაკ დსე□ფშაჟპ ჟე ავთანდილ — ცოტათი მგავსის ავთანდილი ([11], გვ. 14).

- III. უნიჩუარ დეილაჰაჰი ნაყ იცეიგარც — ის იორლა მოეწონა სხვაგან წასაყვანად ([11], გვ. 43).
- IV. ამცა ექიწეიქი ედგმცალა — ცეცხლი დაანთო კვესით ([11], გვ. 41).
- V. ატემ ტელა კგრ ნემიდექი — მრავალი უცხო ქვეყანა მოიარა ([11], გვ. 39).

სამპირიანი ზმნები:

- I. ბლალა ამჟა უდ ინეილირგექი — თვალით გზა იქ გარჩეინა ([11], გვ. 41).
- II. შერმადინ უა ზგწ ნეიზიგექი — შერმადინმა იქ ყველა შეუკრიბა ([11], გვ. 37).

აქც → / ექც- პრეფიქსით ნაწარმოები
 ორპირიანი ზმნათაგან მიღებული
 ერთპირიანი ზმნები:

- I. უარგწ სარგწ უბრაწ ჰაქცაპ — შენც და მეც იქ ერთად წავიდეთ ([11], 34).
- II. ყოხი ყაგწ ექცნგყომ — თხუთმეტი კურდღელიც ერთად არ დადის ([16]).
- III. ხუჭქა შთაყ ექცთანხონ — მისი შვილები ერთ ეზოში ერთად ცხოვრობდნენ ([16]).
- IV. იმადბუა ხნალაგა ედცრგწუქე, ხაზ-ხაზე იდგქლოქი — ერთმანეთში უთანხმოებას რომ დაიწყებენ, ერთმანეთს ეყრებიან, ცალ-ცალკე მიდიან ([16]).

სათანაო კატეგორია
 (ც- პრეფიქსით ნაწარმოები)

ორპირიანი ზმნები:

- I. მრა იფაკ იეღუშ დნადცუნალექტ — იგი მისი შვილის მსგავსად სახლში შეჰყვა ([11], გვ. 23).
- II. ინეგონ იკამბაში იცდგრგლარაზგ — მიჰყავდათ მისი კამეჩი, რომ მასთან ერთად დაეყენებინათ ([14], გვ. 199).

სამპირიანი ზმნები:

- I. ისცნაზგოზ უს ახშარა — შვილი ჩემი შესაფერი გვერდში ვინც ამომიღება ([11], გვ. 14).
- II. ახა ამღ დანსცეეჰქო — მაგრამ ვილაც როცა ჩემთან ერთად ამბობს (მღერის) ([16]).

საურთიერთო-საორმხრივო კატეგორია
(აქბა — პრეფიქსით ნაწარმოები)

- I. აღგჩცეეჩრეეეზადგრგნ — ქურდები და იგი ერთმანეთს იცნობდნენ ([16]).
- II. ექბარწეუან ურთ აჯჯაგ — ერთმანეთს შესტიროდნენ ორივენი ([11], გვ. 46).
- III. აჰ იფჰეე აჰქენი ექაფხეეზაშან ლხაწე ეფჰსი ექაგექტ — მეფის ასულსა და ბიჰს ერთმანეთი მოეწონათ და დაქორწინდნენ ([16]).
- IV. დვაგვლან ფანეე იარეე ეაეგეედეეზაჰქალექტ- ფანა და იგი წამოდგენენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ ([16]).
- V. ფანეეფაგეეეეეცეა გეაქაქეა რეეღუშ ბზია ექბაბონ — ფანას და ფაგუს ღვიძლი ძმებივით უყვარდათ ერთმანეთი ([16]).
- VI. შენეეზაც, შენეეზაც, აფსუაა რეჰქეენცეა! — ერთად გასწით, აფხაზთა შვილებო! ([15], გვ. 415).

საინტერესოა შემთხვევები (იხ. მაგალითი VI), როდესაც

აქა- პრეფიქსს „ერთად“-ის მნიშვნელობა აქვს და არა „ერთმანეთის“...

ზოგჯერ აქა- პრეფიქსი „მოულოდნელი“ მნიშვნელობით იხმარება: იგუ ებაკუეღ — „გული უჩუყდება“ ([16]).

დასკვნები

ჩვენ განვიხილეთ სინტაქსურ მიმართებაში შემაჯავლი ზმნური კატეგორიები ქართულსა და აფხაზურ ენებში; უღლების კატეგორიები: პირი, კლასი, რიცხვი; წარმოქმნის კატეგორიები: ქცევა, პოტენციალისი, უნებურობა, კაუზატივი, საურთიერთო კატეგორია.

აღნიშნულ ზმნურ კატეგორიათაგან უღლების კატეგორიები — პირი, კლასი და რიცხვი უძველესია ამ ენებისათვის. წარმოქმნის კატეგორიათაგან ყველაზე ძველი ქცევის კატეგორია უნდა იყოს, ეს უკანასკნელი პირის კატეგორიის ჩამოყალიბებისას უნდა წარმოქმნილიყო ამ ენებში.

პირისა და ქცევის კატეგორიათა ჩამოყალიბებას უნდა მოჰყოლოდა პოტენციალისის, უნებურობის, კაუზატივისა და საურთიერთო-სათანაო კატეგორიათა გაჩენა.

აღნიშნულ კატეგორიათა წარმოების პრინციპი მნიშვნელოვან სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ ერთობას ამჟღავნებს ქართულ და აფხაზურ ენებში:

1. პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიის წარმოების თვალსაზრისით ქართულსა და აფხაზურ ენებს აერთიანებს: 1. ზმნის პოლიპერსონალურობა, 2. პირისა და კლასის ნიშნებად (აფხაზურში) პრეფიქსების გამოყენება (ამ მხრივ გამონაკლისია III პირი ქართულში, რომელიც გვიან ჩამოყალიბებულად ითვლება), 3. პირისა და კლასის ნიშნების კლასნიშნისეული და ნაცვალსახელური წარმოშობა, 4. პირისა და კლასის ნიშანთა განლაგება გარდამავალ ზმნებში (ქართულში გარდაუვლებშიც, ანალოგიით), 5. გარდამავალ ზმნებში დადებით ბრძანებითში II სუბიექტური პირის ნიშნის უქონლობა (ქართულში გარდაუვალშიც: წადი / არ წახვიდე!).

გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის

პირდაპირი ობიექტის ნიშნად (ქართულში ირიბი ობიექტის ნიშნადაც) ანუ კლას-კატეგორიის უძველეს ნიშნად ქართულისათვის უნდა აღდგეს *ხ- || ჰ || ს ფორმანტი, აფხაზურში ქართული *ხ || ჰ || ს- ფორმანტის ბადალი *დ- ფორმანტი უნდა გამოიყოს (ამ ენათა უღვლილების სისტემის განვითარების ერთნაირი მიმართულების გათვალისწინებით).

პირის ნიშანთა სუფიქსაცია III პირის მხოლოდით და მრავლობი რიცხვში ქართულისათვის მეორეულია, ასევე მეორეულია აფხაზურში მრავლობითობის ნივთის კატეგორიის ფორმანტ - ქ□ა-თი გადმოცემა.

* * *

აფხაზურ-ადილური ენების რელატიურ (და ზოგჯერ აბსოლუტურ ზმნასაც) უღლების კატეგორიათა (პირის, კლასისა და რიცხვის) გარდა, მოეპოვება წარმოქმნის კატეგორიები: ქცევისა, პოტენციალისისა, უნებურობისა, კაუზატივისა და საურთიერთო-სათანაო.

ქართველურ ენათა რელატიურ ზმნაში გამოიყოფა ქცევა, პოტენციალისი, კაუზატივი.

თანაობისა და უნებურობის კატეგორიები ქართველურ ენებში აღწერილი საშუალებებით გადმოიცემა.

აფხაზურ-ადილური და ქართველური ენების ზმნას პირისა და რიცხვის კატეგორიათა გარდა, საერთო აქვთ ქცევის, პოტენციალისისა და კაუზატივის კატეგორიები.

II. ქცევის კატეგორიას ქართველურსა და აფხაზურ-ადილურ ენებში აქვს თავისი მორფოლოგიური ნიშანი ზმნაში, ამ ენებში ქცევის კატეგორია მორფოლოგიურია:

1. ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენებში უნდა გამოიყოს ქცევის ორი სახეობა: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო), 2. ქართველური და აფხაზურ-ადილური ენების

ზმნის ქცევის კატეგორია მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ ერთობას ამჟღავნებს: ერთი მხრივ, ერთად დგას აფხაზურისა და მეგრულ-ჭანურის სარფულ თქმაში შემორჩენილი ვითარება, მეორე მხრივ, ქართველურისა და ადიღურ ენათა მდგომარეობა. ეს უკანასკნელნი ქცევის კატეგორიის უფრო მეტად განვითარებულ სახეობას გვთავაზობენ; 3. სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნები განხილულ ენებში პრეფიქსებია, წარმოშობით ისინი ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან მომდინარე მითითებით-მიმართულებითი ელემენტებია: ქართულისა და აფხაზურის \square/ψ - მითითებით — მიმართულებითი ელემენტები თანხვედნილია მატერიალურადაც და სტრუქტურულადაც; 4. სასხვისო ქცევის ნიშანი ორსავე ენაში ზმნის ობიექტური პირის აფიქსის თანმხლებია და აღნიშნავს ზმნით აღნიშნული მოქმედების ობიექტისადმი განკუთვნილებას.

პოტენციალისის კატეგორიას ქართველურ ენათაგან ყველაზე მეტად ჩამოყალიბებული სახე აქვს მეგრულში. ქართულსა და სვანურში პოტენციალისის სემასიოლოგიური კატეგორიაა, მაგრამ პოტენციალისის კატეგორიის გამოკვეთილი სახის ზანურში დადასტურება გვაგვარაუდებინებს, რომ აღნიშნული კატეგორია სამივე ქართველური ენისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური კატეგორია უნდა ყოფილიყო. (ამ კატეგორიის მოშლავნებითი გვარის ჩამოყალიბებას უნდა უკავშირდებოდეს). შესაძლოა გვიან ჩამოყალიბებულმა ვნებითმა გვარმა დაიტია პოტენციალისის მნიშვნელობა (მდრ. ქართული).

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა უნებურობის კატეგორია.

1. უნებურობის კატეგორია იწარმოება პრეფიქსით, ამ კატეგორიის წარმოების პრინციპი პოტენციალისის წარმოების პრინციპს ჰგავს.

ქართველურ ენებში უნებურობის კატეგორია სემასიოლოგი-

ური კატეგორიაა, იგი, მიუხედავად ამისა, ერთობას ამჟღავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან (იგულისხმება პირის ნიშანთა იბიექტური წყობა).

ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენებში გამოიყოფა კაუზატივის მორფოლოგიური კატეგორია.

1. კაუზატივის კატეგორიის ნიშნები ქართველურ ენებში სუფიქსებია, აფხაზურ-ადილურ ენებში პრეფიქსები.

2. კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელი ფორმანტები აღნიშნულ ენებში მასალობრივ ერთიანობას ამჟღავნებს მრავლობითი რიცხვის ნიშნებთან.

აფხაზურ-ადილურ ენებში და ქართველურიდან ზანურში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა საურთიერთო კატეგორია.

1. საურთიერთო კატეგორიას პრეფიქსები აწარმოებს.

2. ქართულში საურთიერთო კატეგორია სემასიოლოგიურია, მაგრამ თავისი ნიშნებით იგი საერთოს ამჟღავნებს აფხაზურ-ადილური ენების საურთიერთო კატეგორიასთან, რომელიც მორფოლოგიური ნიშნით აისახება ზმნაში.

3. ზანურში არსებული საურთიერთო კატეგორიის შერეული (ნაწილობრივ აღწერითი) ტიპის არსებობა იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ აღნიშნული კატეგორია ზანურში გვიანდელ წარმონაქმნად ჩაითვალოს. ზანურის ჩვენება ამ მხრივ, ქართულსა და აფხაზურ-ადილურ ენებს შორის თითქოს, შუალედურია.

ლიტერატურა

1. ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1968.
2. რ. ასათიანი, პოლიპერსონალიზმის ძირითადი ფუნქცია ქართველურ ენებში, სმამ, №2, თბ., 1986.
3. გ. ახვლედიანი, ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში, „ჩვენი მეცნიერება“, თბ., 1986.
4. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
5. კ. გაგუა, ერთი ტიპის პირნაკლი ზმნები სვანურში, იკე, ტ. XXI, თბ., 1979.
6. თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა და ვალენტობა“. საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გ. მაჭავარიანის ხსოვნისა და ბადების 50 წლისთავს, თბ., 1979.
7. ე. გუთრაძე, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგი მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, მაცნე №2, თბ., 1971).
8. თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში, ენიმკ-ის მოამბე, №1V2, თბ., 1938.
9. მ. დამენია, ზმნურ მორფემათა სტრუქტურული მოდელები და მათი დეფინიციის თეორიული საფუძვლები თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით, თბ., 1975 (სადოქტორო დისერტაცია).
10. მ. დამენია, ქართული ზმნური ფორმების სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982.
11. კ. დოდაშვილი, საგრამატიკო ესკიზი, ზოგიერთი მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გარშემო, „ივერია“ №№214, 217, 219-220, 222; თბ., 1887.

12. რ. ენუქაშვილი, ხანმეტობა-ჰაემეტობის საკითხისათვის, თსუ შრომები XIX, თბ., 1979.
13. ფ. ერთელიშვილი, ქცევის საკითხისათვის ქართულში, თსუ შრომები, ტ. 114, თბ., 1965.
14. ი. ვეშაპიძე, კაუზატივის წარმოების ორი ძირითადი მოდელი ქართულში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია XIII, თბ., 1970.
15. არ. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1974.
16. ვ. თოფურია, დ თავსართიანი ზმნები ქართულში, თსუ შრომები XXV, თბ., 1942.
17. ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, სმამ, ტ. III, №5, თბ., 1942.
18. ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, სმამ, ტ. III, №9, თბ., 1942.
19. ვ. თოფურია, შრომები I, სვანური ენა, თბ., 1967.
20. გ. თოფურია, კლასოვანი უღვლილებიდან პიროვანი უღვლილებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე ტ. XIII, თბ., 1962.
21. ვ. იმნაიშვილი, კაუზატივი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. X, თბ., 1970.
22. ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971.
23. პლ. იოსელიანი, პირუელ-დაწყებითი კანონნი ღრმატიკისა, ტფ., 1940.
24. ბ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, ტფ., 1888.
25. ლ. კიკნაძე, ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში, „კომუნისტური აღზრდისათვის“, №8-9, თბ., 1937.
26. აღ. ლეკიაშვილი, აფხაზური ზმნის პოტენციალისის

ფორმის შესახებ, იკე, ტ. II, თბ., 1948.

27. **ქ. ლომთათიძე**, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ), თბ., 1944.

28. **ქ. ლომთათიძე**, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იკე, ტ. II, თბ., 1948.

29. **ქ. ლომთათიძე**, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბ., 1976.

30. **ქ. ლომთათიძე**, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ), თბ., 1954.

31. **ქ. ლომთათიძე**, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ასახვა აფხაზური ზმნის უღვლილებაში, მაცნე №2, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1979.

32. **ქ. ლომთათიძე**, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბ., 1942.

33. **ქ. ლომთათიძე**, გვარის კატეგორიის საკითხისათვის აფხაზურში, იკე, ტ. VIII, 1956.

34. **ქ. ლომთათიძე**, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. VI, №1, თბ., 1945.

35. **ქ. ლომთათიძე**, ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში, თბ., 1982.

36. **ქ. ლომთათიძე**, მიჩნევის (მოჩვენების, მოჩვენებითობის) კატეგორიისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში და შესაბამისი წარმოების საკითხი ქართულში, იკე, ტ. XVIII, თბ., 1970.

37. **ქ. ლომთათიძე**, პოტენციალისისა (შესაძლებლობისა) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, სმამ, ტ. XVI, თბ., 1955.

38. **ქ. ლომთათიძე**, საურთიერთო კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I ზმნის საურთიერთო კატეგორია ზა-

ნურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961.

39. ქ. ლომთათიძე, საურთიერთო (საურთიერთო-სათანაო, საურთიერთო-საორმხრივო) კატეგორია აფხაზურ-ადიღურ ენებში, იკე, ტ. XII, თბ., 1960/1961.

40. ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში, თსუ შრომები, ტ. XXX-XXXI, თბ., 1947.

41. ქ. ლომთათიძე, „ცოდნის“ აღმნიშვნელი ძირის შესახებ აფხაზურ-ადიღურ ენებში, თსუ შრომები, 133 (142), თბ., 1972.

42. ფ. მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმია, ნაწ. I, (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1970.

43. გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, ნაკვ. 1 (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1953.

44. გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, ნაკვ. II (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1954.

45. გ. მაჭავარიანი „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, 1959.

46. გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართულში, თბ., 1965.

47. მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, იკე, ტ. XXII, თბ., 1980.

48. ნ. მაჭავარიანი, -Vგ (-ავ, -ივ, -ევ, -ოვ) დაბოლოება ქართულ ტოპონიმებში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1977.

49. დ. მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში, მაცნე №4, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1977.

50. თ. მეტრეველი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისა-

თვის ძველ ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №23, თბ., 1980.

51. გ. ნებიერიძე, ქცევის კატეგორია ქართულში (ტრანსფორმაციული ანალიზი), მაცნე, №4, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1976.

52. ალ. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის საკითხისათვის ქართველურ ენებში, მაცნე, №1, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1965.

53. ალ. ონიანი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის მორფემათა ალომორფების განაწილება ხანმეტსა და ჰემეტ ტექსტებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.

54. ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

55. თ. ჟორდანიას, ქართული გრამატიკა, ტფ., 1889.

56. გ. როგავა, აორისტიკა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, ტ. VI, №8, 1945.

57. გ. როგავა, გრამატიკულ კლასთა ექსპონენტების გადმონათვისათვის ადილურ ენებში, სმამ, ტ. XI, თბ., 1950.

58. გ. როგავა, ერგატივის საკითხისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში, თბ., 1964.

59. გ. როგავა, ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, ტ. XIII, თბ., 1962.

60. გ. როგავა, კლასიანი უღვლილების პირიან უღვლილებაში გადასვლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, სმამ, ტ. XIV, №7, თბ., 1953.

61. გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევისა და ბრუნვებში), I, სმამ, ტ. III (2), თბ., 1942.

62. გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ი- ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში), II, სმამ, ტ. III (5), თბ., 1942.

63. გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის -ან სუფიქსი ქართულში, იკე, ტ. XVI, თბ., 1968.

64. გ. როგავა, ორგანული და ნივთიერი კუთვნილების კატეგორია ადიღეურ ენაში, თბ., 1980.

65. გ. როგავა, პირის აფიქსთა ისტორიის ზოგი საკითხისათვის ადიღეურში, სმამ, ტ. XXIII, №4, თბ., 1959.

66. გ. როგავა, პირის პრეფიქსთა გამჟღერება სონანტების წინ აფხაზურ-ადიღურ ენათა ზმნებში, იკე, ტ. XVII, თბ., 1970.

67. გ. როგავა, პოლიპერსონალიზმი ქვემო-ადიღეური ენის ზმნაში, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბ., 1942.

68. გ. როგავა, ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, ქუთაისი, 1956.

69. ზ. სარჯველაძე, -ნ სუფიქსით გამოხატულ მრავლობით რიცხვში დასმული სახელის ზმნასთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში, სმამ, №3, თბ., 1969.

70. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

71. ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებული ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბ., 1971.

72. მ. სუხიშვილი, გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986.

73. მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში, იკე, ტ. XXV, თბ., 1986.

74. დ. უზნაძე, მპერსონალია, „ჩვენი მეცნიერება“, №1, თბ., 1923.

75. ვლ. ფანჩვიძე, კაუზატივის -ევ -ვ სუფიქსი უღურში,

სმამ, ტ. 1, №6, თბ., 1940.

76. ა. ფოცხიშვილი, უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში, თსუ გ. ახვლედიანს, თბ., 1969.

77. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

78. მ. ქალდანი, მესამე სუბიექტური პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში, საენათმეცნიერო კრებული, თბ., 1979.

79. ა. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, ტფ., 1888.

80. დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის, სანკტ-პეტერბურდი, 1882.

81. ი. შადური, აფხაზური ენის მორფემათა რანგობრივი სტრუქტურა (გარდამავალ ზმნათა სისტემა), საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერეტი, თბ., 1975.

82. აკ. შანიძე, აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავლპირიანი ზმნის ჩვენებით, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.

83. აკ. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.

84. აკ. შანიძე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, სმამ, ტ. II, №8, თბ., 1941.

85. აკ. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.

86. აკ. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, II, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.

87. აკ. შანიძე, ნაშთები III პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულში, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.

88. აკ. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირ-

ველი პირისა სვანურში, წელიწდეული, ტ. I-II, ტფ., 1923-1924.

89. აკ. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.

90. აკ. შანიძე, შ₂ და O₃ ქართულ ზმნებში, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.

91. აკ. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.

92. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.

93. აკ. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.

94. აკ. შანიძე, ქართული ზმნის სამპირიანობის გამო, „კულტურული აღმშენებლობა“, №9, ტფ. 1929-1930.

95. აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

96. აკ. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტუმ, III, 1923.

97. აკ. შანიძე, ჰ და ს თავსართების ხმარება ზმნებში, ქართული ენის სალიტერატურო ნორმები, I, თბ., 1950.

98. კ. შმიდტი, ინდოგერმანულის მედიუმი და სათავისო ქცევა ქართულში, მიმომხილველი (სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული) 6-9, თბ., 1972.

99. არნ. ჩიქობავა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, სმამ V (4), თბ., 1944.

100. არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში (წინასწარი მოხსენება), სმამ, ტ. VII (1-2), თბ., 1946.

101. არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში (წინასწარი მოხსენება), იკე, ტ. V, თბ., 1953.

